

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ლინგვისტიკა

ბელა ჭურჭელაური

მუქარის გამოხატვის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური
თავისებურებები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პროცესში
(ინგლისური და ქართული ენების მასალებზე დაყრდნობით)

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი ირინე გომხეთელიანი

ბათუმი

2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბელა ჭურჭელაური

თარიღი: 23.06.20

შინაარსი

შესავალი.....	5
I თავი. მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლები	
1.1. კომუნიკაციის რაობა, სახეები და მნიშვნელობა	11
1.2. ვერბალური კომუნიკაცია და სოციალიზაციის პროცესი	18
1.3. ვერბალური კომუნიკაცია და სამეტყველო აქტების თეორია	23
1.4. მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მეტყველების აქტი	34
1.5. მუქარის სოციოლინგვისტური მახასიათებლები	47
II თავი. მუქარის ფორმები და მისი გამოხატვის პრაგმატიკული თავისებურებები	
2.1. თავაზიანობის თეორია და სოციალური სახის ცნება	53
2.2. დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები. სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები	59
2.3. მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები და პოზიციის ენობრივი მარკერები	73
2.3.1. პოზიციის ლექსიკური მარკერები	75
2.3.2. პოზიციის გრამატიკული მარკერები	88
III თავი. მუქარის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ვერბალური გაფორმება ინგლისურ და ქართულ ენებში	98
3.1. პირდაპირი მუქარა	101

3.2. ირიბი მუქარა	105
3.3. პირდაპირ-პირობითი მუქარა	108
3.4. მუქარის დონეები ინგლისურსა და ქართულში	111
3.5. მუქარის ვერბალური გაფორმება ინგლისურსა და ქართულ ენებში	117
ზოგადი დასკვნები	121
გამოყენებული ლიტერატურა	126
გამოყენებული ინტერნეტრესურსები	132
კვლევაში გამოყენებული მაგალითების დანართი 1. (ქართული)	139
კვლევაში გამოყენებული მაგალითების დანართი 2. (ინგლისური)	161

შესავალი

დღევანდელ რეალობაში ხშირად ისმის აგრესიის უკიდურესი ფორმის – მუქარის შემცველი განცხადებები და ალბათ, ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც თუნდაც ერთხელ არ გამხდარა მუქარის ადრესატი. მუქარის, როგორც კომუნიკაციის ფორმისა და სამეტყველო აქტის ერთ-ერთი გამოვლინების, კვლევის აუცილებლობა განაპირობა მისდამი სხვადასხვა სფეროში გაჩენილმა ინტერესმა. აღნიშნულით დაინტერესებულია არაერთი სფერო: მაგალითად, სოციოლოგია (Tedeschi, 1994), ძალაუფლების/მმართველობის მოპოვების თეორია (Kellermann, 1996), სამეტყველო აქტების თეორია (Salgueiro, 2010), მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება (Shapiro, Debra L. and Kulik, Carol T. 2004), სამსახურებრივი ძალადობა (Jenkins, E., 1998; Elliott, R., and Jarrett, D., 1994), პოლიტიკური ლინგვისტიკა (Sechser, 2010), თუმცა მოცემული ნაშრომის თემას არ წარმოადგენს მხოლოდ მუქარის ცნების ანალიზი. აქ წარმოდგენილია მუქარის ფენომენის გამოხატვასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი: კომუნიკაცია, სამეტყველო აქტები, მუქარის სოციოლინგვისტური მახასიათებლები, მისი გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები, მათი ენობრივი მარკერები, თავაზიანობის თეორია, სოციალური სახის ცნება, თავაზიანობის სტრატეგიები და სახის შელახვისა თუ შენარჩუნების აქტები.

აღსანიშნავია, რომ ენის სემანტიკური ბუნება მჭიდროდ უკავშირდება გარეენობრივ სამყაროს და რეალობის ასახვის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, ენობრივი სიტუაციების სწორმა ანალიზმა შესაძლებელია რეალური სიტუაციების ადეკვატურ ახსნამდე მიგვიყვანოს. მუქარის სწორი ენობრივი ანალიზით კი შესაძლებელია მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. სწორედ ამიტომ მეცნიერები, პრაქტიკოსები და რიგითი ადამიანები ერთხმად აღიარებენ მუქარის სწორი ანალიზის უდიდეს მნიშვნელობას.

მოცემული ნაშრომი მუქარის ლინგვისტური ბუნების აღწერის, მუქარის დისკურსისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების განსაზღვრის და მუქარის შეფასების გზების, აღნიშნული დისკურსისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების ანალიზით ჩვენების ცდას წარმოადგენს.

თემის აქტუალურობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მუქარის ფენომენისადმი ინტერესის გამოხატვა დღითიდღე მნიშვნელოვნად იზრდება. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენათმეცნიერებაში საკმაოდ მწირი თეორიული მასალა მოიპოვება მუქარის დისკურსისა და პოზიციის სემანტიკური ფუნქციის კვლევის შესახებ.

მუქარა წარმოადგენს ისეთ სამეტყველო აქტს, რომელიც ადამიანების კომუნიკაციის პროცესში რეალიზდება. სწორედ ამიტომ მისი ენის საკითხი პირდაპირ უკავშირდება კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების საკითხებს. როგორც კომუნიკაცია, ისე სამეტყველო აქტები ხასიათდება ფართომასშტაბიანი გამოყენების არეალით. პრაქტიკაში მათ იყენებს ნებისმიერ სფეროში მოღვაწე პიროვნება, თუმცა მათი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები ყველასთვის ცნობილი არ არის.

გამომდინარე იქიდან, რომ ენა არ არის განყენებული ფენომენი, ის სოციუმში ცოცხლობს და ფუნქციონირებს, მნიშვნელოვანია მისი სოციოლინგვისტური კუთხით კვლევა. კომუნიკაცია და მეტყველება ადამიანური ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, მათ შესახებ წარმოდგენილი თეორიული ინფორმაციის ანალიზი საშუალებას მოგვცემს, პასუხი გავცეთ კომუნიკაციასა და მეტყველებასთან დაკავშირებულ კითხვებს, რომლებიც გაჩნდება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. სწორედ ამიტომ მუქარის კვლევაში დიდი როლი უჭირავს სოციოლინგვისტურ ფაქტორსაც, რადგან ის წარმოადგენს როგორც ლინგვისტურ, ისე სოციალურ ფენომენს.

მუქარის ბუნების სრულფასოვანი შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება მუქარის რეალურობის განსაზღვრა და მისი განხორციელების შემთხვევაში სავარაუდო შედეგების პროგნოზირება. ამისათვის აუცილებელია შევისწავლოთ, თუ რა ხერხებით გამოიხატება მუქარა, ექსპლიციტურია იგი თუ იმპლიციტური და პოზიციის რომელი მარკერები განაპირობებენ მის რეალურობას.

გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა წარმოადგენს ძალადობრივ სამეტყველო აქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის სოციუმის წევრს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ისეთი ლინგვისტური საკითხები, როგორებიცაა თავაზიანობა და სახის ცნება. სწორედ ამ საკითხებშია დეტალურად აღწერილი სოციალური სახისათვის საფრთხის შემცველი აქტები და თავაზიანობის სტრატეგიები, რომლებიც მის არიდებას ემსახურება და სახის შენარჩუნებაზეა გამიზნული.

ნაშრომის მიზანია კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, მუქარის ცნების დაზუსტება და სოციოლინგვისტურ ასპექტში განხილვა, მისი გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმების აღწერა, პოზიციის ენობრივი მარკერების განსაზღვრა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში, თავაზიანობის თეორიისა და სოციალური სახის ცნების განმარტება, თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვისა თუ შენარჩუნების აქტების ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება **ნაშრომის ამოცანები**:

- კომუნიკაციის ფენომენის განსაზღვრა, სახეობების კლასიფიკაცია ფუნქცია-დანაშულებებისა და ტექნიკური თვალსაზრისის მიხედვით და ამ კლასიფიკაციის საფუძველზე არსებული მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა;
- სამეტყველო აქტების თეორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეხედულების ანალიზი;
- მუქარის ლინგვისტური თავისებურებების განსაზღვრა და შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მსგავსება-განსხვავებების დადგენა ინგლისურსა და ქართულ ენებში;
- სოციოლინგვისტური ცნებების განმარტება და მათი როლის განსაზღვრა მუქარის ფენომენის კვლევაში;
- მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმების ანალიზი;

- პოზიციის ცნების განმარტება და პოზიციის მარკერების მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა ქართულსა და ინგლისურ ენებში;
- თავაზიანობის თეორიისა და სოციალური სახის ცნების შესახებ სხვადასხვა ავტორის შეხედულებების კრიტიკული ანალიზი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით;
- თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვა-შენარჩუნების აქტების სისტემური ფორმით წარმოდგენა და ამ სისტემების მიხედვით მუქარის ფენომენის დახასიათება.

თემის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ ლინგვისტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი მუქარის ფენომენის პრობლემატიკა ინტერპერსონალური კომუნიკაციის, სამეტყველო აქტების თეორიის და პრაგმატიკის კუთხით, რადგან მკვლევართა ნაწილი (მაგ.: Salgueiro, 2010; Muschalik, 2018) მუქარის მხოლოდ ცალკეულ ასპექტს განიხილავდა, სწორედ ამიტომ აღნიშნულ ნაშრომში განხილული და კრიტიკულად გაანალიზებულია ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა; გამოკვლეულია, თუ რა როლი აკისრია მუქარას ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში; როგორ არის იგი წარმოდგენილი სამეტყველო აქტების თეორიაში; რა პრაგმატიკული თავისებურებები ახასიათებს მას, თუ რამდენად რეალურია ის.

თემის საკვლევო ობიექტია მუქარის შემცველი ნიმუშები ინგლისური და ქართული პოლიტიკური დისკურსიდან; კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში გამოყენებული მუქარის შემცველი განცხადებების ლინგვისტური ანალიზი. სულ გაანალიზებულია 160 მაგალითი, რომელთაგან 80 ქართულია და 80 – ინგლისური.

ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს მუქარის თემაზე დღემდე შექმნილი ქართველი და უცხოელი ლინგვისტების ნაშრომების, დისერტაციების, მონოგრაფიებისა თუ სამეცნიერო სტატიების კრიტიკული მიმოხილვა, რასაც ეფუძნება მუქარის ენის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური ასპექტებით კვლევა.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგი ლინგვისტური მოძღვრებანი: ენათმეცნიერება (გამყრელიძე და სხვ., 2008; ნებიერიძე, 1991; სოსიური, 2002; ჩიქობავა, 1983; Biber, 2006; Biber et al., 1999; Conrad et al.; 2000; Duranti, 1997; Lyons, 1977), სამეტყველო აქტები და თავაზიანობის თეორია (თევზაძე, 2012; ლევიძე, 2011; მერაბიშვილი, 2011; Austin, 1962; Brown et al., 1987; Goffman, 1967; Grice, 1991; Searle, 1975; 1969; Yule, 1996; Walton, 2014; Watts et al., 2005), კომუნიკაციური ლინგვისტიკა (ლებანიძე, 1998; 2004), სოციოლინგვისტიკა (ლადარია, 2002; Habermas, 1984; Wardhaugh, 2006), ფსიქოლინგვისტიკა (მინდაძე, 2009), კომუნიკაცია (ლიპარიშვილი, 2009; სურგულაძე და სხვ., 2003; მახარაძე და სხვ., 2010; ლუმანი, 2007; მახარობლიძე, 2016;), მუქარის ენა (Appiah et al., 2015; Bourdieu, 1991; Davis, 1997; Fraser, 1998; Gales et al., 2010; Gales, 2015; Geiwitz, 1967; Glukhov et al., 2015; Jenkins, 1998; Kellermann, 1996; Kent, 1967; Lakoff et al., 1987; Meloy et al., 2012; Milburn et al., 1981; Muschalik, 2018; Napier et al., 2003; Salgueiro, 2010; Scanlon, 2008; Sechser, 2010; Shapiro et al., 2004; Shuy, 1993; Storey, 1995; Tedeschi et al., 1994; Yeboaba, 2012).

კვლევის მეთოდოლოგია. დასახული ამოცანების გადაჭრის მიზნით გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: მუქარის სოციოლინგვისტური, პრაგმატიკული, აღწერილობითი, ფუნქციურ-სემანტიკური და შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიული ღირებულება განისაზღვრება ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით. ჩატარებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია დისკურსის ანალიზში, სოციოლინგვისტურსა და ფსიქოლინგვისტურ კვლევებში, ფსიქოლოგიის და ნეირო-ფსიქოლოგიის ლექციების კურსში. იგი ასევე დახმარებას გაუწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს საკვალიფიკაციო ნაშრომებზე მუშაობისას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად. ნაშრომს თან ახლავს დასკვნა, ბიბლიოგრაფია, ინტერნეტწყაროების ჩამონათვალი და კვლევაში გაანალიზებული მაგალითები დანართის სახით.

I თავში განხილულია მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლები; ის გაანალიზებულია სამეტყველო აქტების თეორიის კუთხით და წარმოდგენილია მუქარის კლასიფიკაცია როგორც საფრთხის მაჩვენებლის დონის, ისე შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით.

II თავში განხილულია მუქარის ვერბალური ფორმები და მათი პრაგმატიკული ფუნქციები, თავაზიანობის თეორიისა და სოციალური სახის ცნების მიმოხილვა; ასევე გამოყოფილია ვერბალური მუქარის ლექსიკური და გრამატიკული მახასიათებლები.

III თავში სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ კლასიფიკაციათა საფუძველზე წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების ენაში დაფიქსირებული მუქარის შემცველი განცხადებების შეპირისპირებითი დახასიათება.

ზოგად დასკვნებში მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები.

I თავი. მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლები

1.1. კომუნიკაციის რაობა, სახეები და მნიშვნელობა

კომუნიკაცია ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების საფუძველია. საზოგადოების წინსვლა-განვითარება დამოკიდებულია ინდივიდების თანაცხოვრებაზე, მათს კავშირ-ურთიერთობასა და წარმატებულ კომუნიკაციაზე. სწორედ ეს არის მიზეზი ამ უკანასკნელის მიმართ მეცნიერების განსხვავებული დარგებისა და მიმართულების დიდი ინტერესისა. საზოგადოებრივი აზრის ისტორია ადასტურებს, რომ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები, ფსიქოლოგები, ლინგვისტები და ჟურნალისტები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ადამიანურ ურთიერთობებში თავჩენილი პრობლემებით. აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ყველა მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს კომუნიკაციის სირთულის შესახებ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი კომუნიკაციის საკითხებისადმი. ამას განაპირობებს კიბერნეტიკის, კომუნიკაციის, მათემატიკური თეორიისა და თანამედროვე ელექტრონული სისტემების სწრაფი განვითარება. ნ. ვინერის, კ. შენონის, უ. ეშბის, ა. ბერგის ა. კოლმოგოროვის და სხვათა ნაშრომებში გაჩნდა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში ფართოდ გავრცელდა ტერმინები: „კომუნიკაცია“, „ინფორმაცია“, „ინფორმაციის გაცვლა“.

სპეციალურ ლიტერატურაში დღესდღეობით კომუნიკაციის კვლევასა და გაგებაში არსებობს მრავალრიცხოვანი მოსაზრებანი, განსხვავებული ზოგადთეორიული და სპეციალური მიდგომები. 60-იანი წლების დასაწყისისათვის უცხოურ ფილოსოფიურსა და სოციოლოგიურ ლიტერატურაში არსებობდა კომუნიკაციის ასამდე განსაზღვრება.

კომუნიკაციის ცნებას თითოეულ სფეროში განსხვავებულად ხსნიან. რევაზ სურგულაძე და ელდარ იბერი წიგნში „მასობრივი კომუნიკაცია“, აღნიშნავენ, რომ „სოციოლოგიაში, ფილოსოფიასა და ინფორმაციის თეორიაში ტერმინი

„კომუნიკაცია“ სამი მნიშვნელობით იხმარება: კავშირის საშუალება მატერიალური და სულიერი სამყაროს ნებისმიერ ობიექტებს შორის; ურთიერთობა, ერთი ადამიანისაგან მეორისთვის ინფორმაციის გადაცემა; ინფორმაციის გაცვლა საზოგადოებაში (სოციალური კომუნიკაცია)“ (სურგულაძე, იბერი, 2003 :14).

თ. გამყრელიძის თანახმად, „კომუნიკაცია (ლათ. *commūnicatio* – „ურთიერთობა“; „გაცვლა-გამოცვლა“; „შეტყობინება“) არსებითად სოციალური მოვლენაა და ადამიანთა საზოგადოებაში უპირატესად *შეტყობინებათა* (ინგლ. *message*) გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს“ (გამყრელიძე და სხვ., 2008 :46).

ამავე ავტორის მტკიცებით, კაცობრიობის ისტორიაში ჩამოყალიბებულ მრავალ საკომუნიკაციო სისტემას შორის ყველაზე მნიშვნელოვან და გამორჩეულ ადგილს „ადამიანის ბუნებრივი ენა“ იკავებს, რომელიც შეტყობინებათა მიმოცვლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. სხვა საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც, თ. გამყრელიძის აზრით, „ადამიანთა საზოგადოებაში მეორეული წარმომავლობისაა“, საფუძველს ისევ და ისევ ბუნებრივი ენიდან იღებს და მათი სრულყოფილად ფუნქციონირებაც სწორედ ამ ენას ემყარება (იქვე).

გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი საუბრობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი როლი მიუძღვის კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებს საზოგადოებრივი ევოლუციის პროცესში (ლუმანი, 2007 :8). მისი აზრით, ეს გასაკვირი არც არის, რადგან, „ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება. ... კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს“ (იქვე).

ქართველი ენათმეცნიერი ა. ჩიქობავა ენის საკომუნიკაციო ფუნქციას მის უპირატეს მახასიათებლად მიიჩნევს. მისი აზრით, „თუ ენა დაკარგავს ამ ფუნქციას, ანუ თუ ენა ურთიერთობის იარაღს აღარ წარმოადგენს, მისი არსებობისათვის საკმარისი მხოლოდ ექსპრესიული ფუნქცია ვერ იქნება“ (ჩიქობავა, 1983 :178).

ენათმეცნიერი გ. ლეხანიძე აღნიშნავს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფორმულირებამდე კომუნიკაციის ცნება „გაგებულ იყო, როგორც აქტუალიზაცია ისეთი რეალობისა, რომელიც კომუნიკაციამდე არსებობდა (ენობრივი კოდი,

ენობრივი სისტემა, ადამიანის ენობრივი უნარი“ (ლეხანიძე, 1998:47), თუმცა მეცნიერის აზრით, კომუნიკაციის აქტი (პროცესი) უნდა განისაზღვროს, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელი უფრო ფართო, ყოვლისმომცველ ქმედებათა ნაირსახეობა ან კომპონენტი: „კომუნიკაციის აქტი არასოდეს არ არის ჭეშმარიტად და ბოლომდე ავტონომიური აქტი, იგი მუდამ არის უფრო ტევადი, უფრო მეტის მომცველი, ადამიანური ქმედების კომპონენტი“ (იქვე).

ეს განმარტებები ადასტურებს, თუ რამდენად მრავალმხრივია „კომუნიკაციის“ ცნება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის გაგება სხვადასხვა ასპექტით არის შესაძლებელი; კერძოდ:


- უნივერსალური (ფართო), რომლის დროსაც კომუნიკაცია განიხილება, როგორც საშუალება სხვადასხვა ობიექტს შორის კავშირის დასამყარებლად მატერიალურ და სულიერ სამყაროში;
- ტექნიკური ასპექტი, რომელიც გულისხმობს ერთმანეთთან დამაკავშირებელ ორ ან მეტ გზას, ინფორმაციისა და სხვა მატერიალური თუ სულიერი ობიექტების გადაცემის საშუალებას ერთი ადგილიდან მეორეზე;
- სოციალური ასპექტი, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში წარმოშობილი მრავალგვარი კავშირებისა და ურთიერთობების დახასიათებისას. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სოციალური კომუნიკაცია – კომუნიკაციური პროცესები საზოგადოებაში.

ის, რომ კომუნიკაციურ პრობლემებს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია, ლინგვისტიკა, ეკონომიკა და ა.შ. შეისწავლის, გვიჩვენებს, რომ იგი არის საკმაოდ რთული და მრავალმხრივი მოვლენა, რომელიც მოიცავს არა მარტო ადამიანთა საზოგადოებას, არამედ მის ყველაზე მცირე უჯრედსაც კი.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი კომუნიკაციის პროცესი მრავალი საფეხურისგან შედგება და გარკვეულწილად მათი იერარქიულად დალაგებაც არის შესაძლებელი (სურგულაძე, იბერი, 2003 :5).

წიგნში „მასობრივი კომუნიკაცია“ აღნიშნული დონეები რევაზ სურგულაძესა და ელდარ იბერს სქემატურად შემდეგი სახით აქვთ წარმოდგენილი (სურგულაძე, იბერი, 2003 :5) (იხ. სქემა №1).

სქემა №1 კომუნიკაციური დონეები მასშტაბის შემცირების მიხედვით



აღნიშნული სქემიდან, ვფიქრობ, ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყურადსაღებ პუნქტს ინტერპერსონალური კომუნიკაცია წარმოადგენს, რადგან თითოეული ადამიანი კომუნიკაციის ამ ეტაპს ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის გამუდმებით იყენებს და ამ დროს ყველაზე დიდია მუქარის აქტის განხორციელების შესაძლებლობა.

„ინტერპერსონალური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, ანუ კომუნიკაციას იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებთ“ (მახარაძე, სუმბაძე, 2010:7).

ინტერპერსონალური კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ცალმხრივად ან ორმხრივად.

თამარ მახარობლიძე ცალმხრივ და ორმხრივ კომუნიკაციას შემდეგნაირად განმარტავს: **ცალმხრივი კომუნიკაციის** დროს მხოლოდ ერთი ადამიანი საუბრობს და ასეთ დროს არ გამოიყენება ისეთი ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიც არის შეკითხვის დასმა, დისკუსია, საკუთარი აზრის გამოთქმა და სხვა (მახარობლიძე, 2016 :2).

ორმხრივ კომუნიკაციაში მოიაზრება ინტერაქტიული კომუნიკაციის პროცესი. მასში მეტ-ნაკლები ხარისხით ჩართულია ორივე მხარე; ინფორმაციის მიმოცვლისას ორივე მონაწილე გვევლინება ამ ინფორმაციის როგორც გამცემის, ისე მიმღების როლში, რაც უფრო აიოლებს ინფორმაციის სწორად აღქმასა და მის სათანადოდ გააზრებას.

საზოგადოებრივი კომუნიკაციის დროს კომუნიკაციურ პროცესში ადრესანტის ფუნქციას ასრულებს ერთი მეტყველი სუბიექტი, ადრესატის ფუნქციას კი – საზოგადოების გარკვეული ჯგუფი. ამ დროს მეტყველი სუბიექტი თავის თავზე პასუხისმგებლობას იღებს, ვერბალურად გადასცეს ინფორმაცია ადამიანთა ჯგუფს. ეს უკანასკნელი კი მიღებულ ინფორმაციას მხოლოდ შეზღუდული ვერბალური ფორმით ან კიდევ არავერბალური სახით: ტაშის დაკვრით, ღიმილით, ჟესტებით, სახის გამომეტყველებით პასუხობს.

კომუნიკაცია განყენებული ცნება არ არის და მის განსახორციელებლად აუცილებელია ფონური მონაცემების არსებობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის პროცესი ვერ განხორციელდება ისეთ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სულ მცირე საერთო საკომუნიკაციო რეალური ან ვირტუალური სივრცე მაინც და საერთო საკომუნიკაციო სიმბოლოები (ენა, ჟესტები და ა.შ.).

მრავალრიცხოვან ფუნქციათაგან უმნიშვნელოვანესია **ეფექტური** კომუნიკაციის დამყარება. იმისათვის, რომ „შედეგს“ **ეფექტური კომუნიკაცია**, აუცილებელია არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება. მაგალითად: კომუნიკანტების

შესახებ წინასწარი ინფორმაციის ფლობა, მოსმენის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება ორაზროვნებისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, კულტურათშორისი განსხვავებების აღიარება, მოსაუბრის ასაკის, სქესის და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინება, საკუთარი და სხვისი სტერეოტიპების გაცნობიერება, ეთიკური ნორმების დაცვა და სამეტყველო ეტიკეტის გარკვეულ დონეზე ფლობა.

კომუნიკაციის სისტემის სტრუქტურა ხუთი ძირითადი წევრით არის წარმოდგენილი, რომელთა ერთობლივ მოდელს გარკვეული სისტემური ციკლის სახე შეიძლება ჰქონდეს (ლიპარიშვილი, 2009 :4). გიორგი ლიპარიშვილის თანახმად, ეს წევრებია:


- წყარო, რომელიც ახდენს ინფორმაციის კოდირებას და წარმოქმნის მესიჯს;
- არხი, რომელიც ახდენს სამეტყველო სიგნალების ადაპტირებას;
- შეტყობინება, რომელიც წარმოადგენს დეკოდირებულ ინფორმაციას;
- მიმღები, რომელიც ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას (რეკონსტრუირებას);
- უკუგება, რომელიც არის დანიშნულების ადგილი, სადაც უკუმესიჯი მიდის.

ეს ხუთი კომპონენტი ერთ სრულ კომუნიკაციურ აქტს ქმნის და სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ (იხ. სქემა № 3) (სქემა შედგენილია ჩვენ მიერ და მას საფუძვლად უდევს გ. ლიპარიშვილის სქემის მოდელი (იხ. სქემა №2).

სქემა №2 (გ. ლიპარიშვილის სქემის მოდელი)




(წყარო- ლიპარიშვილი, 2009 :6).




აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი კომუნიკაციის მოდელი ერთადერთი არ არის და სხვადასხვა ავტორთან კომუნიკაციის პროცესი განსხვავებული სქემის სახით გვხვდება (იხ. სქემა №4 და სქემა №5).

სქემა №4 (ენის ე.წ. „კლასიკური“ კომუნიკაციური მოდელი; ი. მინდაძე)



(წყარო - ი. მინდაძე, 2009 :153).

სქემა № 5 (კარლ ბიულერის ორგანონ-მოდელი)



(წყარო - ი. მინდაძე, 2009 :149).

სქემა №4-ზე ასახული მოდელის მიხედვით, ენის პროდუქცია (გაცემა) და რეცეფცია (მიღება-აღქმა) სარკისებრ პროცესებს წარმოადგენს, რაც მთლად მართებული არ არის, რადგან ასეთი პროცესი არ ითვალისწინებს კონტექსტს, რაც კომუნიკაციის დროს გაგების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ხოლო რაც შეეხება № 5 სქემაზე გამოსახულ კ. ბიულერის მოდელს, იგი კოდირება-დეკოდირების ტიპის კომუნიკაციური მოდელების ნიმუშს წარმოადგენს (მინდაძე, 2009 :149).

მიუხედავად განსხვავებულობისა, კომუნიკაციის ნებისმიერ მოდელში უცვლელად არის წარმოდგენილი მისი ძირითადი ელემენტები: გამგზავნი, ინფორმაცია და მიმღები.

1.2. ვერბალური კომუნიკაცია და სოციალიზაციის პროცესი

კომუნიკაცია შეიძლება იყოს **ვერბალური** და **არავერბალური**, იგივე შესტური ანუ კინეტიკური მეტყველება და სხეულის ენა. როგორც ქართველი ენათმეცნიერი

გივი ნებიერიძე აღნიშნავს, „საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს არა მარტო ბგერით ენას, ამავე ფუნქციას ასრულებს დამწერლობაც (გრაფიკული ენა), ქესტიკულაცია და სხვა“ (ნებიერიძე, 1991 :9).

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს და ურთიერთ-შემავსებელი ფუნქციის მქონე ელემენტებს წარმოადგენენ.

ქართველი მეცნიერის – ივა მინდაძის აზრით, არავერბალური კომუნიკაციის ნიშნები ვერბალურ ნიშნებთან შედარებით, როგორც წესი, ნაკლებად სტრუქტურირებულია. ვერბალური ენა მოიცავს ბგერების, სიტყვების, ფრაზებისა და მათი ურთიერთდაკავშირების წესების გარკვეულ რაოდენობას, რომელთა მართებულ გამოყენებასა და სათანადო ინტერპრეტირებას ადამიანი მეტყველების დაწყების პროცესიდან ეუფლება. ამის საპირისპიროდ, იმავეს ვერ ვიტყვით არავერბალური ნიშნების გამოყენებაზე. გარდა იშვიათი გამონაკლისებისა (მაგ.: უნივერსალური აღნიშვნები, რომლებიც თითქმის ყველა ენაზე მოსაუბრისთვის გასაგებია), არავერბალური ნიშნების გამოყენების მტკიცედ დადგენილი წესები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, არავერბალური ნიშნების ცალსახად ინტერპრეტირება სირთულეს წარმოადგენს (მინდაძე, 2009 :147).

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მათი მიმდინარეობის საზღვრები. კერძოდ, არავერბალურ კომუნიკაციას მტკიცედ დადგენილი საწყისი და სასრული ფაზა არ გააჩნია. ის შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ კომუნიკანტები ერთმანეთის მხედველობის არეში არიან. ვერბალურ კომუნიკაციას კი, შედარებით მკაფიოდ გამოხატული დასაწყისი და დასასრული აქვს (მინდაძე, 2009 :147).

მეტყველების პროცესში ვერბალური კომუნიკაციით ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი გადაიცემა, ხოლო არავერბალური კომუნიკაციის დროს კი ეს ინფორმაცია სრულყოფილად გადაიცემა ქესტებით, მიმიკითა და პოზით.

ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ძირითად შემთხვევაში მეტყველების კონტროლი გაცილებით იოლია, არავერბალური კომუნიკაცია კი ხშირად ქვეცნობიერი და შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ინსტინქტურია და აქედან გამომდინარე, მისი გაკონტროლებაც შესაძლებელია ძნელი აღმოჩნდეს. თუ კომუნიკაციის ეს ორი გზა არ თანხვდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ვერბალური შეტყობინება აცდენილია გონებრივ ხატს, ანუ, ადამიანი ფიქრობს ერთს და ამბობს სხვას. შინაგანი განწყობა, ნებისმიერი განცდა: ინტერესი, ბრაზი, მოლოდინი, ტყუილი, სიხარული თუ მოწყენილობა, ვერბალური კომუნიკაციის პროცესში გადმოიცემა პარავერბალური ელემენტებით.

ვერბალური კომუნიკაცია ორი ფორმით არის წარმოდგენილი: ზეპირი მეტყველება და წერიტი კომუნიკაცია. მათ შორის ბევრია მსგავსება. ორივე მათგანი ეფუძნება კომუნიკაციის პროცესის შემადგენელ ძირითად ელემენტებს, თუმცა კომუნიკაციის ამ ორ ტიპს შორის არსებობს განსხვავებანიც (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

კომპონენტები	წერიტი კომუნიკაცია	ზეპირი მეტყველება
1. მოქნილობა	წინასწარ მტკიცედ განსაზღვრული, თანმიმდევრული და ხისტი.	ხასიათდება მოქნილობის მაღალი მაჩვენებლით.
2. უკუკავშირი	მოითხოვს დიდ დროს	უკუკავშირი მყისიერია
3. საჭირო დრო	შეტყობინების მომზადებასა და გადაცემას სჭირდება შედარებით ხანგრძლივი პერიოდი	შეტყობინების მომზადებასა და გადაცემას სჭირდება შედარებით ხანმოკლე პერიოდი

4. სანდოობა / საიმედოობა	ყველაზე სანდო	ნაკლებად ან საერთოდ არა სანდო
5. ლეგალურობა	წერიტი კომუნიკაციის ლეგალურ მტკიცებულებად გამოყენება შეიძლება	ზეპირ მეტყველებას კანონიერი ძალა არ აქვს
6. ფაქტების დამახინჯება	იშვიათი ან ზოგჯერ შეუძლებელიც კი	ადვილადაა შესაძლებელი
7. ეფექტურობა	ახდენს გაცილებით მცირე ეფექტს, ვიდრე ზეპირი მეტყველება.	კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური ტიპია
8. ფორმალური სტილი	შენარჩუნებულია უმეტეს შემთხვევაში	მკაცრად ფორმალური სტილი ზეპირ მეტყველებაში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ყველაზე ოფიციალურ გარემოშიც კი საუბარმა შეიძლება არაფორმალური ხასიათი სულ მცირე ხნით მაინც მიიღოს.
9. ემოციების გავლენა	ემოცია იშვიათად ახდენს გავლენას წერილობით კომუნიკაციაზე	ზეპირ მეტყველებაში ემოციების როლი ძალიან დიდია
10. ინფორმაციის / მონაცემთა შენახვა	შესაძლებელია, რამდენადაც კომუნიკაციის	შეუძლებელია, რადგან საუბარი არ ფიქსირდება რაიმე

სამომავლოდ	დოკუმენტირებული ფორმაა	ფორმით.
11. განათლების დონე	წერიტი კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია კომუნიკანტების განათლების დონე თანხვედრა, რათა კომუნიკაციის აქტი შედგეს.	თუ მხარეთა განათლების დონეები განსხვავებულია, ეს ზეპირი კომუნიკაციის წარმართვისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

(ინტერნეტწყარო №1, 2)

ფრანგი ენათმეცნიერი ფ. დე სოსიური განიხილავს დამწერლობის უპირატესობის საკითხს ზეპირმეტყველებასთან შედარებით და ასახელებს რამდენიმე მიზეზს, რომლებითაც აიხსნება აღნიშნული ფაქტი.

პირველი გახლავთ სიტყვების გამოსახულების მდგრადობა და უცვლელობა დროთა განმავლობაში. მეორე მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ „ინდივიდთა უმრავლესობისათვის მხედველობითი შთაბეჭდილება უფრო აშკარა და ხანგრძლივია, ვიდრე აკუსტიკური“ (სოსიური, 2002:36). მეცნიერი მიიჩნევს, რომ დამწერლობისათვის „დაუმსახურებელი“ პირველხარისხოვანი როლის მინიჭებაში დიდი წვლილი მიუძღვის სალიტერატურო ენას. „ავიწყდებათ, რომ ჯერ ლაპარაკს სწავლობენ, შემდეგ კი წერას და ბუნებრივი ურთიერთმიმართება თავდაყირა დგება“ (იქვე, 36).

ჩვენი საკვლევი საკითხი, მუქარის ფენომენი, რეალიზდება კომუნიკაციის ორ: წერილობითსა და ზეპირ ფორმაში, სწორედ ამიტომ მათ შესახებ ასეთი დეტალების ცოდნა დაგვეხმარება უფრო სრულყოფილად და ამომწურავად აიხსნას მუქარის, როგორც კომუნიკაციის ფორმისა და მეტყველების აქტის, როლი სოციალიზაციის პროცესში.

1.3. ვერბალური კომუნიკაცია და სამეტყველო აქტების თეორია

საკუთარი თავის გამოხატვის მიზნით ადამიანები არამხოლოდ გადმოსცემენ სტრუქტურულად გამართულ ლინგვისტურ გამონათქვამებს, არამედ ამ გამონათქვამების მეშვეობით გარკვეულ ქმედებასაც ასრულებენ (Yule, 1996:47). აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენს სამეტყველო ურთიერთობის მინიმალურ, ძირითად ერთეულებს, რომლებშიც რეალიზდება მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური მიზანი და ამავდროულად ხდება ზემოქმედება ადრესატზე. ქმედება, რომელიც ხორციელდება გამონათქვამის მეშვეობით, **სამეტყველო აქტის** სახელით არის ცნობილი. სამეტყველო აქტი წარმოადგენს გარკვეული სახის სოციალური ხასიათის ინტერაქციას, რომელიც სიტყვების მეშვეობით გამოხატავს კონკრეტულ სამეტყველო განზრახვას, როგორებიცაა, მაგალითად: თხოვნა, შეთავაზება, უარყოფა, კომპლიმენტი, დაპირება და სხვა (იქვე).

გამომდინარე იქიდან, რომ სამეტყველო აქტი არ წარმოადგენს განყენებულ ცნებას და ქმედების ერთ-ერთი სახეობაა, მისი ანალიზისათვის უნდა გამოვიყენოთ ის კატეგორიები, რომლებიც ნებისმიერი ქმედების დახასიათებისა და შეფასებისათვის არის საჭირო: სუბიექტი, მიზანი, ხერხი, საშუალება, ობიექტი, პირობები, გარემოება, წარმატებულობა და ა.შ. (თევზაძე, 2012:58). ასეთი კატეგორიები და მასთან დაკავშირებული გამონათქვამები ქმნიან **სამეტყველო მოვლენას** (Yule, 1996 :47).

მეტყველი სუბიექტის გამონათქვამი გათვლილია მსმენელის აღქმაზე. გამონათქვამთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოების გათვალისწინების მიხედვით მეტყველი სუბიექტის მიზანი ან მიიღწევა, ან – ვერა, ანუ შესაძლებელია, იყოს წარმატებული ან წარუმატებელი.

ჯონ ოსტინის განმარტებით, სამეტყველო აქტის წარმატებულობისათვის საჭიროა:

- სამეტყველო აქტის მონაწილეთათვის მისაღები და გასაგები სიტუაციის არსებობა (მაგ.: შესაბამისი გარემო);

- მონაწილეების თანაბარი ჩართულობა აქტის აღქმის პროცესში (რამდენად სწორად და მიზანმიმართულად იქნა გადაცემული და გაგებული ინფორმაცია);
- შესაბამისი უფლებამოსილება განაცხადის გასაკეთებლად (Austin, 1962 :14).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციური მარცხის თავიდან ასარიდებლად და სამეტყველო აქტის წარმატებულად განხორციელებისათვის მინიმუმ, აღნიშნული აქტი არ უნდა იყოს უადგილო. ასეთი უადგილო აქტის ნიმუშად მკვლევარი მ. თევზაძე ასახელებს ქართულ ზღაპარ „მუჭანახევარას“ (თევზაძე, 2012 :59).

წარმოვიდგინოთ, რომ გამოცდის მსვლელობისას დგება სტუდენტი და აუდიტორიას მიმართავს სიტყვებით „გამოცდას დასრულებულად ვაცხადებ!“ (ბ.ჭ.) რასაკვირველია, აქტი უადგილოა, რადგან ის არ არის უფლებამოსილი ეს განცხადება გააკეთოს და მისი მიზანი მიუღწეველი დარჩება, ხოლო სამეტყველო აქტი– წარუმატებელი, ხოლო თუ ზემოთ თქმული სიტყვები ეკუთვნის მასწავლებელს, თავისთავად სამეტყველო აქტის წარმატებით განსახორციელებლად საჭირო პირობითობა დაცულია.

სამეტყველო აქტების თეორიაში გამოიყოფა მისი ანალიზის სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი (Yule, 1996:48). პირველი, რომელიც გამონათქვამის საფუძველს წარმოადგენს, არის **ლოკუციური აქტი** (ლათ. locution - თქმა). ეს არის ლინგვისტურად გამართული, გარკვეული მნიშვნელობის მქონე გამონათქვამი, რომელიც გასაგებია კომუნიკანტებისათვის. თუკი ჯ. იულს დავესესხებით, ვნახავთ, რომ გამონათქვამი „*Aha mokofa*“ (იქვე) ვერ ჩაითვლება ლოკუციურად, თუ ჩვენ არ გვესმის მოცემული ენა, მაშინ როდესაც იგივე გამონათქვამი უკვე ლოკუციური აქტის მაგალითია ინგლისური ენის მცოდნეთათვის: “I’ve just made some coffee” (Yule, 1996 :48).

ლოკუციური აქტი არ არის უბრალოდ რაღაცის თქმა, რადგან ის წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას. ეს სისტემა მოიცავს ბგერების წარმოთქმას (ფონაციის

აქტი), სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას გრამატიკული წესების მიხედვით, სიტყვების მეშვეობით ობიექტის აღნიშვნას (რეფერენციის აქტი) და ამ ობიექტისათვის გარკვეული სახის ნიშან-თვისებისა თუ მიმართების მიკუთვნებას (პრედიკაციის აქტი) (თევზაძე, 2012 :61).

ლოკუციური აქტის შექმნა რამდენიმე ეტაპიანი პროცესია. აღნიშნული ეტაპები სხვადასხვა ლინგვისტის ნაშრომებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ინგლისელი ენათმეცნიერის, ჯონ ლაიონსის, აზრით (Lyons, 1977:730-731), ლოკუციური აქტი შედგება სამი ეტაპისაგან:

- პირველი გახლავთ, გამონათქვამის მონახაზის გაკეთება, რაშიც იგულისხმება მეტყველების ფიზიკური აქტი (წერის დროს სიმბოლოების, ხოლო ზეპირმეტყველების დროს ბგერების შექმნა);
- მეორე – წინადადების შექმნა კონკრეტული ენის გრამატიკის სინტაქსის წესების თანახმად;
- ბოლო საფეხურს კი წარმოადგენს კონტექსტუალიზაცია, ანუ გამონათქვამის შესაფერის კონტექსტში ჩასმა და მისთვის იმ რეალური ფორმის მიცემა, რომელიც მას გასაგებს გახდის.

რაოდენ სწორად და გამართულადაც უნდა იყოს ფორმულირებული გამონათქვამი, მთავარი მაინც არის მისი არსებობის მიზანი (ანუ შინაარსი) და არა ფორმა. გამონათქვამის ჩამოყალიბებას წინ უძღვის წინასწარ, გონებაში ჩამოყალიბებული ფუნქცია, რომელსაც ეს გამონათქვამი ასრულებს. ეს სამეტყველო აქტის მეორე განზომილებას წარმოადგენს, რომელსაც *ილოკუციური აქტი* ეწოდება (Yule, 1996 :48).

ილოკუციური აქტი სრულდება გარკვეული კომუნიკაციური მიზნით (მაგ.: შეთავაზება, ახსნა-განმარტება, განცხადების გაკეთება, ინფორმაციის გადაცემა და სხვა) და განიხილება არაენობრივი კუთხით. ამ მიზანს გამონათქვამის *ილოკუციურ ძალასაც* უწოდებენ (Yule, 1996 :48).

ილოკუციური ძალის ამოსაცნობად (IFID – Illocutionary Force Indicating Device (Yule, 1996:49) ანუ, იმის დასაზუსტებლად, თუ რას ისახავს მიზნად მეტყველი სუბიექტი, გამონათქვამებში ყურადღება მახვილდება იმ ზმნებზე, რომლებიც პირდაპირ ასახელებს შესრულებულ ილოკუციურ აქტს. მაგალითად: *გიბრძანებ, გთხოვ, გეკითხები* და ა.შ. ასეთ ზმნებს ჯ. ოსტინი **პერფორმატივებს** უწოდებს, ხოლო წინადადებებს – **პერფორმატიულ წინადადებებს** (ინგ. Perform = შესრულება, განხორციელება) (Austin, 1962:6). მისი სიტყვების თანახმად, ასეთი ტიპის გამონათქვამებში აშკარად ჩანს, რომ მოქმელი (რა თქმა უნდა, სათანადო გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში) კი არ აღწერს საკუთარ ქმედებას, არამედ ასრულებს მას. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ჯ. ოსტინი გვთავაზობს შემდეგ მაგალითს:

მაგ. "I name this ship the Queen Elizabeth" (Austin, 1962 :5)

„ამ გემს ვარქმევ დედოფალ ელისაბედს.“

(სიტყვები წარმოითქმის გემის კიჩოზე ბოთლის მიმსხვრევის პარალელურად).

ამ შემთხვევაში ზმნა თვითონ აწარმოებს ქმედებას და როგორც ჯ. ოსტინი აღნიშნავს, ასეთ წინადადებებში მოცემულია არა რეალობის აღწერა, არამედ, თვით რეალობა (Austin, 1962 :6). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პერფორმატიული ზმნები ყოველთვის პირველი პირის აწმყო დროის ფორმით არის წარმოდგენილი და სხვა შემთხვევაში ამ ფუნქციას არ ასრულებენ.

მაგ. ა. გპირდები, 1 საათში დავბრუნდები!

*ბ. ისინი დამპირდნენ, რომ ერთად წავიდოდით სამოგზაუროდ.
(მაგალითები ჩვენია ბ.ჭ.)*

პირველ მაგალითში (ა) წარმოდგენილია ქმედება, ხოლო მეორეში – (ბ) მოქმედების აღწერა.

ქართველი მეცნიერის, მამუკა ბიჭაშვილის, მიხედვით, „პერფორმატიული გამოთქმა ანუ პერფორმატივი ენობრივი აქტიობის ფორმაა, რომელიც გამოთქმა/მოქმედებას წარმოადგენს“ (ბიჭაშვილი, 2006 :26). მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ენობრივი აქტივობა ენობრივი მოქმედების ნაირსახეობას წარმოადგენს, მათში პერფორმატივები გამოირჩევა იმით, რომ ისინი „წარმოადგენს ე.წ. გამოთქმა/მოქმედებებს არა მეტაფორული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით“ (იქვე). ამის გასაგებად ჯ. ოსტინი გვთავაზობს, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ კონსტატივები და პერფორმატივები (Austin, 1962 :4-5).

კონსტატიური გამოთქმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი წინადადება: „*მზე აღმოსავლეთიდან ამოდის*“, ხოლო პერფორმატივის მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად, მოსამართლის განცხადება: „*დამნაშავეს მიესაჯოს 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა*“. როგორც ამ ორი წინადადების შედარებიდან ჩანს, კონსტატივებსა და პერფორმატივებს შორის არსებული განსხვავება მართლაც თვალსაჩინოა. „კონსტატივები რაიმე ვითარების აღწერას წარმოადგენენ, ხოლო პერფორმატივები კი კონკრეტული მოქმედების განხორციელებას“ (ბიჭაშვილი, 2006:26).

პერფორმატიულ გამონათქვამზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, **ექსპლიციტურსა და იმპლიციტურ პერფორმატივებს**.

ჯ. ოსტინის თანახმად, პერფორმატიული გამონათქვამი ორი სახის შეიძლება იყოს (Austin, 1962:32). განსხვავება კი ისაა, შეიცავს თუ არა ეს გამონათქვამი პერფორმატიულ ზმნას. თუ პასუხი დადებითია, მაშინ საქმე გვაქვს ექსპლიციტურ პერფორმატიულ გამონათქვამთან, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში გამონათქვამი არის იმპლიციტური. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი მინიშნება იმაზე, რომ ნამდვილად პერფორმატიულ გამონათქვამთან გვაქვს საქმე, არის გამონათქვამის წარმოშობის რეალური განზრახვის ამოცნობა. იმპლიციტური გამონათქვამი არ გამოირჩევა რაიმე კონკრეტული ფორმით, ამიტომ მის ამოცნობასა და მისი ბუნების განსაზღვრაში უდიდესი როლი სწორედ კონტექსტს ენიჭება.

როგორც ა. დურანტი აღნიშნავს (Duranti,1997:220), გამონათქვამის მნიშვნელობასა და მის ძალას შორის სხვაობის წარმოჩენით ჯ. ოსტინმა ახლებური ხედვით წარმოადგინა ტრადიციული ლინგვისტური მოსაზრებები. აღნიშნულ საკითხზე ხაზგასმით ცხადად გამოჩნდა, რომ სიტყვათა ერთი და იგივე წყობა შესაძლებელია აბსოლუტურად განსხვავებულ აქტებს წარმოადგენდეს და თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა ილოკუციური ძალის მატარებელი იყოს, თუმცა ამავდროულად იარსებებს რაღაც მუდმივი, უცვლელი ელემენტი (აქ: „მნიშვნელობა“), რომელიც ყოველთვის შენარჩუნდება სამეტყველო აქტის ნებისმიერ აღქმაში.

მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

მაგ. Tom is drinking coffee (ტომი სვამს ყავას) (Duranti, 1997 :221).

მოცემული წინადადება შესაძლებელია წარმოითქვას ინფორმაციის გადაცემის მიზნით (ვატყობინებთ ვინმეს, თუ რას აკეთებს ახლა ტომი), ვინმეს გაფრთხილების მიზნით (მაგალითად, რეციპიენტმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ ტომი ემზადება გასასვლელად) და სხვა. ამის მიუხედავად, წინადადების გრამატიკული ფორმა და შინაარსი იგივე დარჩება. ასეთ დროს ჯ. ოსტინი აღნიშნავდა, რომ ამ ორ შემთხვევაში მნიშვნელობა იყო უცვლელი, მაგრამ გამონათქვამის ილოკუციური ძალა იცვლებოდა (Duranti, 1997 :221).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამონათქვამი ყოველთვის გულისხმობს რაიმე მიზანს, ლოგიკურად გათვლილია ამ მიზნის მიღწევაზე, ანუ შედეგის მიღებაზე. რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ შემთხვევაში შედეგად?! ეს გახლავთ ის ცვლილება, რომელსაც მოსაუბრე ახდენს მის გარემომცველ სინამდვილეში, კერძოდ კი, უპირველეს ყოვლისა, მისი თანამოსაუბრის ცნობიერებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ შედეგი, შესაძლოა, ყოველთვის არ შეესაბამებოდეს მეტყველი სუბიექტის მიზანს. სამეტყველო აქტი, განხილული მის მიერ გამოწვეული რეალური შედეგების ასპექტში, წარმოადგენს *პერლოკუციურ აქტს* (თევზაძე, 2012 :62).

პერლოკუციური აქტი ორიენტირებულია ადრესატზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა შედეგი ექნება მასზე წარმოთქმულ გამონათქვამს. ჯ. ოსტინმა აღნიშნული აქტის ცალკე გამოყოფით კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოკვეთა სამეტყველო აქტის ინტერსუბიექტურობის საკითხი, სადაც ორივე კომუნიკანტი თანასწორუფლებიან სუბიექტებად მოიაზრება.

იმავე ცნებას – **პერლოკუციურ ეფექტს** ვხვდებით ჯ. იულისთან. მეცნიერის თანახმად, პერლოკუციურ ეფექტზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეტყველი სუბიექტის მიზანი მიღწეული იქნება და მსმენელი შეასრულებს მოსაუბრის მიერ განზრახულ ქმედებას (Yule, 1996 :49).

ყოველივე ზემოთ თქმულის განხილვისა და ანალიზის შემდეგ ა. დურანტი სვამს კითხვას, აქვს თუ არა ზღვარი ყველა იმ ქმედებას, რომლებიც ენობრივი ქმედებით შეიძლება აღვასრულოთ? (Duranti, 1997:222). ამ კითხვაზე მკვლევრებს არაერთგვაროვანი მოსაზრებანი აქვთ. მაგალითად, ლ. ვიტგენშტეინი თვლის, რომ ამის განსაზღვრა ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელია (Wittgenstein, 1958:11), რადგან ენა მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი ორგანიზმია, რომელშიც დაუსრულებლად შემოედინება ახალი ელემენტები და დავიწყებას ეძლევა ძველი. ჯ. ოსტინის შეხედულებით კი პოტენციურად უსაზღვრო ფენომენის განსაზღვრულ ტიპოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა შესაძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მან წარმოადგინა ილოკუციური აქტის ხუთი ძირითადი ტიპი:

1. Verdictives (ვერდიქტივები, გადაწყვეტილების გამომხატველი);
2. Exercitives (აქტიური სამეტყველო აქტი, რომელიც ადასტურებს ძალაუფლების გამოყენებასა და გავლენას);
3. Commisives (კომისივები);
4. Behabitives (ბიჰებიტივები);
5. Expositives (ექსპოზიტივები) (Austin, 1962 :150).

აღნიშნული კლასიფიკაცია ოდნავ სახეცვლილად წარმოგვიდგინა ჯ. სერლიმ (Searle, 1975:354), რომლის შეხედულების თანახმადაც ენის სამეტყველო აქტების თვალსაზრისით აქტუალიზაციის ხუთი მთავარი ჯგუფი არსებობს:

1. **ასერტივები**, რომლებშიც ნათქვამის მნიშვნელობა მთქმელს ჭეშმარიტად მიაჩნია და შესაბამისად, იგი მას, გარკვეულწილად, თავს ახვევს მსმენელს. ჯ. იული ამ ჯგუფს **რეპრეზენტატივების** ჯგუფს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს არის მოსაუბრისეული თვალთახედვით წარმოდგენილი სამყარო

მაგ.: Chomsky didn't write about peanuts.

(ჩომსკი არ წერდა მიწის თხილის შესახებ.) (Yule, 1996 :53)

2. **დირექტივები** ისეთ სამეტყველო აქტებს გულისხმობს, როდესაც მოსაუბრე სხვადასხვა ფორმით ცდილობს აიძულოს მსმენელი, შეასრულოს გარკვეული ქმედებები. მოსაუბრეს შეუძლია შეარჩიოს სხვადასხვა ფორმა: გაფრთხილება, მოთხოვნა, რჩევა, ნებართვა, ინსტრუქციის მიცემა, ბრძანება, თხოვნა. შესაბამისად, ის შესაძლოა იყოს როგორც პოზიტიური (ა), ისე ნეგატიური (ბ) ხასიათის.

მაგ.: ა) Could you lend me a pen, please? *(კალამს ხომ ვერ მათხოვებდით?)*

ბ) Don't touch that! *(მაგას არ შეეხო!)* (Yule, 1996 :54).

3. **ექსპრესივები** ისეთი გამონათქვამებია, რომლებშიც ჩანს მოსაუბრის დამოკიდებულება მანამდე შესრულებული ქმედების მიმართ ან ასახულია მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ყოველივე ეს გადმოიცემა მადლობის, სინანულის, პატიების, თხოვნის, მილოცვის, მადლიერების, მისალმების, დაფიცების, ჩივილის, ბოდიშის გამომხატველი აქტებით.

მაგ.: ა) I'm really sorry! *(ძალიან ვწუხვარ!)*

ბ) Congratulations! *(გილოცავთ!)* (Yule,1996:53).

4. **კომისივები** აქტებია, რომლებშიც მოქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს სამეტყველო აქტით გამოხატული გამონათქვამის შესაბამისად. ეს შესაძლებელია გამოიხატოს შეთავაზების, დაპირების, ფიცის დადების, უარყოფის, მუქარის და ა.შ. სახით.

მაგ.: ა) I'll be back (*მე დავბრუნდები!*)

ბ) We will not do that! (*ჩვენ ამას არ გავაკეთებთ!*) (Yule, 1996 :54).

5. **დეკლარატივები**, აქტებია, რომლების პროპოზიცია მოიცავს ისეთი სახის განცხადებებს, როგორებიცაა ადამიანის დამნაშავედ ცნობა ან საქორწინო სახლში ცოლ-ქმრად გამოცხადება. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მოსაუბრე სუბიექტის ინსტიტუციონალურ როლს, ანუ, რამდენად უფლებამოსილია პიროვნება, გააკეთოს აღნიშნული განცხადება.

მაგ.: ა) Priest: I now pronounce you husband and wife.

(*სასულიერო პირი: ცოლ-ქმრად გაცხადებთ.*)

ბ) Referee: You're out! (*მსაჯი: გაძევებული ხართ მოედნიდან!*) (Yule, 1996 :53).

სამეტყველო აქტები ერთმანეთისაგან ზოგადი ფუნქციების გარდა, განირჩევა სტრუქტურითაც. სტრუქტურული განსხვავება სამ სამეტყველო აქტს შორის ემყარება სამი ძირითადი ტიპის წინადადებას (Yule, 1996 :54). მაგალითებიდანაც აშკარად ჩანს წინადადების სამ სტრუქტურულ ფორმასა (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი) და სამ ძირითად კომუნიკაციურ ფუნქციას (მტკიცებულება / განაცხადი, შეკითხვა, ბრძანება / თხოვნა / შეთავაზება) შორის არსებული ურთიერთკავშირი.

მაგ.: 1. *You wear a seat belt. (თხრობითი)*

1. *Do you wear a seat belt? (კითხვითი)*

2. *Wear a seat belt! (ბრძანებითი)* (Yule, 1996 :54).

თუკი სტრუქტურულ ფორმასა და ფუნქციას შორის პირდაპირი კავშირი შეინიშნება, სახეზე გვაქვს პირდაპირი სამეტყველო აქტი, ხოლო თუ მათ შორის არ არის აღნიშნული კავშირი, მაშინ მოცემულია ირიბი სამეტყველო აქტი. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეიძლება თხოვნა გამოიხატოს კითხვითი წინადადებით:

მაგ.: „როგორ ცივა ოთახში, არა?“ (ბ.ჭ.)– შესაძლოა ნიშნავდეს:

ა. ფანჯარა დახურე, გთხოვ.

ბ. თბილი მოსასხამი მომეცი, თუ შეიძლება.

გ. ცხელი ჩაი დამალევინე და ა.შ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ ცხრილებს, სადაც მოცემული დამოკიდებულება მაგალითებით სისტემურად არის გამოხატული (იხ. ცხრ. №2 და №3).

ცხრილი №2. პირდაპირი სამეტყველო აქტი

ფუნქცია	თხრობითი	კითხვითი	ბრძანებითი
მტკიცება / განცხადება	ჩვენ მივდივართ სკოლაში.		
შეკითხვა		ვინ მიდის სკოლაში?	
ბრძანება / თხოვნა / შეთავაზება			წადით სკოლაში!

ცხრილი №3. ირიბი სამეტყველო აქტი

ფუნქცია	თხრობითი	კითხვითი	ბრძანებითი
მტკიცება / განცხადება		განა მზე აღმოსავლეთიდან არ ამოდის?	
შეკითხვა	მინდა, ვიცოდე, ვინ მომართვა ეს ყვავილები.		რატომ არ მიდიხარ?
ბრძანება / თხოვნა / შეთავაზება	სახლი ჯერ კიდევ არ დაგილაგებია.	ნამცხვარს ხომ არ ინებებთ?	

შენიშვნა: ცხრილში მოყვანილი მაგალითები ჩვენია (ბ.ჭ.)

ზემოთ აღნიშნული თეორიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუქარა შეიძლება გარკვეულწილად მივაკუთვნოთ სამეტყველო აქტების ორ ჯგუფს: დირექტივებსა და კომისივებს. მუქარა გულისხმობს მთქმელის მხრიდან მსმენელზე ზეწოლასა და მისთვის არასასურველი გარემოს შექმნას, ისევე როგორც, დირექტივების სამეტყველო აქტში მთქმელი ცდილობს, აიძულოს მსმენელი განახორციელოს რაიმე ქმედება.

მაგ.: გიორგი მარგველაშვილი გიორგი თარგამაძეს: „ცოტა ხანი მოისვენე, თორემ მოგასვენებ!“ (ინტერნეტწყარო №10).

რაც შეეხება კომისივებს, ისინი სწორედ პირდაპირ მუქარას ასახავს, სადაც მთქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს გამონათქვამის შესაბამისად.

მაგ.: სოსო მანჯავიძე ალეკო ელისაშვილს: „შენი საძველბიჭო მალე დასრულდება... მაგ სისულელეების ლაპარაკისთვის პასუხს მოგთხოვ!“ (ინტერნეტწყარო №11).

1.4. მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მეტყველების აქტი

ნებისმიერი მეტყველების აქტის და კონკრეტულად მუქარის მთავარი ამოცანა გზავნილის, ინფორმაციის წარმატებული გადაცემაა. კომუნიკაციის აღნიშნული პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საკმაოდ რთული სისტემა, რომელიც წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭირო ყველა ელემენტს (ფორმა + მნიშვნელობა + კონტექსტი) მოიცავს, რაც საშუალებს აძლევს კომუნიკანტებს, მუქარის ავტორს სწორად გადასცენ ინფორმაცია და მუქარის ადრესატს, ეს ინფორმაცია ადეკვატურად აღიქვას, რასაც შემდგომში მოჰყვება სათანადო რეაქციაც.

მუქარა ძირითადად დამმუქრებელსა და დამუქრებულს შორის ლინგვისტური ძალის მქონე აქტია და ფატალურ შედეგს მოასწავებს. კერძოდ, მუქარის აქტი, პ. ბურდიესეული გაგებით წარმოადგენს გრძელვადიან, მტკიცე სოციალური ურთიერთობების წყობას, რაც ინდივიდს მუქარის შესრულების საფუძველს აძლევს (Bourdieu, 1991:8).

მუქარის ლინგვისტური კვლევისას გასათვალისწინებელია, რომ კომუნიკაციის სხვა ფორმების მსგავსად, ის სოციალური ფენომენია და დამმუქრებლის პიროვნული გრძნობების, ემოციებისა და განზრახვების გამოხატვას გულისხმობს. მასაშადამე, მუქარა არის სოციალური და არა ინდივიდუალური ფენომენი.

მუქარა არ შეიძლება განისაზღვროს კონტექსტის გაუთვალისწინებლად. ის გამოსაკვლევი იმ ლინგვისტურ კონტექსტში, რომელიც ენას განიხილავს, როგორც მნიშვნელობის უფრო დიდ სოციოსემიოტიკურ სისტემას, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია ავტორის კულტურულად ორგანიზებული პერსონალური გრძნობები, შეხედულებები, ღირებულებები ან მტკიცებულებები თემის, რეციპიენტის ან

წინადადების შესახებ (Biber et al., 1999: 966). სოციალურად განპირობებული კომუნიკაციის ეს ძირითადი მნიშვნელობა, მუქარის ბუნების იმპლიციტურობის გათვალისწინებით არის ავტორის პოზიცია.

მუქარა, როგორც სოციალურად განპირობებული შესრულებადი აქტი, წარმოადგენს სოციალურ პრობლემას. რადგან ის ენის უფრო დიდი, სოციალურ-სემიოტიკური, სისტემის ნაწილია, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი მნიშვნელობის შესწავლას.

მუქარის, როგორც კომუნიკაციის ფორმის, მიმართ კვლევის ინტერესი ინტერდისციპლინურია, მაგალითად, მისით დაინტერესებულია შემდეგი დარგები: სოციოლოგია (Tedeschi, 1994), ძალაუფლების/მმართველობის მოპოვების თეორია (Kellermann, 1996), სამეტყველო აქტების თეორია (Salgueiro, 2010), მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება (Shapiro, Debra L. and Kulik, Carol T., 2004), ფორენსიკა (Fraser 1998, Muschalik, 2018; Gales, 2010), სამსახურებრივი ძალადობა (Jenkins, E., 1998; Elliott, R., & Jarrett, D., 1994), პოლიტიკური ლინგვისტიკა (Sechser, 2010).

სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკვლევრები (სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ლინგვისტები და სხვა) თავისებურად განმარტავენ მუქარის ფენომენს, ყველა მათგანი თანხმდება იმაზე, რომ ის მრავალსახოვანია და მისი კვლევის აუცილებლობაც დღითიდღე უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

თ. გეილსის (Gales, 2010) შრომებს თუ არ ჩავთვლით, მუქარის შესახებ სრულყოფილი კვლევა არ ჩატარებულა. მკვლევართა ნაწილი (მაგ.: Salgueiro, 2010; Muschalik, 2018) მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს მიმოიხილავდა და თითქმის არავის შეუსწავლია მუქარის ცნება და მისი პრობლემატიკა ინტერპერსონალური კომუნიკაციის თვალსაზრისით. იქიდან გამომდინარე, რომ პრობლემა დეტალურად არ იყო განხილული, ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა შინაარსობრივად განსხვავებული მუქარის ტიპების გავლენა ადრესატზე და ამ მუქარით გამოწვეული შედეგები. სწორედ ამიტომ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში მუქარის როლის ზუსტად ასახსნელად აუცილებელია, დავადგინოთ

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მუქარის ტიპებსა და მათ მიერ მოხდენილ გავლენას შორის.

მუქარა, როგორც ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი სახე, ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მისი ფენომენის ახსნა და გაგება შეუძლებელია სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

ბ. ფრეიზერის (Fraser, 1998 :161) თეორიის მიხედვით, მუქარა წარმოადგენს წინასწარ განზრახულ სამეტყველო აქტს, რომელსაც შეტყობინების ფორმა აქვს და გამიზნულია სასურველი ინფორმაციის გადაცემაზე.

მუქარის ლინგვისტური აქტი მინიმუმ ორი მხარით არის წარმოდგენილი, სადაც ერთი მოძალადე/დამმუქრებელია, მეორე კი – მსხვერპლი/მუქარის ადრესატი. მოძალადე არღვევს სოციალურ ნორმებს, ძალაუფლების დემონსტრირებით ცდილობს მსხვერპლზე გავლენის მოპოვებას და საკუთარი რეპუტაციის ამაღლებას.

მუქარა ვერბალური აგრესიის სპეციფიკური სახეა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელების ფართო არეალს მოიცავს ადამიანის საზოგადოებრივი აქტივობების სფეროში. როგორც წესი, მუქარის წარმოშობის ძირითად მოტივაციას წარმოადგენს სხვა ადამიანებში შიშის ჩანერგვა, ხოლო უპირატეს მიზანს წარმოადგენს მუქარის ავტორისათვის სასურველი შედეგის მიღწევა.

ფსიქოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ მუქარის გამომწვევი მიზეზები შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს: სიბრაზისგან გათავისუფლება, შიშის ჩანერგვა, სასურველი შედეგის მიღების მცდელობა, ყურადღების მიქცევა, თავის გადარჩენის მცდელობა და სხვა (Milburn & Watman, 1981; Fraser, 1998).

მუქარა საუბრის ისეთი აქტია, რომელიც ძირითადად დირექტივების გაცემას გულისხმობს. ამის საშუალებით მოსაუბრე ადრესატს რაიმე მითითების შესრულებას ავალეს.

დირექტივა შესაძლებელია იყოს ბრძანება, თხოვნა, აკრძალვა. იგი გამოიხატება არა მხოლოდ ბრძანებითი წინადადებით, არამედ:

1) ინდიკატიური დეკლარაციული წინადადებით

მაგ. You, come here at once! (ახლავე აქ მოდი!)

2) დეკლარაციული წინადადებით

მაგ. Take two hundred grams! (აიღეთ 200 გრამი!)

3) ინფინიტივური ფრაზით

მაგ. Listen everybody! (სმენა იყოს! / ყველამ მომისმინეთ!)

4) მოდალური ზმნებით

მაგ. You mustn't do it again! (ეს აღარასოდეს არ უნდა გააკეთო!)

განასხვავებენ დირექტივების სუსტ და ძლიერ ფორმებს. ძლიერი დირექტივა პირდაპირი, მკაცრი მითითებაა; სუსტი დირექტივაც მითითებაა, მაგრამ არაა მკაცრი.

დირექტივის ფორმის შერჩევა განსაზღვრავს დისკურსის დინამიკას. კოოპერაციული (თანამშრომლობითი) საუბრის დროს ამჯობინებენ სუსტი ფორმის დირექტივებს, მეტოქეობრივი საუბრის (საუბარი, რომლის დროს ერთი მოსაუბრე არ დომინირებს) დროს – ძლიერი ფორმის დირექტივებს. მეტყველებაში დირექტივის კონკრეტული ფორმა შეირჩევა სტატუსის მიხედვით, ის განაპირობებს ინტერაქტანტთა ურთიერთდამოკიდებულებას (Gräfel, 2002 :25).

საუბრის კოოპერატიულად წარმართვისათვის მსმენელის მხარდაჭერა აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ასეთ დროს ხშირად გამოიყენება დისკურსის ნაწილაკები, რეაქციების გამომხატველი შორისდებულები, როგორებიცაა, მაგალითად: „აბა, აჰა, აუ, ჰო, უი...“. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხეულის ენა (ჟესტები, მიმიკა), რაც მოსაუბრეს ეხმარება, დაადგინოს, თუ რამდენად ყურადღებიანია მსმენელი. ცნობილია საუბრის მხარდამჭერი რეაქციების შემდეგი სახეობები:

- საუბრის მინიმალური მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც მხოლოდ ბგერებისაგან შედგება

მაგ. Hmm; Oh; ჰმ; ოჰ; ააა; ნწ,ნწ,ნწ;

- საუბრის მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც სიტყვებისაგან შედგება

მაგ. Yeah; Nope; Sure; აბა! ჰო!

- საუბრის მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც დასრულებული წინადადებებისგან შედგება

მაგ. I see; You are right! I agree with you;

აბა რა! მართალი ხარ! გასაგებია! გეთანხმები!

ვერბალური ძალადობის, მუქარის, დროს საუბრის კოოპერაციულად წარმართვა სრულფასოვნად ვერ ხერხდება, რადგან დამმუქრებელი ერთპიროვნულად უძღვება პროცესს და ზემოხსენებული საუბრის მხარდამჭერი რეაქციის სახეები ამ შემთხვევაში აღარ გვხვდება.

სამეტყველო აქტების თეორიის ჯ. სერლისეული კლასიფიკაციის მიხედვით (Searle, 1969 :58), მუქარა კლასიფიცირდება, როგორც კომისიების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი (ანუ, როდესაც მთქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს საკუთარი განცხადების საფუძველზე).

დ. უოლტონის (Walton, 2014:5) მტკიცებით, მუქარის სამეტყველო აქტი ოთხ სამეტყველო ეტაპს მოიცავს:

მოსამზადებელი ეტაპი №1: ადრესატს უნდა ჰქონდეს მიზეზი, რომ დაიჯეროს დამმუქრებლის მხრიდან მისთვის არასასურველი ქმედების განხორციელების უტყუარობა;

მოსამზადებელი ეტაპი №2: კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარე უნდა აცნობიერებდეს, რომ ნეგატიური შედეგი არ დადგება მოძალადის ჩარევის გარეშე;

გულწრფელობის/პირდაპირობის ეტაპი: ნეგატიური შედეგი მსმენელისათვის არასასურველია და ის ყველანაირად ეცდება, რომ იგი თავიდან აირიდოს;

ძირითადი ეტაპი: მოსაუბრე ვალდებულებას იღებს, რომ მსმენელისათვის არასასურველი შედეგი აუცილებლად დადგება, თუ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს მოსაუბრის მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებს.

მუქარის სხვადასხვა სახის შესახებ არაერთ მეცნიერს უმსჯელია, თუმცა ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და ზუსტ კატეგორიზაციას თ. გეილსის კვლევებში ვხვდებით (Gales, 2010 :272). აქ წარმოდგენილია მუქარის სამი ძირითადი კატეგორია:

პირდაპირი მუქარა: როდესაც დაკონკრეტებულია მოქმედების სახე, დრო, ადგილი და მსხვერპლის ვინაობა (თუმცა აუცილებელი არ არის აქ ჩამოთვლილთაგან ყველა კომპონენტის უკლებლივ არსებობა. სულ მცირე ორიც საკმარის ნიშნად ითვლება).

მაგ. ა) „*Stop interfering with us. I would be happy to hang you. If it were up to me, I would hang you all.* “ -*Philippines president Rodrigo Duterte (ინტერნეტწყარო №77).*

ბ) გრიშა ონიანი წამყვანს: „*რომ ჩამოვალ თბილისში, ეხლა შორს ვარ და თუ ხმით ვერ მოგწვდით, ქვებს დაგიშენთ და ისე გაგცემთ პასუხს, თქვე ნადირლებო.*“ (ინტერნეტწყარო №12).

პირობითი მუქარა: მუქარა განპირობებულია მსმენლის მოქმედებით.

მაგ. ა) "If a new HealthCare Bill is not approved quickly, BAILOUTS for Insurance Companies and BAILOUTS for Members of Congress will end very soon!" Trump tweeted (ინტერნეტწყარო №58).

ბ) რეზო ამაშუკელი: „*თუ დასავლეთის მხრიდან ასე უსინდისოდ გაგრძელდება სააკაშვილსა და მის ბანდაზე თავზე ხელის გადასმა, მე მთელ საქართველოს ავამხედრებ მაგათ წინააღმდეგ*“ (ინტერნეტწყარო №13).

ფარული მუქარა: დაკონკრეტებული არ არის არც მოქმედების სახე, არც დრო, არც ადგილი და არც მსხვერპლის ვინაობა. ამავდროულად ადრესატს არ ეძლევა რაიმე ქმედების შესრულება/შეუსრულებლობის ვალდებულება არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

მაგ. ა) *Politician Kirby Delauter: "Your rights stop where mine start."*
(ინტერნეტწყარო №79).

ბ) რეზო ამაშუკელი: „ჩემი სამშობლოს გაუბედურებას მე არავის შევარჩენ!“
(ინტერნეტწყარო №14).

გარდა ზემოხსენებული ტერმინებისა, რომლებითაც წარმოდგენილია მუქარის სამი ძირითადი ჯგუფი, არსებობს სხვა ტერმინები. ისინი სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებში ფიგურირებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის შინაარსობრივი სხვაობა ან არ არსებობს, ან უმნიშვნელოა. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ცხრილი №4, სადაც წარმოდგენილია ტერმინების შედარება.

ცხრილი №4

მუქარის ტიპები თ. გეილსის მიხედვით	მუქარის ტიპები სხვა ავტორების მიხედვით
Veiled - ფარული	Implied (Meloy et al., 2008)
Conditional - პირობითი	Contingent (Geiwitz, 1967) Incentive (Scanlon, 2008)
Direct - პირდაპირი	Noncontingent (Geiwitz, 1967) Nonincentive (Scanlon, 2008)

ამერიკის ფედერალური ბიუროს (FBI) განმარტებით (*Threat Assessment Procedures Manual*, 2017:7), ზემოთ ხსენებულის გარდა, მუქარის კიდევ ერთი სახე არსებობს, რომელიც ირიბი მუქარის სახელით არის ცნობილი. ასეთ დროს მუქარა არის გაურკვეველი, ბუნდოვანი ან კონკრეტულობას მოკლებული. ირიბ მუქარაში ძალადობა აშკარად იგულისხმება, თუმცა გამოიყენება ძალიან ფრთხილად და წინდახედულად შერჩეული ლექსიკა, რომელიც თითქოს მიგვანიშნებს, რომ ძალადობრივი ქმედება „შესაძლებელია განხორციელდეს“ და არა იმას, რომ „აუცილებლად განხორციელდება“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ FBI-ს მიერ გამოყოფილი ეს ქვეჯგუფი ფაქტობრივად ფარული მუქარაა, რომელსაც ვხვდებით თ. გეილსის კლასიფიკაციაში.

მუქარის ნებისმიერი ფორმა საინტერესოა, თუმცა მათგან ერთი – პირდაპირი მუქარა ყველაზე მეტად ყურადსაღებია და მოითხოვს დაუყოვნებელ მოქმედებას. სწორედ ამიტომ თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია მუქარის შეფასების ყველა სტადიის დეტალურად გავლა, რათა ზუსტად განისაზღვროს მუქარის ბუნება და შედგეს ინტერვენციის გეგმა ფატალური შედეგების თავიდან ასაცილებლად.

მუქარის ტიპების განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი დონეების დადგენაც. FBI-ს რეკომენდაციების თანახმად, არსებობს მუქარის სამი დონე:

დაბალი დონის მუქარა, რომელიც მსხვერპლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის მინიმალური რისკის შემცველი, ბუნდოვანი და არაპირდაპირია; ინფორმაცია შეუსაბამო, ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებელი და არადამაჯერებელია, ან შეიმჩნევა დეტალების სიმცირე; მუქარის შინაარსიდან ჩანს, რომ დამმუქრებელი არ არის ნათქვამის შემსრულებელი.

საშუალო დონის მუქარა – შესაძლოა ექვემდებარებოდეს განხორციელებას, თუმცა ნაკლებად რეალისტურია; გაცილებით მეტ დეტალს შეიცავს და უფრო პირდაპირია, ვიდრე დაბალი დონის მუქარა; ტექსტი გარკვეულ მინიშნებას იძლევა, თუ რა საშუალებით აპირებს დამმუქრებელი, განახორციელოს ჩანაფიქრი; დროისა და

ადგილის ზოგადი მინიშნება არის, თუმცა მოქმედების დეტალები მაინც დაუზუსტებელია; არაა მინიშნება რაიმე მოსამზადებელი აქტივობების შესახებ; განცხადებაში მოყვანილია ისეთი ფრაზები, რომლებიც ადრესატს დაარწმუნებს, რომ ეს უბრალო სიტყვები არ არის და განზრახვა სერიოზულია (მაგ.: “I’m serious!” “I really mean it!”).

მაღალი დონის მუქარა პირდაპირი, კონკრეტული და დამაჯერებელია; იგრძნობა საფრთხის მაღალი შემცველობა და გარდაუვალობა. მასში დეტალურად არის აღწერილი ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ.: იარაღის შეძენა-დამზადება); თითქმის ყოველთვის მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოების ძალისმიერ ჩარევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული ხერხი მუქარის დონეების დასადგენად არ არსებობს და ზოგჯერ შეიძლება დონეებს შორის გარდამავლობა შეინიშნებოდეს, თუმცა არსებობს ორი ძირითადი ელემენტი, რომლებიც დიდად გვეხმარება მუქარის დონის განსაზღვრაში. პირველი გახლავთ **შინაარსის სპეციფიკა**. ნებისმიერი მუქარის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს მისი შინაარსის მიხედვით (ე.ი. რა ითქვა და რა იყო ნაგულისხმევი). სამაგალითოდ ქვემოთ წარმოვადგენთ მუქარის ორ მაგალითს, რომლებიც დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან:

მაგ. ა) *“I am not afraid of an arrest but I won’t go down alone, it’s time some politicians are exposed.” Nana Appiah Mensah tweeted* (ინტერნეტწყარო №33).

(„დაპატიმრების არ მეშინია, მაგრამ ციხეში მარტო არ წავალ, ზოგიერთი პოლიტიკოსის გამომჟღავნების დრო დადგა,“ – წერს თავის ტვიტერგვერდზე ნანა აპია მენსა.)

ბ) *“My name is Carmine,” ... “I don’t know why you’re f***ing with Mr. Trump but if you keep f***ing with Mr. Trump, we know where you live and we’re going to your house for your wife and kids.”* (ინტერნეტწყარო №24).

(„ჩემი სახელია კარმინი“... „არ ვიცი, რას ერჩით ბატონ ტრამპს, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ვიცით, სადაც ცხოვრობთ და თქვენს ცოლ-შვილს მივაკითხავთ სახლში“).

პირველი განაცხადი დაუკონკრეტებელი და ბუნდოვანია, მაშინ როდესაც, მეორე შემთხვევაში ზუსტად არის მითითებული მუქარის ადრესატი და მოსალოდნელი ძალადობის ჩადენის ადგილი. ზოგადად, რაც უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული მუქარის ტექსტი, მით უფრო მაღალია მოსალოდნელი რისკი.

მუქარის დონის განსაზღვრის მეორე ფაქტორს წარმოადგენს შინაარსის დამაჯერებლობა. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ორი განცხადებიდან პირველი ნაკლებად სარწმუნო და დამაჯერებელია, ამიტომაც საფრთხესაც არ წარმოადგენს, მაშინ როცა, მეორე დაზუსტებულ ინფორმაციას შეიცავს და მოითხოვს სერიოზულ დამოკიდებულებას.

მაგ: ა) “As some day it may happen that a victim must be found” (Gales, 2010 :251).

(„ერთი დღეც იქნება და მსხვერპლს იპოვიან.“)

ბ) “Toyota Motor said will build a new plant in Baja, Mexico, to build Corolla cars for U.S. NO WAY! Build plant in U.S. or pay big border tax” (ინტერნეტწყარო №76).

(„ტოიოტა მოტორსი აცხადებს, რომ ახალი ქარხნის აშენებას აპირებს ბაჟაში, მექსიკაში, სადაც კოროლას მარკის მანქანებს გამოუშვებენ ამერიკისათვის. გამორიცხულია! ან ამერიკაში ააშენეთ თქვენი ქარხნები, ან გადაიხადეთ მაღალი საბაჟო გადასახადები“).

მუქარის რეალური შედეგის შესაფასებლად, გარდა ზემოთ თქმულისა, სხვა მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მთქმელის პოზიცია, კონტექსტი, სქესი, კულტურა და სხვა. ის, რაც ერთი ქვეყნის კულტურისათვის მისაღებია, მეორე კულტურაში შესაძლოა შეურაცხმყოფელი იყოს; ერთი მამაკაცის მიერ მეორისადმი

მიმართული მუქარის ალბათობა უფრო დიდია, ვიდრე ქალის მხრიდან იმავე ტიპის მუქარისა და სხვა.

სწორედ ამას ამტკიცებს კ. სტორი (Storey, 1995), როდესაც აცხადებს, რომ მუქარის განსამარტავად საჭიროა დამატებით ორი კომპონენტის არსებობა: სამეტყველო ეფექტისა (perlocutionary effect) და კონტექსტისა (context).

კ. სტორის მიხედვით, მუქარას რომ ჰქონდეს მნიშვნელობა, ე.ი. მუქარა რომ იყოს მუქარა, სულ ცოტა, რეციპიენტმა მუქარის სამეტყველო ეფექტი უნდა მიიღოს და გაიგოს.

მაგალითად, მუქარა: *“I’ll kick your ass, if you don’t apologize“* („პანდური არ აგცდება, თუ ბოდიშს არ მოიხდი“ (ბ.ჭ.). ნათქვამი მოზარდი გოგოს მიერ თავისი მეგობარი ბიჭისთვის, რომელთანაც ახლახან იჩხუბა, უმეტეს შემთხვევაში, ვერ იქნება გაგებული სერიოზულად. მეგობარი ბიჭს ის ესმის არა როგორც მუქარა, არამედ ხუმრობა, რომელიც გამიზნულია განწყობის შესამსუბუქებლად, მაგრამ იმავე ფრაზას თუ მას ეტყვიან სკოლის ეზოში ჩხუბის დროს, გაიგებს სერიოზულ მუქარად, მოკლედ, სამეტყველო ძალასთან ერთად სამეტყველო ეფექტიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუქარის შექმნაში. ამგვარად, როდესაც კონტექსტი შინაგანად სრულიად არაპროგნოზირებადია, რთულია ან საერთოდ შეუძლებელია მუქარის აღქმა/გაგება კონტექსტისგან დამოუკიდებლად (Storey, 1995 :74).

მეცნიერთა აზრით, მუქარასა და დაპირებას შორის არსებობს გარკვეული კავშირი. ტ. მილბურნი და კ. უატმანი (Milburn et al., 1981) ამტკიცებენ, რომ ყველა დაპირებაში თავისთავად ნაგულისხმევია მუქარა: *“I will not do B if you do not do A“*, შესაბამისად, დაპირება არის ყველა მუქარაში, რაც ამტკიცებს, რომ მუქარა ნამდვილად პირობითია, მაგრამ როცა ერთი მეტყველების აქტი მეორის განმარტებით განისაზღვრება, მკვლევრები განასხვავებენ მათ წარმოთქმისას ბენეფიციარის ჩვენებით; კერძოდ, – *If you do A, I will do B*, – A წარმოადგენს ბენეფიციარს დამმუქრებლისთვის, ხოლო B მიზნის ბენეფიციარია.

რ. შუი (Shuy, 1993) და ბ. ფრეიზერი (Fraser, 1998) გამოყოფენ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც მუქარა განსხვავდება სხვა სამეტყველო აქტებისაგან. ესენია სამეტყველო აქტში გამოყოფილი პერსპექტივის, სარგებლისა და კონტროლის მაჩვენებლები.

ცხრილი №5

მუქარის, გაფრთხილებისა და დაპირების ურთიერთშედარება (Shuy, 1993 :98)			
	მუქარა	გაფრთხილება	დაპირება
მთქმელის სასარგებლოდ	X		
მსმენელის სასარგებლოდ		X	X
მსმენელის საზიანოდ	X		
მთქმელის პერსპექტივიდან	X	X	X
მთქმელი აკონტროლებს შედეგს	X		X
მსმენელი აკონტროლებს შედეგს		X	

აღნიშნულ მოდელში ძირითადი განსხვავება მუქარასა და დანარჩენ ორ მეტყველების აქტს შორის სარგებლისა და ზიანის მაჩვენებლებში გამოიკვეთება. მუქარა, გაფრთხილებისა და დაპირებისაგან განსხვავებით, აშკარად შექმნილია მსმენელის საზიანოდ, რის გამოც ის ყველაზე ნეგატიურად ხასიათდება მეტყველების სხვა აქტებს შორის (Shuy, 1993 :97).

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მუქარის აქტი ძალაუფლების მასშტაბს ცვლის მთქმელის სასარგებლოდ, შესაბამისად, სარგებელს აძლევს მთქმელს. ბ. ფრეიზერი

მუქარის აქტს არ განმარტავს, როგორც მთქმელისთვის სასარგებლო აქტს – ის მხოლოდ მსმენლის ზიანს უსვამს ხაზს.

ცხრილი №6

მუქარის, გაფრთხილებისა და დაპირების ურთიერთშედარება (Fraser, 1998 :166)			
	მუქარა	გაფრთხილება	დაპირება
მთქმელის სასარგებლოდ			
მსმენლის სასარგებლოდ		X	X
მთქმელის საზიანოდ			
მსმენლის საზიანოდ	X		
მთქმელი აკონტროლებს შედეგს	X	?	X
მსმენელი აკონტროლებს შედეგს	?	?	?
მთქმელი ვალდებულია იმოქმედოს			X

ამასთანავე, ბ. ფრეიზერი თავის ინტერპრეტაციაში განასხვავებს, თუ ვინ აკონტროლებს შედეგს, ხოლო იმ სიტუაციებში, სადაც პირობითი მუქარაა გამოყენებული, აღნიშნულ საკითხს ღიად ტოვებს. მსგავს სიტუაციაში ის ასკვნის, რომ თუ მსმენელი მიჰყვება დამმუქრებლის მოთხოვნებს, მან შეიძლება თავად აკონტროლოს შედეგები. აღსანიშნავია, რომ პირობითი მუქარის შემთხვევაში მთქმელი, როგორც ურთიერთობაში ძალაუფლების მქონე პირი (Bourdieu, 1991), თავად წყვეტს, დაემორჩილოს თუ არა მუქარის პირობებს. კ. გრაისის

„ეთნოცენტრული პრესკრიპტივიზმის“ (Grice, 1975) მიხედვით, მეტყველების სხვა აქტების მსგავსად, ხარისხის მაქსიმა მოითხოვს მთქმელისგან სიმართლის თქმას, მსმენლისგან კი სიმართლის გაგებას, რაც მუქარის შემთხვევაში ყოველთვის ვერ მიიღწევა (Storey, 1995). ბ. ფრეიზერი ასკვნის, რომ მხოლოდ დაპირების შემთხვევაშია მსმენელი ვალდებული, მიმართოს მოქმედებას.

ბ. ფრეიზერის (Fraser, 1998) განმარტების მიხედვით, მუქარა წამოადგენს დაპირებისა და გაფრთხილების საწინააღმდეგო მეტყველების აქტს, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კომუნიკანტი გამოხატავს:

- 1) განზრახვას, იმოქმედოს ან იყოს პასუხისმგებელი თავის ქცევაზე/აქტზე;
- 2) რწმენას, რომ აღნიშნული მოქმედება ადრესატს ყოფას გაუუარესებს;
- 3) განზრახვას, დააშინოს ადრესატი, ადრესატის მიერ მთქმელის განზრახვის გაგების მეშვეობით (Fraser, 1998 :161).

ბ. ფრეიზერის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დამმუქრებლის განზრახვა, დააშინოს ადრესატი. სწორედ ეს ფაქტი განასხვავებს მუქარას ხუმრობისგან, უბრალო დაპირების ან მკაცრი გაფრთხილებისგან.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუქარა წამოადგენს წერილობით ან ზეპირი მეტყველების აქტს, რომელიც გამოხატავს მთქმელის უპირატესობას და მსმენელს ზიანს აყენებს.

1.5. მუქარის სოციოლინგვისტური მახასიათებლები

„სოციოლინგვისტიკა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ცალკე დარგი, წარმოიშვა ენათმეცნიერების, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ასე ვთქვათ, „სასაზღვრო“ კონტაქტის შედეგად“ (ლადარია, 2002 :8). გამომდინარე იქიდან, რომ სოციოლინგვისტიკის დარგი გარკვეულწილად

აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინას, მისი შესწავლის საგანიც საკმაოდ მრავალფეროვანია.

„**სოციოლინგვისტიკა** შეისწავლის მიმართებას ენასა და საზოგადოებას შორის, ამასთან, ენაც და საზოგადოებაც განიხილება, როგორც გარკვეული სტრუქტურები. სოციოლინგვისტიკის ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ურთიერთმიმართება ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის“ (გამყრელიძე და სხვ. 2008 :449). კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ სოციოლინგვისტიკა, ერთი მხრივ, შეისწავლის ენაზე სოციალური ფაქტორების გავლენას, ხოლო მეორე მხრივ, ენის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოციოლინგვისტური კვლევები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. ამის მიხედვით გამოყოფენ სინქრონულ, დიაქრონულ, მაკრო- და მიკროსოციოლინგვისტიკას. განვიხილოთ თითოეული მიმართულება ცალ-ცალკე.

ნ. ლადარიას განმარტების მიხედვით, „**სინქრონული სოციოლინგვისტიკა** შეისწავლის როგორც დამოკიდებულებებს, ასევე პროცესებსაც.“ ამავე ავტორის თქმით, დამოკიდებულებებში აისახება ენასა და საზოგადოებას შორის არსებული კავშირების სტატიკა (მდგომარეობა), პროცესები კი, თავის მხრივ, ამავე კავშირების დინამიკას წარმოგვიდგენენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს იმ გავლენის შესწავლა, რომელსაც სოციალური ფაქტორები ახდენენ ენაზე. ამის გათვალისწინებით სინქრონული სოციოლინგვისტიკა შეისწავლის ე.წ. ენობრივ სოციალიზაციას, ენის შესწავლა-ათვისებას გარკვეული სოციალური როლის მიღებასთან ერთად.

ენის დიაქრონული შესწავლა გულისხმობს მის კვლევას განვითარების ისტორიის განმავლობაში. ლინგვისტური მოვლენის სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტებში კვლევა თავდაპირველად შვეიცარიელმა ენათმეცნიერმა, ფერდინანდ დე სოსიურმა (1857-1913) შემოიღო. ამის გათვალისწინებით დიაქრონული სოციოლინგვისტიკა ენის განვითარებას შეისწავლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

ასპექტის გათვალისწინებით; კერძოდ, იგი მიზნად ისახავს, გამოკვეთოს კავშირები ენის ისტორიასა და ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების ისტორიას შორის.

დიაქრონიული სოციოლინგვისტიკა ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვებს: არის თუ არა ენის ცვლილება უშუალოდ სოციალური ცვლილებების შედეგი, თუ მასზე სხვა ფაქტორები უფრო მეტ გავლენას ახდენენ? სოციალური ევოლუციის რომელი ფაქტორები თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს ენის განვითარებაში? (ლადარია, 2002).

მაკროსოციოლინგვისტიკა ძირითადად იკვლევს ფართომასშტაბიან პროცესებსა და დამოკიდებულებებს, რომლებსაც ენაში ვხვდებით და რომლებიც, რაღაც დოზით განპირობებულია სოციალური ფაქტორებით. იგი ენას განიხილავს როგორც დემოგრაფიულ, ისე სოციალურ ორგანიზაციაში (ინტერნეტწყარო №3).

მიკროსოციოლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს ენის გამოყენების შესწავლა მცირე სოციალური ერთობლიობების საზღვრებში. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დიდი და მცირე სოციალური ერთობლიობები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც განსხვავდება: „მცირე სოციალურ ჯგუფში მოქმედი ენობრივი რეგულაციები ხშირად არ მოქმედებს, ან განსხვავებულად მოქმედებს დიდი სოციალური ერთობლიობის ფარგლებში და პირიქით“ (ლადარია, 2002 :119).

მიკროსოციოლინგვისტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მიკროჯგუფებში (ორი-სამი ინდივიდი) მიმდინარე კომუნიკაციის პროცესების კვლევას. ასეთ ჯგუფებს შეიძლება ქმნიდნენ ექიმი და პაციენტი, ცოლი და ქმარი, მასწავლებელი და მოსწავლე, დედა და შვილები და ა.შ. ასეთი კომუნიკაციური პროცესების სოციოლინგვისტური განხილვა გამოკვეთს და ცხადყოფს იმ მექანიზმებს, რომლებიც მართავს სამეტყველო ქცევას კომუნიკანტთა განსხვავებული სოციალური როლების შესრულებისას.

სოციოლინგვისტიკის თითოეული განხილული მიმართულება კვლევის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. კვლევის ყველაზე მეტად აპრობირებულ და

გავრცელებულ მეთოდოლოგიად სოციოლინგვისტიკაში გვევლინება დაკვირვება, გამოკითხვა და დოკუმენტების შესწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში უპირატესი როლი დაკვირვებასა და გამოკითხვას ენიჭება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დოკუმენტების შესწავლას სოციოლინგვისტიკისათვის ნაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია; პირიქით, კვლევის საწყის ეტაპზე, შეიძლება ითქვას, სასარგებლო და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიც კია ისეთი დოკუმენტების გამოყენება, რომელიც შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებსა და მსგავსი სახის სხვა ინფორმაციას.

რაც შეეხება კვლევის პირველ ორ მეთოდს: დაკვირვებასა და გამოკითხვას, მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია გათვალისწინება მთელი რიგი საკითხებისა, როგორებიცაა: ინფორმანტების შერჩევა შესაბამისი პარამეტრების მიხედვით და ამ შერჩევის ტიპი (კვოტური ანუ პროპორციული, მიზნობრივი, ალბათური, კლასტერული) სასურველი ინფორმაციის მიღებიდან გამომდინარე, დაკვირვების სათანადო ტიპის შერჩევა (ღია, ფარული, ჩართული) და სხვა (ლადარია, 2002 :124).

მუქარის, როგორც სოციალური და ამავედროულად ლინგვისტური მოვლენის, ფენომენზე საუბრისას შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მისი სოციოლინგვისტური კუთხით განხილვის აუცილებლობა. მუქარა წარმოადგენს კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას, ხოლო კომუნიკაცია – ადამიანის სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილი. სოციოლინგვისტიკა სწორედ ენაზე ამგვარი ფაქტორების გავლენას სწავლობს, ამიტომ ენის კვლევისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ ყველა იმ სოციოლინგვისტური ცვლადის შესწავლას, რომლებიც ამ ფენომენს შეეხება.

ზოგიერთი მკვლევარი (ჯ. იული (1996), ჰაბერმასი (1984), იებოზა (2012)) აცხადებს, რომ ადამიანები ენას ნაირგვარად იყენებენ, რაც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში განსხვავებული სოციალური ცვლადის თავისებური გავლენით აიხსნება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სოციალური ფაქტორები განსაზღვრავს ადამიანების სოციალურ ურთიერთობებსაც.

იმისათვის, რომ განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს „სოციოლინგვისტური ცვლადი“, სასურველია, ჯერ გავანალიზოთ, რას ნიშნავს ტერმინი **ლინგვისტური ცვლადი**. როგორც რონალდ უორდჰაუ (Wardhaugh, 2006:143) აღნიშნავს: „ლინგვისტური ცვლადი არის ლინგვისტური ელემენტი, რომელსაც აქვს იდენტიფიცირებადი ვარიანტები“. მაგალითისათვის ამავე ავტორს მოყვანილი ჰყავს შემდეგი ინგლისური სიტყვები: *'singing'* და *'fishing'*, რომლებიც ზოგჯერ გამოითქმის როგორც *'singin'* და *'fishin'*. ამ სიტყვების ბოლო ბგერები (*ng*) აღნიშნავენ სწორედ ლინგვისტურ ცვლადს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი: [ŋ] - *'singing'*; *'fishing'*, და [n] - *'singin'*; *'fishin'*. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვარიანტების ურთიერთშეფარდება ხდება სხვადასხვა სოციალურ მახასიათებელთან, როგორც არის, მაგალითად, ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი და სხვა, ლინგვისტური ცვლადი იქცევა სოციოლინგვისტურ ცვლადად (ლადარია, 2002 :61).

სოციოლინგვისტური არის რომელიმე ლინგვისტური ცვლადი, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფი განსხვავებულად იყენებს და მსჯელობაში შედის განსაზღვრული სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. სოციალურ კონტექსტში შეიძლება იგულისხმებოდეს: სოციალური კლასი, ასაკი, სქესი, გენდერი, ეთნიკური ჯგუფი და სხვა (ინტერნეტწყარო №4). სწორედ ეს, ე.წ. „სოციალური კონტექსტი“ წარმოადგენს სოციოლინგვისტურ ცვლადს.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ფორმა ნებისმიერი პიროვნებისთვის ინდივიდუალურია. ამკარაა, რომ შეუძლებელია ადამიანი ყველას ექცეოდეს ერთნაირად, რადგან ურთიერთობა დინამიკური პროცესია და არა სტატიკური; ის მუდმივად იცვლება ისევე, როგორც მისი მონაწილე კომუნიკანტები (ასაკის, სქესის, კულტურის, სოციალური ფენის მიხედვით) იცვლებიან.

ვერბალური მუქარა, ისევე როგორც კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა ფორმა და/ან სამეტყველო აქტი, განიცდის ისეთი სოციოლინგვისტური ცვლადების გავლენას, როგორებიცაა: ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი.

ასეთი ცვლადების არსებობის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან ისინი დამატებით ინფორმაციას ატარებენ და გარკვეულწილად ექსტრალინგვისტურ ფაქტორს წარმოადგენენ.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ასაკის სოციოლინგვისტური ცვლადი. როდესაც 10 წლის ძმა ემუქრება 3 წლის ძმას: „დედას და მამას მოსვლამდე თუ არ დამიჯერებ და ისევ ხელს შემიშლი, მოვალ და მაგ შენს სათამაშო მანქანას წაგართმევ!“ (მაგალითი ბ.ჭ.). ამ შემთხვევაში ასაკის ფაქტორი ყურადსაღებია, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, დამმუქრებელი (10 წლის ძმა) ფლობს შესაფერის უნარს, რომ თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანოს, ხოლო, მეორე მხრივ, მუქარის ადრესატი (3 წლის ძმა) აცნობიერებს საკუთარ არასახარბიელო მდგომარეობას არსებულ სიტუაციაში და იძულებულია, დაემორჩილოს. სოციოლინგვისტური ცვლადი სულ სხვა დატვირთვის მატარებელი იქნებოდა, თუ მუქარის ადრესანტსა და ადრესატს შევუცვლიდით ადგილებს. ასეთ დროს ადრესატში შიშის ჩანერგვის ნაცვლად (რაც პირველ შემთხვევაში გვქონდა) მივიღებდით სახუმარო სიტუაციას.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუქარის ფენომენის კვლევაში სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს დიდი როლი აკისრია, რადგანაც მათი არსებობა საერთო, სრულყოფილი სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

II თავი. მუქარის ფორმები და მისი გამოხატვის პრაგმატიკული თავისებურებები

2.1. თავაზიანობის თეორია და სოციალური სახის ცნება

ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთობის ნებისმიერ ასპექტში თითოეული ადამიანი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს თავაზიანობის ნებისმიერ გამოხატულებას (მაგალითად, ტრანსპორტში ადგილის დათმობა, კარის გაღება ვინმესთვის, ჟესტებითა თუ ენობრივი საშუალებით კეთილგანწყობის გამოხატვა, სხვა) რომელსაც მის მიმართ ამჟღავნებენ. ამის საპირისპიროდ არათავაზიანი ქმედებაც არ რჩება საზოგადოებაში შეუმჩნეველი და ხშირად ხდება კრიტიკისა თუ გაკიცხვის საგანი. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ თავაზიანობის საკითხის კვლევა ლინგვისტიკის ყურადღების არეალშიც მოექცა და მისმა შესწავლამ ფართო განვითარება ჰპოვა.

დადებითსა და უარყოფით თავაზიანობას, ისევე როგორც სოციალური სახის ცნებას, მუქარის ენის შესწავლის დროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მუქარა უკვე გულისხმობს ინტერაქტანტთა შორის არსებულ ძალადობრივ (იქნება ეს ვერბალური თუ არავერბალური) ურთიერთობას, რაც ძირითადად მოსაუბრის მხრიდან მოთხოვნის გამოხატვით არის წარმოდგენილი, ხოლო თავაზიანობის აქტი თავის მხრივ განისაზღვრება, როგორც სოციალური სახისადმი წაყენებული მოთხოვნა.

თავაზიანობის საკითხით დაინტერესება მეცნიერულ წრეებსა თუ ფართო საზოგადოებაში დღითიდღე იზრდება. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებამ და საკომუნიკაციო სისტემების მაქსიმალურად დახვეწამ ფართო ასპარეზი გაუხსნა ადამიანებს ურთიერთობისათვის. აქედან გამომდინარე ისინი აღარ არიან შეზღუდული მხოლოდ ინტრაკულტურული ურთიერთობებით და მათ ხშირად უწევთ როგორც უშუალო, ისე დისტანციური (ელექტრონული, სატელეფონო) კომუნიკაციის დამყარება უცხო კულტურის მატარებლებთან. წარმატებული კომუნიკაციის ერთ-

ერთ მთავარ წინაპირობად კი თავაზიანობის ნორმების დაცვა მოიაზრება.

ლინგვისტიკაში „თავაზიანობა“ სხვადასხვანაირად არის განმარტებული; მაგალითად, ჯ. იული თავაზიანობას განიხილავს, როგორც საყოველთაოდ აღიარებულსა და მიღებულ ცნებას, რომელიც ნებისმიერ კულტურაში დამკვიდრებულია. მისი განმარტებით, თავაზიანობა გულიხმობს თავაზიან და კულტურულ ქცევას და იგივეა, რაც ეტიკეტი (*polite social behavior*) (Yule, 1996 :60).

მიუხედავად თავაზიანობის ცნების განმარტებების სიუხვისა (ლაკოფი, 1975; ბრაუნი და ლევინსონი, 1987; უოტსი, 1989), შინაარსი მაინც უცვლელი რჩება: საზოგადოების წევრები იყენებენ თავაზიანობას, რათა თავი აარიდონ კონფლიქტურ სიტუაციებს და შეინარჩუნონ სასურველი სოციალური იმიჯი (სახე).

იმისათვის, რომ განვასხვაოთ „თავაზიანობის“ ცნება, რომელიც ყოველდღიურ ურთიერთობაში გვხვდება, ლინგვისტური თავაზიანობისაგან მეცნიერები: უოტსი, იდე და ელიკი (Watts, Richard, Ide, Ehlich, 2005:3) გვთავაზობენ ტერმინებს: „პირველი რიგის თავაზიანობა“ (*first-order politeness*) და „მეორე რიგის თავაზიანობა“ (*second-order politeness*).

„პირველი რიგის თავაზიანობა“ სოციალური ტერმინია და მისი მაგალითებია: ბოდიშის მოხდა ვინმეზე ფეხის დაბიჯებისას, ან მაღლიერების გამოხატვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მიღებული მომსახურებისათვის და სხვა.

რაც შეეხება „მეორე რიგის თავაზიანობას“, იგი წარმოადგენს ლინგვისტურ ტერმინს და მოიცავს ყველა იმ შესაძლო სიტუაციას, რომლებშიც შესაძლებელია აღმოჩნდეს ადამიანი განსხვავებულ დროსა და სივრცეში და შესაბამისად მოახდინოს კონკრეტული ენობრივი სტრატეგიის იდენტიფიცირება. ეს მას საშუალებას მისცემს, წარმატებულად გაართვას თავი მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას: დაამყაროს წარმატებული, უკონფლიქტო, ყველა კომუნიკანტისათვის მისაღები კომუნიკაცია და მის განსახორციელებლად გამოიყენოს შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებები.

ლინგვისტური თავაზიანობის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ორი მიდგომა, რომელთაგან ერთი აღწერს, თუ რა ხერხებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი თავაზიანობის გამოხატვა, რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტური სიტუაცია, ხოლო მეორე კონცენტრირდება თავაზიანობის იმ მეთოდზე, რომლის გამოყენებაც უზრუნველყოფს წარმატებულ კომუნიკაციას.

მაგალითად, პ. ბრაუნმა და ს. ლევინსონმა (1987) ცხადად წარმოაჩინეს, თუ როგორ ემუქრება ზოგიერთი სამეტყველო აქტი მიმღების სოციალურ სახეს და თავაზიანობის რა სტრატეგიების გამოყენება შეიძლება ამგვარი მიმართვების შესარბილებლად ან მთლიანად შინაარსის შესაცვლელად.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ზეგავლენა, რომელსაც ვახორციელებთ ვინმეზე, როდესაც მას რაიმე სახის დავალების შესრულებას ვთხოვთ, შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი ფორმის მიმართვები: „*ძალიან მადლიერი ვიქნები, თუ ჩემ მაგივრად წახვალ მაღაზიაში და პურს მოიტან*“, ან „*ვიცი, რომ შენც ძალიან დაკავებული ხარ, მაგრამ ხომ ვერ გაირბენდი უცებ მაღაზიაში და პურს მომიტანდი?*“. მსგავსი ტიპის მიმართვების მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან მოსაუბრეებს, რამდენად უშუალოა მათი ურთიერთობა, რა იერარქიული თუ სოციალური მსგავსება-განსხვავებები არსებობს მათ შორის და სხვა. ყველა მოცემული ფაქტორის, მათ შორის კონტექსტის გათვალისწინებით განისაზღვრება თავაზიანობის სათანადო სტრატეგია.

თავაზიანობის თეორიასთან, რომელსაც 1970-იანი წლების ბოლოს საფუძველი ჩაუყარეს პენელოპე ბრაუნმა და სტეფან ლევინსონმა, მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციის თანამშრომლობითი პრინციპი და სასაუბრო მაქსიმები თავისი ქვემაქსიმებითურთ (Grice, 1991 :27; Yule, 1996 :37). ესენია:

1. რაოდენობის (იყავი ზომიერად ინფორმაციული და მოერიდე ზედმეტი ინფორმაციის გაცემას);

2. ხარისხის (არ თქვა ის, რაც სიცრუედ მიგაჩნია, ან რისი მართებულობის დამამტკიცებელი საბუთიც არ გაქვს);

3. რელევანტურობის (იყავი რელევანტური და ნუ ისაუბრებ იმ საკითხებზე, რომლებშიც არ ხარ კომპეტენტური);

4. ქცევის / მანერის (მოერიდე გაუგებრად და ორაზროვნად საუბარს, იყავი თანმიმდევრული და ზუსტი).

აღნიშნულ მაქსიმუმში ჩამოყალიბებული მიდგომების გათვალისწინება წარმოადგენს კომუნიკანტთა სოციალური სახის დაცვა-შენარჩუნების წინაპირობას.

თავაზიანობის ცნებას უკავშირდება **სახის ცნება** და აგრეთვე ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: სახის მოთხოვნა (*face want*) დადებითი და უარყოფითი სახე (*positive and negative face*), დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა (*positive and negative politeness*), თავაზიანობის სტრატეგიები (*politeness strategies*) და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები (*face threatening (FTA) an face saving (FSA) acts*).

„სახის“ შესწავლა უკავშირდება პატივისცემისა და თავაზიანობის ყოველდღიურ გაგებას და შეიძლება ითქვას, პირდაპირ უკავშირდება ისეთ ცნობილ გამონათქვამებს, როგორებიცაა: „ადამიანური სახე“, „ჭემმარტი სახე“, „(ადამიანის) სახე დაკარგა“ და მსგავსი (ინტერნეტწყარო № 7, 8, 9).

ანალოგიური ფრაზები ინგლისურ ენაშიც გვხვდება: “to save face,” “to suffer a loss of face” და სხვა (ინტერნეტწყარო № 5, 6).

ენობრივი ურთიერთქმედების შესწავლაში „სახის“ ცნება, როგორც ლინგვისტური ტერმინი, პირველად ე. გოფმანის (Goffman, 1967:5) ნაშრომებში გვხვდება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სახეს პირდაპირ უკავშირდება დადებითი სოციალური ფასეულობები (*“positive social value”*), რომლების შენარჩუნებაც გვსურს სოციალური ურთიერთობების პროცესში. ამ დროს თითოეული ინტერაქტანტი ფლობს გარკვეულ სახეს და ცდილობს იმოქმედოს იმგვარად, რომ გაითვალისწინონ თითოეული მონაწილის სახე მოცემულ სიტუაციაში.

ჟ. იულის განმარტებით, „სახე“ ტექნიკური ტერმინია და ნიშნავს საზოგადოებაში პიროვნებაზე შექმნილ იმიჯს. მისი თქმით, იგი ყველა ადამიანს აქვს, იმდენად, რამდენადაც სახე წარმოადგენს ინდივიდის ემოციურ და სოციალურ თვითგააზრებას და თითოეული მათგანი მოელის, რომ მის სახეს გაიგებს საზოგადოება (Yule, 1996 :60).

ე. გოფმანის მიერ შემოთავაზებული „სახის“ ცნებაზე დაყრდნობით პ. ბრაუნმა და ს. ლევინსონმა განავითარეს თავაზიანობის თეორია და შემოიღეს ტერმინები „დადებითი სახე“ (*“positive face”*) და „უარყოფითი სახე“ (*“negative face”*) (Brown et al., 1987 :62), რომელთა განმარტებაც შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ სახის, რა ტიპის მოთხოვნა (*face want*) აქვს პიროვნებას. „სახის მოთხოვნა“ ეს არის სურვილი იმისა, რომ ადამიანი საზოგადოებაში მისთვის მისაღები ფორმით წარდგეს.

უარყოფითი ანუ ნეგატიური სახე ნიშნავს პიროვნების სურვილს, იყოს დამოუკიდებელი და თავისუფლად შეძლოს მოქმედება. რაც შეეხება დადებით, ანუ პოზიტიურ სახეს, იგი რადიკალურად განსხვავდება ნეგატიურისაგან და გულისხმობს ადამიანის სურვილს, დაუკავშირდეს სხვებს, თავს გრძნობდეს ჯგუფის წევრად და აცნობიერებდეს, რომ მის სურვილებს, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც იზიარებს (Yule, 1996 : 62, Brown et al., 1987 :62).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „დადებითი“ და „უარყოფითი“ არ მოისაზრება კარგისა და ცუდის მნიშვნელობით. ისინი საპირისპირო ტერმინები და თითოეული სოციალური არსების შემადგენელი ნაწილია. ცალკეული ადამიანი უნდა ცდილობდეს დაიცვას ორივე სახე შესაბამისი სიტუაციის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი გვთავაზობენ თავაზიანობის ორ ტიპს: დადებითსა და უარყოფით თავაზიანობას (*positive and negative politeness*) (Brown et al., 1987:70). დადებითი თავაზიანობის მიზანია კომუნიკანტთა შორის ახლო ურთიერთობების წარმოჩენა. აღნიშნული

სტრატეგიის გამოყენებით მოსაუბრე ცდილობს, სასურველი ჯგუფის მიღებულ წევრად იგრძნოს თავი.

მაგ.: 1. *How about letting me use your pen?* (კალმის თხოვებაზე რა აზრის ხარ?)

2. *Hey, buddy, I'd appreciate it if you'd let me use your pen.*

(ჰეი, მეგობარო, დიდად დავაფასებდი, შენი კალმის გამოყენების უფლებას თუ მომცემდი.)
(Yule, 1996 :64).

რაც შეეხება უარყოფით თავაზიანობას, იგი მსმენლის ნეგატიური სახის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედებაა.

მაგ.: 1. *Could you lend me a pen?* (კალამს ხომ ვერ მათხოვებდით?)

2. *I'm sorry to bother you, but can I ask you for a pen or something?*

(ზოდიშს ვიხდით, რომ გაწუხებთ, მაგრამ შეიძლება კალამი ან სხვა რამე მათხოვოთ?)
(Yule, 1996:64).

პ. ბრაუნისა და ს. ლევინსონის განმარტების მიხედვით, უარყოფითი თავაზიანობა ძირითადი საშუალებაა პატივისცემის გამოხატვისა, მაშინ როდესაც დადებითი, პირიქით, ახლობლურსა და შეხუმრებულ ქცევას ეფუძნება (Brown et al., 1987:129). ამ სიტყვებს ცხადყოფს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც, რომლებიც ჯ. იულს ეკუთვნის.

აღნიშნული განმარტების საფუძველზე, პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი ასკვნიან, რომ დასავლეთის ქვეყნების კულტურის და მათ შორის ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია ძირითადად უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების ხშირი გამოყენება.

როდესაც ვვიქრობთ თავაზიანობის გამოხატვაზე დასავლეთის კულტურაში, პირველი, რაც გვახსენდება, ეს არის უარყოფითი თავაზიანობა. ჩვენს კულტურაში უარყოფითი თავაზიანობა არის ყველაზე დახვეწილი და ყველაზე ტრადიციული ლინგვისტური სტრატეგია სშა (FTA) = სახის შემლახველი აქტებისათვის; ეს არის ის,

რასაც დიდი ადგილი ეთმობა ეტიკეტისადმი მიძღვნილ წიგნებში (მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ დადებითი თავაზიანობაც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნულ კულტურაში). მისი ლინგვისტური რეალიზაცია – პირობითი ირიბი ხასიათი, ლოკუციური ძალის გათვალისწინება, თავაზიანი პესიმიზმი (მოთხოვნების წარმატებით განხორციელების შესახებ და ა.შ.), აქცენტი მსმენელის სათანადო ძალაუფლებაზე– ყველასათვის ნაცნობია და წარდგენას არ საჭიროებს (Brown et al., 1987:129-130).

ამის საპირისპიროდ, თუ გავითვალისწინებთ ქართულ უმუშალო, ფამილიარული ურთიერთობების მოყვარულ ხასიათს, რომელიც ჩვენი კულტურის განუყოფელ ნაწილად ითვლება, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულ ენაში ჭარბობს დადებითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენება.

იმ უმთავრესი მიზნის მიღწევა, რომელიც ნაშრომის დასაწყისში დავისახეთ, კერძოდ, მუქარის ენის შესწავლა კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელი იქნება სოციუმში პიროვნების უსაფრთხო არსებობისათვის საჭირო ყველა ლინგვისტური საკითხის შესწავლით.

2.2. დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები. სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები

ნაშრომის ამ ნაწილში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ დადებით და უარყოფით თავაზიანობასა და იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ისინი აერთიანებენ. აგრეთვე ავხსნით, თუ რა განაპირობებს რომელიმე კონკრეტული სტრატეგიის არჩევასა და რა იგულისხმება ცნებებში „სახის შელახვა“ და „სახის შენარჩუნება.“ ეს ორი ცნება პირდაპირ უკავშირდება მუქარის საკითხს.

ჯ. იულის განმარტებით (Yule, 1996 :65), დადებითი თავაზიანობის გამოყენება ცხადად წარმოაჩენს მოსაუბრესა და მსმენელს შორის არსებულ სიახლოვეს და შეიძლება განვიხილოთ, როგორც „სოლიდარობის სტრატეგია“ (**solidarity strategy**).

მოცემული სტრატეგიის ლინგვისტურ მხარეზე დაკვირვებით დავინახავთ, რომ იგი გამოირჩევა პირადი სახის ინფორმაციის დეტალების სიჭარბით, მეტსახელების, ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით მამრობითი სქესის კომუნიკანტების არსებობისას) კი, შეურაცხყოფელი ტერმინების, ასევე სლენგისა და დიალექტიზმების გამოყენებით.

მაგ.: Come on, let's go to the party. Everyone will be there. We'll have fun.

მოდით რა, წვეულებაზე წავიდეთ. ყველა იქ იქნება. კარგად გავერთობით (ბ.ჭ.).

უარყოფითი თავაზიანობის ფორმას, დადებითის საპირისპიროდ, იული (Yule, 1996 :66) განმარტავს, როგორც „პატივისცემის სტრატეგიას“. მისი თქმით, ამ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ „ფორმალური თავაზიანობაც“. ენა, რომელიც ამ დროს გამოიყენება, ხაზს უსვამს მოსაუბრისა და მსმენელის დამოუკიდებლობას და შეიცავს ისეთ ლინგვისტურ ელემენტებს, რომლებიც არ გამოიყენება პირადი მოთხოვნების აშკარა, ღია ფორმით გამოსახატავად.

მაგ.: There's going to be a party, if you can make it. It will be fun.

წვეულება ეწყობა, თუ მოახერხებ წამოსვლას, კარგად გაერთობი (ბ.ჭ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ადამიანი სასურველი სახის მატარებელია და სოციალური ინტერაქციის დროს გამოყენებული საკომუნიკაციო აქტები შესაძლოა საპირისპირო მხარისათვის მუქარის შემცველი აღმოჩნდეს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც აღნიშნული აქტების განხორციელების მიზანი საფრთხეს უქმნის მსმენელის ან მოსაუბრის სახეს.

პ. ბრაუნმა და ს. ლეინსონმა (Brown et al., 1987 :65-68), იმისათვის, რომ სახის შენარჩუნებისა (*FSA = Face Saving Act*) და სახის შემლახველი აქტების (*FTA = Face Threatening Act*) სწორი და ზუსტი კლასიფიცირება მოეხდინათ, თავდაპირველად ერთმანეთისაგან გამიჯნეს სამეტყველო აქტები, რომლებიც ემუქრება დადებით სახის მოთხოვნას იმ სამეტყველო აქტებისაგან, რომლებიც ემუქრება უარყოფითი სახის მოთხოვნას. მათ მიიღეს ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის უარყოფითი სახის მოთხოვნას;
2. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის დადებითი სახის მოთხოვნას;
3. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის უარყოფითი სახის მოთხოვნას;
4. სახის შემლახველი სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის დადებითი სახის მოთხოვნას.

წარმოგიდგენთ ცხრილებს, სადაც სტრუქტურულად გამოხატულია თითოეული ვარიანტი.

ცხრილი №7 სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის უარყოფით სახეს

სამეტყველო აქტი	სამეტყველო აქტის მიზანი
<ul style="list-style-type: none"> • ბრძანება, თხოვნა • რჩევა • შეხსენება • მუქარა • გაფრთხილება 	<p>მოსაუბრის სამომავლოდ გამიზნული განაცხადი, რომელიც გულისხმობს მსმენელზე გარკვეული ზეწოლის განხორციელებას.</p>
<ul style="list-style-type: none"> • შეთავაზება • დაპირება 	<p>მოსაუბრის სამომავლოდ გამიზნული განაცხადი, რომელიც გულისხმობს პოზიტიური შედეგის დადგომას მსმენელისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა,</p>

	ზეწოლა მაინც გვაქვს, რადგან მოსაუბრე ავალდებულებს მსმენელს გადაწყვეტილების მიღებას.
<ul style="list-style-type: none"> ქათინაურები შური ან აღშფოთება ძლიერი უარყოფითი ემოციების (სიძულვილი, ბრაზი) გამოხატვა 	სამეტყველო აქტი, სადაც მოსაუბრე გამოხატავს ძლიერ სურვილს მსმენლისგან საპასუხო სასურველი მოქმედების მიღების მიზნით.

ცხრილი № 8 სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მსმენელის დადებით სახეს

სამეტყველო აქტი	სამეტყველო აქტის მიზანი
<ul style="list-style-type: none"> უკმაყოფილება / კრიტიკა შეურაცხყოფა იმედგაცრუება საჩივრები / საყვედურები და ბრალდებები შეწინააღმდეგება / უთანხმოება 	მოსაუბრის განცხადება ემსახურება მსმენელის პოზიტიურ სახეზე უარყოფითი შეფასების გაკეთებას.
<ul style="list-style-type: none"> ძალადობრივი (უკონტროლო) ემოციების გამოხატვა, რაც ემსახურება მსმენელში შიშს ან/და სირცხვილის გრძნობის ჩანერგვას; 	მოსაუბრის განცხადებები ცხადყოფს, რომ მას არ აინტერესებს მსმენელის დადებითი სახის

<ul style="list-style-type: none"> • შევიწროვება, ტაბუდადებულ თემებზე საუბარი, მათ შორის, შეუსაბამო კონტექსტში; • მსმენელისათვის უსიამოვნო ან მოსაუბრისათვის სასიამოვნო (ტრაბახი, თავის გამოჩენა) განცხადების გაკეთება; • ემოციურად სახიფათო ან ისეთი თემების განხილვა, როდესაც ხშირია აზრთა სხვადასხვაობა და კონსენსუსი რთულად მიიღწევა (პოლიტიკა, რელიგია, უმცირესობები, ქალთა უფლებები და ა.შ.); • თანამშრომლობითი პრინციპის დარღვევა საუბრის დროს: საუბრის შეწყვეტინება ან გულგრილობისა და უინტერესობის გამოხატვა მსმენლის მიმართ; • სტატუსის ან სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენება მიმართვაში, რაც მსმენელს თავს უხერხულად ან შეურაცხყოფილად აგრძნობინებს. 	<p>შენარჩუნება.</p>
--	---------------------

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ზოგიერთი სამეტყველო აქტი ორივე კლასიფიკაციაში მოხვდა, რადგან ისინი შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მსმენელის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახისათვის (Brown et al., 1987 :69). ასეთია მაგალითად: ჩივილი, საუბრის შეწყვეტინება, მუქარა, ემოციების გამოხატვა, პიროვნულ საკითხებზე საუბარი.

მომდევნო ორ ცხრილში წარმოდგენილია სამეტყველო აქტები, რომლებიც მოსაუბრის სახეზე მოხდენილ ზეგავლენას აღწერს.

ცხრილი №9 სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის უარყოფით სახეს

სამეტყველო აქტი	გამოწვეული შედეგი
მადლობის გადახდა	თავის დამდაბლება, ვალდებულების გამოხატვა
მსმენლის მიერ გამოხატული მადლიერების ან ბოდიშს მიღება	უხერხულობის განცდა
შეთავაზების მიღება	მოსაუბრე თავს უხერხულად გრძნობს მიიღოს შემოთავაზება და ამით შეზღუდოს მსმენელის უარყოფითი სახის მოთხოვნა.
არასასურველი (ნამალადევი) დაპირებებისა და შეთავაზებების გაკეთება	მოსაუბრე საკუთარ თავზე იღებს ისეთი სამომავლო მოქმედების განხორციელებას, რისი სურვილიც არ აქვს და ამან შესაძლოა მსმენელის დადებით სახეზე იქონიოს გავლენა.
მსმენელის შეცდომაზე, ან უხერხულ ქცევაზე ყურადღების გამახვილება	როდესაც მოსაუბრე კომენტარს აკეთებს აშკარა, ხილულ უსიამოვნო სიტუაციაზე, თვითონ განიცდის უხერხულობას, რადგან ეწინააღმდეგება საკუთარ პრინციპს და ახშობს აზრის გამოხატვის სურვილს

ცხრილი №10 სამეტყველო აქტები (FTAs), რომლებიც ემუქრება მოსაუბრის დადებით სახეს

სამეტყველო აქტი	გამოწვეული შედეგი
ბოდიშის მოხდა	საკუთარი თავის დამცირება
ემოციების (სიცილი, ტირილი...) უკონტროლობა	
მანჭვა-გრება, სულელურად მოქცევა და ისეთი განცხადებების გაკეთება რაც წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ სიტყვებთან	
შეცდომის აღიარება, თავის დამნაშავედ ცნობა	

ნებისმიერი გონიერი ინტერაქტანტის სურვილი იქნება, რომ თავი აარიდოს ზემოთ ხსენებულ სახისათვის სახიფათო აქტებს. აქედან გამომდინარე მან სოციალური სახის სულ მცირე სამი მოთხოვნა (*face want*) მაინც უნდა გაითვალისწინოს:


1. სურვილი, რომ გარკვეული იყოს FTA-ს საკომუნიკაციო მიზანი და შინაარსი;
2. სურვილი, რომ აქტი იყოს წარმატებული და მიზანი – მიღწეული;
3. სურვილი, რომ შენარჩუნდეს მსმენელის სახე გარკვეულ დონეზე;

FTA (Face threatening Act)-ების ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე ბრაუნმა და ლევინსონმა შეიმუშავეს სქემა (იხ. სქემა №6), რომელიც ამ აქტების ჯვარედინი კლასიფიცირების საშუალებას იძლევა და შეირჩევა თავაზიანობის შესაბამისი სტრატეგია არასასურველი გავლენის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

სქემა №6 სახის შემლახველი აქტების განსახორციელებლად საჭირო შესაძლო სტრატეგიები

(Possible strategies for doing FTAs)

(პირველწყარო: Brown et al., 1987 :69)




პ. ბრაუნისა და ს. ლევინსონის ამ სქემის მიხედვით ჯ. იულმა პრაქტიკული მაგალითის სახით (სქემა №7) წარმოგვიდგინა, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული სტრატეგიები.

სქემა №7

FIGURE 7.1 How to get a pen from someone else (following Brown and Levinson 1987)

(პირველწყარო: Yule,1996 :66)



აღნიშნული სქემიდან ცხადად ჩანს, რომ ერთი და იგივე სამეტყველო აქტი თავაზიანობის სტრატეგიების მიხედვით ხუთი განსხვავებული ფორმით შეიძლება აიგოს.

პირველი, ყველაზე თავაზიანი ქცევის ფორმა (რომელიც ვერბალურად არ გამოიხატება), გახლავთ უსიტყვოდ კალმის ჩანთაში ძებნა. მიუხედავად იმისა, რომ თავაზიანობის მხრივ ის პირველ ადგილზეა, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ამგვარი კომუნიკაციის ნაკლოვანი მხარე, შესაძლოა, მეორე მხარემ ვერ შეძლოს პირველი აქტანტის მიერ გაგზავნილი მესიჯის/გზავნილის მცდარი დეკოდირება და ამის გამო მიიღოს წარუმატებელი კომუნიკაცია.

მეორე ფორმა უკვე გახლავთ ვერბალური აქტი, რომელიც თავის მხრივ, ორი სახით არის წარმოდგენილი: პირდაპირი (on record) და ირიბი (off record) სამეტყველო აქტი. ამათგან ირიბია სამეტყველო აქტი, როდესაც ვითხოვთ სასურველის მიღებას, მაგრამ ფარულად ან მინიშნებით. ის უფრო თავაზიან ფორმად მიიჩნევა, ვიდრე – პირდაპირი სამეტყველო აქტი. ეს უკანასკნელიც ორ მიმართვას აერთიანებს საკუთარ თავში: სახის შენარჩუნების სამეტყველო აქტსა და პირდაპირ (bold-on record), შეულამაზებელ მოთხოვნას, რომელიც ჩვენი აზრით, თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსმენლის სახეზე შეტევის აქტად.

რაც შეეხება სახის შენარჩუნებას, ის მიიღწევა ორი გზით: დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სამეტყველო აქტის შერჩევით. დადებითი თავაზიანობის დროს ზემოთ მოყვანილ მაგალითში უშუალოდ, მეგობრულად ვითხოვთ კალამს, რაც გარკვეულწილად იწვევს მსმენლის სახის რღვევას, ხოლო უარყოფითი თავაზიანობა დისტანციური კომუნიკაციის ნიმუშად წარმოგვიდგება და ადრესანტი ერიდება მიმღების სახის შელახვას.


დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა საკმაოდ ფართო მნიშვნელობის მატარებელი სიდიდეებია და მათი ასეთი მწირი დახასიათება, რა თქმა უნდა, სრული სურათის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა. ეს ორი ტერმინი აერთიანებს სამეტყველო აქტების მთელ სისტემებს, რომლებიც მათი ლოკუციური ელემენტის,

ილოკუციური ძალის და პერლოკუციური ეფექტის გათვალისწინების შედეგად შესაძლებელია მივაკუთვნოთ თავაზიანობის ამა თუ იმ კატეგორიას.

სწორედ ამიტომ პ. ბრაუნი და ს. ლევენსონი გვთავაზობენ დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის ფორმების გამოხატვის სტრატეგიების დეტალურ დაყოფას შემდეგი სქემების სახით (იხ. სქემა № 8 და სქემა № 9).


სქემა №8 დადებითი თავაზიანობის გამომხატველი სტრატეგიები

(პირველწყარო- Brown et al., 1987 :102)



სქემა №9 უარყოფითი თავაზიანობის გამომხატველი სტრატეგიები

(პირველწყარო- Brown et al., 1987 :131)



- R = (Absolute ranking of imposition in the particular culture) – ზემოქმედების აბსოლუტური დონე მოცემულ კულტურაში
- P = (Relative Power of H or S) – მსმენლის ან მოსაუბრის ფარდობითი გავლენა = შედარებითი ძალაუფლება
- D = (Social distance between S and H) – სოციალური დისტანცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის

სასურველი მიზნის მისაღწევად თავაზიანობის მისაღები სტრატეგიების არჩევას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი. პ. ბრაუნისა და ს. ლევენსონის (Brown et al., 1987:71) აზრით, მათ შორის უმთავრესია სარგებელი (*payoff*), რომელსაც იღებს მოსაუბრე, ხოლო თავის მხრივ აღნიშნული სარგებლიანობა განსხვავდება იმ თანამდევ გარემოებების მიხედვით, რომლებიც ამავე ავტორებთან მეორე მნიშვნელოვან მიზეზად სახელდება და ამავდროულად სახის შელახვის აქტის სერიოზულობასაც განსაზღვრავს. თანამდევ გარემოებებში იგულისხმება სამი სოციოლოგიური ცვლადი (იქვე):

1. R = (Absolute ranking of imposition in the particular culture) – ზემოქმედების აბსოლუტური დონე მოცემულ კულტურაში;
2. P = (Relative Power of H or S) - მსმენელის ან მოსაუბრის ფარდობითი გავლენა = შედარებითი ძალაუფლება;
3. D = (Social distance between S and H) - სოციალური დისტანცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის.

სტრატეგიის არჩევის კლასიფიკაცია მიღებული სარგებლის მიხედვით ასე გამოიყურება:

1. პრიორიტეტულია პირდაპირი (On-record) სტრატეგია, თუ სასურველია გადაცემული მესიჯი იყოს ცხადი, გამჭვირვალე, არაორაზროვანი, არა მანიპულირებადი;
2. პრიორიტეტულია პირდაპირი მოთხოვნის (Bald-on-record / non-redressed) სტრატეგია, თუ მოსაუბრისათვის სახის დაუცველობაზე ზრუნვა მნიშვნელოვან საკითხად არ მიაჩნია, ან თვლის, რომ აღნიშნული აქტი სულაც არ უქმნის მსმენლის სახეს საფრთხეს;
3. პრიორიტეტულია სახის შენარჩუნების აქტის სტრატეგიები, თუ მოსაუბრე აჩვენებს სურვილს, რომ განახორციელოს შემდეგი ორიდან ერთ-ერთი:

ა) დადებითი თავაზიანობა – შეძლებისგვარად დააკმაყოფილოს მსმენელის პოზიტიური სახის მოთხოვნა;

ბ) უარყოფითი თავაზიანობა – დააკმაყოფილოს მსმენელის ნეგატიური სახის მოთხოვნა გარკვეულ დონეზე.

4. პრიორიტეტულია ირიბი მოთხოვნის (Off-record) სტრატეგია, თუ:

ა) მოსაუბრეს შეუძლია დააკმაყოფილოს ნეგატიური სახის მოთხოვნა იმაზე მეტი ხარისხით, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით;

ბ) მოსაუბრეს შეუძლია თავიდან აიცილოს ის გარდაუვალი პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისთვის, რომელიც პირდაპირი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

აქ წარმოდგენილი თეორიული მასალის განხილვის, ცხრილებისა და სხვა თვალსაჩინოებების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი საკვლევი ფენომენი – მუქარა ხორციელდება პირდაპირი მოთხოვნის სტრატეგიის გამოყენებით, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მსმენელის უარყოფითი სახისათვის, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მისთვის მისაღები, ე.წ. „ჰარმონიული“ მდგომარეობის ხელყოფას.

მაგ.: ირმა ინაშვილი რომან გოცირიძეს: „ბოლომდე გაგასწორებთ მიწასთან პოლიტიკურად, მორალურად და ზნეობრივად!“ (ინტერნეტწყარო №21).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასე ცალსახად და მშრალად, ერთ რომელიმე ჩარჩოში მუქარის სამეტყველო აქტის მოქცევა არასწორია. მუქარა შესაძლებელია განხორციელდეს თავაზიანობის მეხუთე, ირიბი მოთხოვნის (Off-record) სტრატეგიის მეშვეობითაც, როდესაც ის იმპლიციტურია, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული სოციოლინგვისტური ცვლადების გათვალისწინებით მაინც ამოცნობადია. მაგალითად, როდესაც გამოცდაზე პროფესორი ამჩნევს, რომ სტუდენტი ცდილობს გადაწერას, მაგრამ არ უნდა პირდაპირ მიანიშნოს, თუ რა საფრთხე ემუქრება მას, ამბობს:

„მგონი ვილაცას სუფთა ჰაერზე გასეირნება მოუნდა და დავებმარები, თუ ჭკვიანად არ მოიქცევა!“ (ბ.ჭ.).

წინამდებარე განცხადებით პროფესორი ახვედრებს სტუდენტს, რომ ის შეიძლება გამოცდიდან მოიხსნას, თუმცა როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტიპის სამეტყველო აქტის გამოყენება უმეტეს შემთხვევებში სახიფათოა, რადგან ადვილად შესაძლებელია, ადრესანტმა ვერ მოახდინოს მიწოდებული ინფორმაციის სათანადოდ გაგება და კომუნიკაცია არ შედგეს.

როგორც ვხედავთ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ სიტუაციაში კონფლიქტის თავიდან არიდება და წარმატებული ურთიერთობის დამყარება კომუნიკანტებს შორის.

2.3. მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები და პოზიციის ენობრივი მარკერები

მუქარა სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით ტრადიციულად კლასიფიცირდება, როგორც კომისივების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი. მისი მეშვეობით მოსაუბრე აჟღერებს ინტენციას (განზრახვას) სამომავლო ქმედებისათვის, რომელიც არახელსაყრელი და არასასურველია ადრესატისთვის. თუ ეს სამომავლო ქმედება მიზნად ისახავს ზიანი მიაყენოს ადრესატის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან პიროვნულ თავისუფლებას, შეიძლება მუქარა დანაშაულიც იყოს.

გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა დანაშაულებრივ, დასჯად ქმედებად შეიძლება მივიჩნიოთ, იგი ხშირად ფარული, შენიღბული ფორმით გამოიხატება. ამ მეთოდით ადრესანტები თავს იკავებენ საკუთარ განაცხადში მეტი ექსპლიციტურობის შეტანისაგან და ინფორმაციის დეკოდირებას ადრესატებს ანდობენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით შეძლონ მათ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების უარყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუქარა

მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ მის სამიზნეს შეუძლია აღიაროს იგი და აღიქვას მოსალოდნელი საფრთხე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეტყველო აქტი წარუმატებელი იქნება. აქედან გამომდინარე, მუქარის გამოხატვა უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური, ან თუნდაც არაპირდაპირი, მაგრამ იდენტიფიცირებადი. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს მყარი და საიმედო სტრატეგიის შემუშავებას წარმატებული ერთეულის შესაქმნელად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საერთო ფონური მონაცემები, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

მუქარის ენის შესახებ დაწერილ ნაშრომთაგან ერთ-ერთი უძველესია ამერიკელი მეცნიერის, ჯორჯ კენტის (Kent, 1967 :86) ნაშრომი *“The effects of threats”* სადაც განსაზღვრულია პირობითი მუქარის ზეგავლენა სიტუაციის შედეგზე. მეცნიერი აცხადებს, რომ აშკარა თუ ფარული პირობითობა წარმოადგენს მუქარის განმსაზღვრელ თვისებას. მაგალითად: გამოთქმა „I will hit you“ არ არის მუქარა, თუ ის არ შეიცავს დამატებით პირობით „If“ წინადადებას, რომელიც შეიძლება იმპლიციტური იყოს. აღნიშნული ნაშრომის თანახმად, ექსპლიციტურობა იმპლიციტურობასთან შედარებით ამცირებს ორ თანამონაწილეს შორის გაუგებრობას. რაც უფრო დასრულებულია პირობითი მუქარა ლინგვისტურად (e.g. *if* you don't do X, *then* I will do Y), მით უფრო დამაჯერებელია ის მუქარის მიმღებისათვის და მით მეტია მუქარით გადმოცემული პირობის შესრულების ალბათობა. პირობითი მუქარა, როგორც მუქარის კლასიკური ფორმის ექსპლიციტურად გამოხატული ვერსია, განხილულია ტ. მილბურნისა და კ. უატმანის (Milburn et al., 1981) შრომაში. მკვლევართა აზრით, ყველა მუქარა ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტურად მაინც პირობითია, თუმცა ექსპლიციტურობისა და იმპლიციტურობის გათვალისწინებით მორიგების ძალის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, თუ რისი სჯერათ კომუნიკანტებს, რომლებიც იმუქრებიან (Kent, 1967:87).

2.3.1. პოზიციის ლექსიკური მარკერები

მუქარის ფენომენის განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა პოზიცია. დ. ბიბერის აზრით (Biber et al., 1999: 966), კონკრეტული პოზიცია, მოსაუბრის ან მწერლის პირადი გრძნობები, აზრები და დამოკიდებულება პიროვნების ან საკითხის მიმართ ზოგადად შეიძლება გამოიხატოს იმ ლექსიკურ-გრამატიკული ხერხების გამოყენებით, რომლებსაც თავად პიროვნება ირჩევს.

პოზიცია წარმოადგენს ძლიერ კონსტრუქციას, რომელიც სხვადასხვა ხერხით გამოიხატება. იგი აძლევს საშუალებას როგორც მოსაუბრეს, ასევე ავტორს არა მარტო გამოიხატოს საკუთარი დამოკიდებულება, გრძნობები და შეფასებები პიროვნების ან საგნის, საკითხის მიმართ (Biber et al., 1999; Conrad et al., 2000), არამედ გადაანაწილოს საკუთარი ძალაუფლება და მოიპოვოს თანამოსაუბრეთა კეთილგანწყობა (Martin et al., 2005).

დ. ბიბერის მიხედვით (Biber et al., 1999 :966), ტექსტში პოზიციის გამოხატვის სამი ძირითადი ფორმა არსებობს: პარალინგვისტური, ლექსიკური და გრამატიკული. თითოეული მათგანი შეგვიძლია განვიხილოთ მუქარის გამოხატვის კუთხით პრაქტიკული მაგალითების წარმოდგენის გზით.

პოზიციის გამოხატვის პარალინგვისტურ ხერხში გაერთიანებულია მეტყველების ტემბრი, მისი ხანგრძლივობა და სიმაღლე; ხოლო ექსტრალინგვისტური ხერხები მოიცავს ჟესტებსა და სხეულის ენას, სახის გამომეტყველებას. აღნიშნული ხერხების გამოყენებით ავტორი გამოხატავს გრძნობებსა და დამოკიდებულებს ინფორმაციის მიმღების და/ან სასაუბრო საკითხის მიმართ.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ექსტრალინგვისტურ ელემენტებს მიეკუთვნება ემოციების გამომხატველი სიმბოლოები, აკრონიმები, ტექსტის გამუქება, ინგლისურ ენაში მთავრული ასოების, პუნქტუაციის ნიშნების მრავალჯერადი გამოყენება, შრიფტის დახრა (კურსივირება) და სხვა.

ცხრილი №11 პოზიციის პარალინგვისტური მახასიათებლები

<i>Paralinguistic Features of Stance</i>		
<i>მახასიათებლები</i>	<i>მაგალითი</i>	<i>წყარო</i>
<p><i>ხმის ტონი (pitch), სიმალლე (loudness) და ხანგრძლივობა (duration)</i></p>	<p>1) Donald Trump: “The United States / / has great strength and patience. But if it is forced to defend itself and its / / allies, ↓ we wil have no choice but to / / totally destroy North Korea. ↓</p> <p>2) ირმა ინაშვილი ირაკლი სესიაშვილს: ბატონო ირაკლი, არ ჩამომიყვანოთ ეხლა სტუდიაში რა... ↗</p>	<p>1) Trump threatens to 'totally destroy North Korea' in major UN speech (ინტერნეტწყარო №15)</p> <p>2) პირველი არხი, „პირველი სტუდია“ (ინტერნეტწყარო №16)</p>

<p>სახის მიმიკები (<i>facial expressions</i>), ჟესტიკულაციები (<i>gestures</i>), და სხეულის ენის სხვა გამოხატულებები (<i>other body language</i>)</p>	 	
<p><i>adverbs following speech- act verbs such as said or spoke in fiction texts</i></p> <p>ზედსართავეები / ზმნიზედები, რომლებიც პერფორმატიულ ზმნებს ახლავს მხატვრულ ტექსტებში</p>	<p>— “He ‘s really upset,” Irmgard said <i>nervously</i> (FICT).</p> <p>— “Do you?” Helen spoke <i>angrily</i> (FICT).</p> <p>- ეგაა, ბიჭო, მამად მაინც ვივარგებო?! რას ერჩი ბავშვებს?! *** რა გინდა, დაგხოცოთ?! - გამწარებული ვეჩხუბებოდი.</p>	<p>(Biber et al., 1999 :967)</p> <p>(თორაძე, 2016 :454)</p>
<p>ემოციების გამომხატველი სიმბოლოები</p>	<p>:-), :-p</p>	<p>(ინტერნეტწყარო №17)</p>

		
<p><i>მთავრული ასოები (Upper case)</i></p>	<p>Donald Trump: “NEVER, EVER THREATEN THE UNITED STATES AGAIN OR YOU WILL SUFFER CONSEQUENCES THE LIKES OF WHICH FEW THROUGHOUT HISTORY HAVE EVER SUFFERED BEFORE. WE ARE NO LONGER A COUNTRY THAT WILL STAND FOR YOUR DEMENTED WORDS OF VIOLENCE & DEATH. BE CAUTIOUS!”</p>	<p>(ინტერნეტწყარო №83)</p>
<p><i>პუნქტუაციური ნიშნების მრავალჯერადი გამოყენება (repeated punctuation)</i></p>	<p>!!!</p>	
<p><i>ლექსიკური ვარიაციები (lexical variations)</i></p>	<p>cya = see you b4 = before</p>	<p>(ინტერნეტწყარო №75)</p>

<p><i>გამუქებული</i></p> <p>შრიფტი (bolding)</p> <p><i>კურსივი (italics)</i></p>	<p>Donald Trump: “The Iran sanctions have officially been cast. These are the most biting sanctions ever imposed, and in November they ratchet up to yet another level. Anyone doing business with Iran will NOT be doing business with the United States. I am asking for WORLD PEACE, nothing less.”</p> <p>საქართველოში რომ ჩამოვივით, პატივცემულო ხელისუფლებავ, მიშა (საკაპაშვილი), სერი ნახეთ მერე! დაგითვლით დღეებს!</p> <p>„როგორც გაგაჩინე, ისე გაგაქრობ, გონს თუ არ მოეგები!“</p>	<p>(ინტერნეტწყარო №80)</p> <p>(ინტერნეტწყარო №69)</p> <p>(თორაძე, 2016 :495)</p>
---	---	--

ტექსტში პოზიციის გამოხატვის კიდევ ორი ხერხი არსებობს: ლექსიკური და გრამატიკული, რომელთაც დ. ბიბერი პოზიციის აშკარა გამოხატულებებს უწოდებს (Biber et al., 1999 :968).

ვ. შახოვსკის მიხედვით (Шаховский, 2009:91), ემოციების გამომხატველი ლექსიკა შესაძლოა დაიყოს სამ ჯგუფად: 1) ლექსიკა, რომელიც **ასახელებს** ან აღნიშნავს ემოციას; 2) ლექსიკა, რომელიც **აღწერს** ემოციას; 3) ლექსიკა, რომელიც **გამოხატავს** ემოციას.

პირველ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები აღნიშნავს ემოციურ მდგომარეობას და მათ შეიძლება ეწოდოს ლოგიკურ-საგნობრივი. ემოციის აღმწერი

ლექსიკა შესაძლებელია იყოს ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ა.შ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ემოციური კინემების ლექსიკური აღწერა, როდესაც სახელდება ემოციის გამოხატველი სხეულის ნაწილები (თვალები, ტუჩები, სახე) და ასევე მოცემულია ემოციის ლექსიკური აღნიშვნა.

მესამე ჯგუფში შედის ემოციური ლექსიკა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ემოციის გამოხატვა (Шаховский, 2009 :100).

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება შევადგინოთ მუქარის ამსახველი ლექსიკის ცხრილი:

პირველ ჯგუფში ერთიანდება ძირითადად არსებითი სახელები, რომლებიც ასახელებს მოქმედებას.

მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ზედსართავებითა და ზმნიზედებით, რომლებიც აღწერს მოქმედებას ან ახასიათებს მოსაუბრის მდგომარეობას.

მესამე ჯგუფი შეიცავს ზმნებს და უშუალოდ გამოხატავს იმ განზრახვას, რის შესრულებასაც აპირებს მოსაუბრე. აღნიშნული ჯგუფი, ჯ. ოსტინის კლასიფიკაციის მიხედვით პერფორმატიული ზმნების ჩამონათვალს წარმოადგენს (იხ. ცხრილი № 12).

ცხრილი №12

მუქარის ამსახველი ლექსიკის კლასიფიკაცია		
ლექსიკური ერთეულის ფუნქცია	ქართული	ინგლისური
ასახელებს	მუქარა, ქადილი, რისხვა, ძალადობა, ხელყოფა,	menace, intimidate, scare, abuse, admonish, blackmail, bully,

	შეურაცხყოფა, აგრესია...	enforce, forebode, terrorize...
აღწერს	გააფთრებული, გაცოფებით, მრისხანედ, მუშტმოღერებული, გაჯავრებით, გაბრაზებული...	Furious - furiously, angry - angrily, mad - madly, violent -violently...
გამოხატავს	მოგკლავ, დაისჯებით, პასუხს აგებთ, ინანებთ, არ შეგრჩებათ, გაგაქრობთ...	I'll kill you, You'll be punished, You'll be sorry for this...

მუქარის ენისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი №13).

ცხრილი №13

მუქარის ენასთან ასოცირებული ლინგვისტური თავისებურებები და ფუნქციები			
ენობრივი თავისება	ენობრივი ფუნქცია	ინგლისური მაგალითები	ქართული მაგალითები
შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ენა (მათ შორის, რასისტული და სქესობრივი ენა), არანორმატიული ლექსიკა	შეურაცხყოფის მიყენება, დამცირება, ზეწოლა	Nope, getting a sniper rifle and perching myself where it counts. Find a bedroom in the Whitehouse that suits you motherfucker . I'll find you.	გრიშა ონიანი წამყვანს: რომ ჩამოვალ თბილისში, ეხლა შორს ვარ და თუ ხმით ვერ მოგწვდით, ქვევს დაგიშენთ და ისე გაგცემთ პასუხს თქვე ნადირლევო.

		<p>I'm going to kill the president. Elect.</p> <p>Bring it secret service.</p> <p>(ინტერნეტწყარო № 78)</p>	<p>(ინტერნეტწყარო № 12)</p> <p>ალეკო ელისაშვილი სოსო მანჯავიძეს: „შე არაკაცო, შე პარტიიდან გაგდებულო მათხოვარო!“</p> <p>(ინტერნეტწყარო №18)</p>
<p>დაშავების ან დაზიანების სურვილის ამსახველი ლექსიკა</p>	<p>მოქმედების კონკრეტიზაცია სიტუაციის გამმაფრების მიზნით</p>		<p>გივი ივანიშვილი (ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლთა კავშირის თავჯდომარე) დავით ნებიერიძეს (საზოგადოება „ივერია“):</p> <p>„გადაგივლი კატოკივით, შენ ვინმეში არ შეგეშალო, შე ნ***ო შენა, შენნაირებს ვმარხავდი, დაგჭრი ბიჭო, მოშორდი აქედან, სტუდიიდან გაეთრიე... გეუბნები გაგატყავებ, გადი</p>

			<p>ეხლა აქედან!“</p> <p>(ინტერნეტწყარო №19)</p>
<p>დაკონკრეტებული ან ზოგადი დროის ჩარჩო</p>	<p>დაშინება / გადაწყვეტილების სერიოზულობის დასაბუთება</p>	<p>Donald Trump about General Motors closing down the plant in the USA and Canada: “... I said, - “this country has done a lot for GM you better get back in there soon, that’s Ohio, and you better get back in there soon!”</p> <p>(ინტერნეტწყარო №76)</p>	<p>აისის მუქარა საქართველოს: „მაღე დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც.“</p> <p>(ინტერნეტწყარო №20)</p>
<p>ქცევა, რომლის გამოც მსხვერპლი ისჯება</p>		<p>Far-right Britain First leader threatens politicians & journalists with ‘day of reckoning’</p> <p>“I can promise you, from the very depths of my being, you will all meet</p>	<p>სოსო მანჯავიძე ალექო ელისაშვილს: „მაგ სისულელეების ლაპარაკისთვის პასუხს მოგთხოვ.“</p> <p>(ინტერნეტწყარო №18)</p>

		your miserable ends at the hands of the British First movement. Every last one of you.” (ინტერნეტწყარო №26)	
--	--	---	--

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ქართული ენა გამოირჩევა მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების სიუხვით, რომლებიც მრავლად გვხვდება როგორც ლიტერატურულ, ისე ყოველდღიურ მეტყველებაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამგვარ ფრაზეოლოგიზმებში ჭარბობს სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები, ანუ სომატური იდიომები, რაც დამმუქრებლის მხრიდან სიტყვიერი მუქარის ფიზიკურ აგრესიაში გადაზრდის დიდი ალბათობის მიმანიშნებლად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან, როგორც სამსახურეობრივი ძალადობის საკითხის, კონფლიქტების მოგვარების, ბულინგის და სხვა მსგავსი საკითხების ექსპერტი, დოქტორი დენის დევისი აღნიშნავს: „ძალადობა იწყება აზრებით, ჯერ გადადის ენობრივ გამომხატულებაში და შემდეგ ქმედებებში“ (Davis, 1997:13).

ცხრილი №14 მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაში

სხეულის ნაწილები/ სომატური იდიომები	კოლოკვიალიზმები	ფერები	სხვა (ცეცხლი, ჯოჯობეთი)
✓ ლაყუჩებს /ყურებს აგახევ!	✓ „სპასობნია!“ ✓ შეეშვი, ნუ „ტისკავ“!	✓ შავ ღღეს დაგაყრი! ✓ ცემაში	✓ ნაცარტუტად გაქცევ!

<ul style="list-style-type: none"> ✓ ტყავს გაგაძრობ! ✓ თმით გითრევ! ✓ სიმწრით წვერ-ულვაშს გაგლეჯინებ! ✓ ცხვირიდან ძმარს გადენ! ✓ ცხვირ - პირიდან სისხლს განთხევიანებ! ✓ ფეხებით შეგდგები! ✓ ზურგზე ბრდღვირს ვადენ! ✓ წიხლქვეშ დაგიდებ! ✓ დაგმლი მარტივ მამრავლებად! ✓ სახსრებში გადაგხსნი 	<p>(თორაძე, 2016 :53)</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მისაღები მიიღება,... ეტყვი რომ „შაკალი“ ხარ! <p>(იქვე, 2016 :142)</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ვინც „ტრუპს“ აიკიდებს, იმას მე გამოვუღებ „ფარშს!“ <p>(იქვე, 2016 :143)</p>	<p>დაგალურჯებ!</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ გაგაცამტვერებ! ✓ ცხოვრებას ჯოჯობეთად გიქცევ! ✓ გაჩენის დღეს /დაბადებას გაწყევლიანებ! ✓ „ისეთი შემოგილაწუნო, ორი კაცი პარადად მოგეჩვენოს!“
---	--	--------------------	--


მაგალითები ინტერნეტრესურსებიდან (ინტერნეტწყარო № 37-44)

ინგლისური ენა, ისევე როგორც ქართული, ხასიათდება ფრაზეოლოგიზმების უხვი გამოყენებით. ამ მხრივ, არც მუქარის ენაში გვხვდება სიმწირე, თუმცა უნდა

ითქვას, რომ ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ კოლოკვიალიზმებს ახასიათებს არანორმატიული ლექსიკის გაცილებით ხშირი გამოყენება. სხეულის ნაწილების დასახელება მუქარის შემცველ განცხადებებში ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიზმებშიც სხვა დანარჩენ ელემენტებთან შედარებით ყველაზე დიდი რაოდენობით ფიქსირდება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ძირითადად, ფერები, რომლებიც მუქარის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ფიგურირებს, ორივე ენაში ერთი და იგივე, შავი და ლურჯია.

ცხრილი №15 მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ინგლისურ ენაში

Body parts	Colloquials /Slang	Colors	Other
<p>✓ skin someone alive (=to punish someone severely) <i>e.g. "If that kid damages my car again, I'll skin him alive!"</i></p> <p>✓ eat someone alive (=defeat or beat someone comprehensively) <i>e.g. "You bring out the worst in me, I'll eat you alive."</i></p> <p>✓ bite someone's head off (=criticize</p>	<p>✓ take it outside (=to fight. Also <i>take this outside</i>). <i>e.g. Do you want to take it outside?</i></p> <p>✓ get medieval (=to torture terribly, in the medieval style) <i>e.g. I'm going to get medieval on his a**!</i></p> <p>✓ make (one) dust (one's) back off (=to physically</p>	<p>✓ to beat somebody black and blue (=skin that is black and blue has bruises on it as a result of being hit) <i>e.g. If you do that again, I'll beat you black and blue.</i></p> <p>✓ Black eye (=if you have a black eye, you have a dark area around your eye because you have been</p>	<p>✓ tear a strip off someone (=reprimand someone severely for doing something wrong) <i>e.g. "The teacher tore a strip off Charlie for not doing his homework."</i></p> <p>✓ Go Nuclear (=Use an extreme measure)</p>

<p>someone strongly; be hursh on someone) <i>e.g. "I'll bite your head off, if you come too close to the stage."</i></p> <p>✓ cut/ rip one's heart out (=destroy or seriously damage) <i>e.g. "I'm going to cut your (expletive) liberal bleeding heart out."</i></p>	<p>attack someone) <i>e.g. "Keep talking s**t and I'm going to make you dust your back off."</i></p> <p>✓ open a can of whoop-ass (=to beat someone up) <i>e.g. "If he screws with me again, I'm gonna open a can of whoop- ass on him."</i></p> 	<p>hit) <i>e.g. They put my name down, gave me a black eye.</i></p>	<p><i>e.g. If they try to dump more goods in our market, we'll go nuclear on them and totally shut down the trade negotiations.</i></p> <p>✓ ball up (=to beat someone until they enter the fetal position (their body forming a tight ball) <i>e.g. If that guy keeps looking at me he's gonna get balled up.</i></p>
--	---	---	---

მაგალითები ინტერნეტრესურსებიდან (ინტერნეტწყარო № 46-51, 81)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე ენაში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმების უმეტესი ნაწილის ლექსიკური მნიშვნელობა მოიცავს მუქარას, უშუალოდ, ფიზიკური ანგარიშსწორებით და მხოლოდ მცირე ნაწილი გამოხატავს ზეწოლას, ოღონდ არა ფიზიკური ძალადობის მნიშვნელობით.

2.3.2. პოზიციის გრამატიკული მარკერები

პოზიციის გრამატიკული მარკერები ორი ლინგვისტური ელემენტისაგან შედგება – ერთი წარმოადგენს პოზიციას, ხოლო მეორე პოზიციით ჩამოყალიბებულ წინადადებას, საკითხს (Biber et al., 1999 :969). მაგალითად, გამონათქვამში – I hope that you will take care of this matter immediately – პოზიცია გამოხატულია ძირითადი ზმნის – hope და დამატებითი დამოკიდებული წინადადების – you will take care of this matter immediately კომბინაციით, გამონათქვამი კი ჩამოყალიბებულია მოსაუბრის იმედიანი განწყობით.

პოზიციის გრამატიკული მარკერი ინგლისურ ენაში ხუთი ძირითადი კატეგორიით აღინიშნება. ესენია: ზმნიზედა, განმსაზღვრელი წინადადება, მოდალური და ნახევრად მოდალური ზმნა, არსებითი სახელი + წინდებულიანი ფრაზა და პოზიციის განმსაზღვრელი ზმნიზედები (იქვე).

ცხრილი №16

პოზიციის გამომხატველი გრამატიკული კატეგორიები		
გრამატიკული კატეგორიები	მაგალითები	წინადადებები
<p>Adverbials (ზმნიზედები)</p> <p>1. single adverbs and adverb phrases (ცალკეული ზმნიზედები და ზმნიზედური ფრაზები)</p> <p>2. prepositional phrases (წინდებულიანი</p>	<p>1. <i>unfortunately, quite frankly</i></p> <p>2. <i>in fact, without doubt</i></p> <p>3. <i>as one might expect, to be honest</i></p> <p>4. <i>I guess, I think</i></p>	<p>1. <i>Unfortunately, we can't do anything about it!</i></p> <p>(სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფერს ვიზამთ ამასთან დაკავშირებით)</p> <p>2. <i>In actual fact, only a fraction of this number</i></p>

<p>ფრაზები)</p> <p>3. adverbial clauses (გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები)</p> <p>4. comment clauses (კომენტარის ზმნიზედები ჩართულების სახით)</p>		<p><i>actually occurs.</i></p> <p>(ფაქტიურად, ამ რაოდენობის მხოლოდ ნაწილი ხდება რეალურად)</p> <p>3. <i>As one might expect, Gauss didn't collaborate much with others.</i></p> <p>(როგორც მოსალოდნელი იყო, გაზი სხვებთან დიდად არ თანამშრომლობდა)</p> <p>4. <i>You just have to try and accept it, I guess.</i></p> <p>(სავარაუდოდ, უბრალოდ უნდა სცადო რომ მიიღო ეს ისე, როგორც არის)</p>
<p>Complement Clauses (დამატებითი დამოკიდებული წინადადებები)</p> <p>1. controlled by verbs (კონტროლდება ზმნებით)</p> <p>2. controlled by nouns (კონტროლდება</p>	<p>1. <i>I hope that ...</i></p> <p>2. <i>The fact that...</i></p> <p>3. <i>I'm happy that...;</i></p> <p><i>I'm sad to...</i></p>	<p>1. <i>I just hope that I've plugged it in properly.</i></p> <p>(იმედი მაქვს, სწორად ჩავრთე)</p> <p>2. <i>The fact that he will get away with attacking my daughter is obscene.</i></p> <p>(ის ფაქტი, რომ მას შერჩება ჩემს ქალიშვილზე</p>

<p>არსებითი სახელებით)</p> <p>3. controlled by adjectives (კონტროლდება ზედსართავი სახელებით)</p>		<p>თავდასხმა, შეურაცხყოფელია)</p> <p>3. <i>I'm very happy that we're going to Sarah's.</i></p> <p>(ძალიან მიხარია, რომ სარასთან მივდივართ)</p>
<p>Modals and Semi-Modals (მოდალები და ნახევრად-მოდალები)</p>	<p><i>can, may, might, have (got) to</i></p> <p><i>would ...</i></p>	<p><i>She has to go to a special school.</i></p> <p>(მან სპეციალურ სკოლაში უნდა იაროს)</p>
<p>Noun plus prepositional Phrase (არსებითი სახელი + წინდებულიანი ფრაზა)</p>	<p><i>-the possibility of</i></p>	<p><i>They deny the possibility of a death wish.</i></p> <p>(ისინი უარყოფენ სიკვდილის სურვილის შესაძლო არსებობას)</p>
<p>premodifying stance adverbs (პოზიციის გამომხატველი ზმნიზედა + ზედსართავი სახელი ან სახელადი ფრაზა)</p>	<p><i>so</i></p> <p><i>about</i></p>	<p><i>I'm so happy for you.</i></p> <p>(ისეთი გახარებული ვარ შენ გამო)</p>

ცხრილში მოცემული პოზიციის აღმნიშვნელი გრამატიკული კატეგორიებიდან მუქარის შემცველ კომუნიკაციებში ყველაზე ხშირად გვხვდება მოდალური ზმნები, შემდეგ – დამატებით დამოკიდებული წინადადებები და ზმნიზედები (Biber et al., 1999 :969-975).

იმისათვის, რომ უფრო დეტალურად განვიხილოთ მუქარაში აღნიშნული ელემენტების განაწილების ნიმუშები, საჭიროა გავეცნოთ პოზიციის აღმნიშვნელი თითოეული გრამატიკული კატეგორიის, მოდალური ზმნების, ზმნიზედების და დამატებით დამოკიდებული წინადადებების სემანტიკური განაწილების მაჩვენებელსა და მათს შესაბამის ფუნქციებს.

მოდალური და ნახევრად მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში სამ სემანტიკურ კატეგორიად იყოფა:

1. შესაძლებლობა;
2. ალბათობა;
3. აუცილებლობა

შესაძლებლობის მოდალური ზმნები მიუთითებს მოქმედების შესრულების შესაძლებლობაზე (მაგ.: might, could), ნებართვის აღებასა (მაგ.: may) და უნარიანობაზე (მაგ.: can); აუცილებლობის ამსახველი მოდალური ზმნები – აუცილებლობასა (მაგ.: need to, must) და ვალდებულებაზე (მაგ.: be supposed to, ought to) მოსაუბრის ან მსმენლის მხრიდან.

ალბათობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები წინასწარმეტყველებენ შესაძლო ან დაგეგმილ მომავალ მოვლენებს (მაგ.: will, be going to).

ალბათობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები მუქარაში ყველაზე ხშირად გამოიყენება (Gales, 2015 :1-25).

ტექსტში ავტორის პოზიციის აღმნიშვნელი ზმნიზედების სამი ძირითადი სემანტიკური კლასი გამოიყოფა (Biber et al., 1999 :854):

1) ეპისტემიკური (epistemic), რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფს მოიცავს; მათ შორის ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ზმნიზედები, რომლებიც გამოხატავენ უეჭველობას, (Certainty), შეზღუდვასა (Limitation) და ალბათობას (Likelihood)

2) დამოკიდებულების გამომხატველი (Attitude)

3) სტილის აღმნიშვნელი (Style)

ცხრილი №17

პოზიციის აღმნიშვნელი ზმნიშედების სემანტიკური კლასიფიკაცია	
სემანტიკური კატეგორია	ზმნიშედები
უეჭველობა	<i>Never; really; always; certainly; no doubt; undoubtedly; definitely</i>
ალბათობა	<i>Maybe; probably; perhaps</i>
შეზღუდვა	<i>Any longer; no longer; in most cases</i>
დამოკიდებულება	<i>Unfortunately; seriously; hopefully</i>
სტილი	<i>Truly; simply; frankly; honestly</i>


წყარო- Biber et al., 1999 :854-857.

თ. გელისის მტკიცებით, მუქარის ენაში აღნიშნულთაგან ყველაზე ხშირად უეჭველობის ამსახველი ზმნიშედები გვხვდება (Gales, 2015:1-25), რაც ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითების ანალიზმაც ცხადყო. კერძოდ, აქ უეჭველობის გამომხატველი ზმნიშედები *never / never ever* და *really*, მთლიანი კატეგორიის 65% წარმოადგენენ. დანარჩენ სამ კატეგორიაში *probably* ალბათობის გამომხატველი ყველაზე მეტად გამოყენებადი ზმნიშედაა, დამოკიდებულების გამომხატველი ზმნიშედებიდან უმეტესწილად გამოიყენება *seriously*. რაც შეეხება სტილის ზმნიშედებს, როგორც მოძიებული მაგალითების ანალიზმა აჩვენა, მუქარაში უფრო


მეტი სიხშირით გამოიყენება ზმნიზედური ფრაზები, ვიდრე ცალკეული ზმნიზედა, – *in harshest way; in the strongest of terms.*

მუქარაში გამოყენებული ზმნიზედების სემანტიკური კატეგორიის მიხედვით ანალიზმა გვიჩვენა, რომ უექველობის ზმნიზედებს ხშირად მოსდევს შეზღუდვის, სტილის, ალბათობისა და დამოკიდებულების ამსახველი ზმნიზედები, თუმცა სხვა კატეგორიის ზმნიზედებთან შედარებით, უექველობის ზმნიზედები მეტი სიხშირით გვხვდება, რაც, შესაბამისად, ამცირებს განსხვავებული სემანტიკური კატეგორიების გავლენას მოცემულ ჟანრში პოზიციის მთლიანი ფუნქციონირების პროცესში.

სქემა №10



ქართულენოვანი მუქარის მაგალითების ანალიზმა განსხვავებული სურათი მოგვცა. აქ პირველ ადგილს დამოკიდებულების ზმნიზედები (*სერიოზულად, სრული სერიოზულობით, პირდაპირ*) იკავებენ 40%-იანი სიხშირის მაჩვენებლით, რომლებსაც სტილისა (*უბრალოდ, მშვიდად, მკაფიოდ, მარტივად*) და უექველობის (*არასოდეს, ნამდვილად, სწორედ, აუცილებლად*) ზმნიზედები მოჰყვება თანაბარი 25-25%-ით. რაც შეეხება შეზღუდვის ზმნიზედებს (*აღარ, ვეღარასოდეს*), მათზე მხოლოდ 10 % მოდის, ხოლო ალბათობის ზმნიზედები ქართველი პოლიტიკოსების მუქარაში საერთოდ არ ფიქსირდება (იხ. სქემა №11).



როგორც უკვე აღნიშნეთ, დამატებითი დამოკიდებული ტიპის წინადადებების გაკონტროლება შესაძლებელია ზმნების, ზედსართავი და არსებითი სახელების საშუალებით, რომლებითაც ავტორის პოზიციის დაფიქსირებაა შესაძლებელი. დამატებითი წინადადებების ტიპების უფრო დეტალური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნული წინადადებების გაკონტროლება უფრო მეტად შესაძლებელია ზმნებით, ვიდრე არსებითი ან ზედსართავი სახელებით (Biber et al., 1999 :973).

ზმნებიდან, რომლებიც that დამატებით წინადადებებს აკონტროლებენ, მუქარაში ყველაზე დიდი სიხშირით გვხვდება უქველობის გამომხატველი ზმნები, მათ მოსდევს სამეტყველო ქმედების გამომხატველი ზმნები, ხოლო გამოყენების ნაკლები სიხშირით ხასიათდება ალბათობისა და დამოკიდებულების გამომხატველი ზმნები.

ზმნების მიერ კონტროლირებადი to ინფინიტივური კონსტრუქციები, რომლებიც ავტორის პოზიციას ასახავენ, ქმნის that დამატებითი წინადადებებისაგან განსხვავებულ სემანტიკურ მნიშვნელობებს. ზმნები, რომლებიც to დამატება წინადადებებს განსაზღვრავენ, შემდეგ სემანტიკურ კლასებად იყოფა:

1. ალბათობა (appear, seem, tend);
2. შეცნობა ან აღქმა (assume, know, remember);
3. განზრახვა ან სურვილი (love, need, want);
4. მიზეზობრიობა ან ძალისხმევა (encourage, help, require);
5. სამეტყველო ქმედება ან კომუნიკაცია (claim, promise, tell) (Biber, 2006 :92-93).

მუქარაში ყველაზე ხშირად გამოიყენება განზრახვისა და მიზეზობრიობის გამომხატველი ზმნები, ხოლო სამეტყველო ქმედების, ალბათობისა და შეცნობის აღმნიშვნელი ზმნები შედარებით იშვიათად გვხვდება (Gales, 2015 :14-15).

როგორც №18 ცხრილიდან ჩანს, პოზიციის გრამატიკული მარკერები გარკვეული ენობრივი ფუნქციების მატარებლებად გვევლინებიან. მათი დიდი უმეტესობა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში ერთი და იმავე ფორმით არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ფუნქციებიც ერთნაირია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი თავისი მაგალითები ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს (იხ. ცხრილი №18).

ცხრილი №18

მუქარის ენის საერთო გრამატიკული მარკერები ქართულ და ინგლისურ ენებში	ენობრივი ფუნქცია	მაგალითები
1. პირობითი	1. პირობითობა	If I do not see this note in your paper, I will do something nasty,

წინადადებები		which you know I'm capable of doing (Gales, 2015: 12) თუ დანაპირებს არ შეასრულებ, შენ თავს დააბრალებ! (ბ.ჭ.)
2. მოდალობა	2. მუქარის განხორციელება, განზრახვის დემონსტრირება	I <u>must</u> destroy her! ჩვენ ის უნდა კუთხეში მივიმწყვდიოთ და ვაიძულოთ აღიაროს! (ბ.ჭ.)
3. მეორე პირის ნაცვალსახელები	3. სასურველი ობიექტის ფიქსაცია	I will have you no matter what! რაც არ უნდა გააკეთო, შენ მაინც დაისჯები! (ბ.ჭ.)
4. ზმნიზებები	4. განზრახვის სერიოზულობის მაჩვენებელი ენა	I'm really honestly being serious. ნამდვილად არ გეხუმრები, არ დამიჯერებ? ნახავ რაც მოგივა...(ბ.ჭ.)
5. უარყოფითი კონსტრუქციები	5. მექანიზმის დაძლევა, უარყოფა	You never know where I will show up. არც კი იცი, როდის შეიძლება დაგატყდე თავს (ბ.ჭ.)
6. რიტორიკული კითხვები	6. აგრესიასა და პირდაპირ ჩართულობაზე	Do we not deserve better? ჩვენ რა, უკეთესს არ

	მითითება	ვიმსახურებთ? (ბ.ჭ.)
7. ბრძანებითი წინადადებები	7. ბრძანება	Do it as I said! ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანეს! (ბ.ჭ.)
8. მომავალი დრო	8. მოქმედების განხორციელების დროის ფიქსაცია	You'll be punished for that! ამას მწარედ ინანებთ! (ბ.ჭ.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსებასთან ერთად განსხვავებებიც გვხვდება. მაგალითად, ქართულ ენაში მუქარას არ ახასიათებს მეორე პირის ნაცვალსახელების ხშირი გამოყენება, რამდენადაც ქართული სინთეზურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და მუქარის გამომხატველ ზმნებშივე გამოიკვეთება მუქარის ადრესატი; მაგ.: „**განანებ, იცოდე!**“ მაშინ როცა, მუქარის ობიექტის ხსენების გარეშე ინგლისურში წინადადება არ აიგება, რამდენადაც ინგლისურ ენაში არ არის სრულად წარმოდგენილი ყველა პირისა და რიცხვის კატეგორია. აქედან გამომდინარე, იმავე შინაარსის წინადადებას ინგლისურში შემდეგი ფორმა ექნება: e.g. ***You will be sorry for this!***

ქართულში მუქარის შემცველი ფრაზების უმრავლესობა გადმოცემულია მოქმედებითი გვარით, მაგ.: გაგანადგურებ! ხოლო ინგლისური ენა მეტწილად ვნებით გვარს იყენებს: e.g. ***You'll be destroyed!***

III თავი. მუქარის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ვერბალური გაფორმება ინგლისურსა და ქართულ ენებში

საჯარო და კერძო სამართლის დაწესებულებებში ყოველწლიურად უამრავი მუქარა შედის შესაფასებლად და განსახილველად. მხოლოდ 2003 წელს 400 ინდივიდუალური მუქარა გამოიძია გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI), რომელიც მხოლოდ ნაციონალური უსაფრთხოებისთვის სერიოზული საფრთხის შემქმნელ შემთხვევებს იძიებს. მსგავსი ტიპის მუქარის განხილვა და გაანალიზება აუცილებელია პროტოკოლის დაცვით, რაც გულისხმობს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას: არის ეს ნამდვილად მუქარა? რამდენად საშიშია მუქარა? რამდენად სარწმუნოა მუქარა? აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მიღება წარმოადგენს მუქარის შეფასების პირველ საფეხურს (Napier et al., 2003 :16) და ის უნდა ეფუძნებოდეს სოლიდურ ლინგვისტურ კვლევას, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ანალიტიკური სამუშაოების ჩატარებას, მუქარაში კონტექსტური და ლინგვისტური მინიშნებების მიგნებას. ეს ხელს შეუწყობს ნამდვილი, დამაშინებელი და გამაფრთხილებელი მუქარის დიფერენციაციას. შემდეგ ეტაპს კი წარმოადგენს მუქარაში პოზიციის ლინგვისტური მანიფესტაციების მიგნება, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის საშუალებით ავტორისეული განზრახვის გაგებას.

ნაშრომის მესამე თავში ჩვენ მიერ შეკრებილი მაგალითების საფუძველზე წარმოდგენილია მუქარის შემცველი განცხადებების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მუქარის ფორმისა/ტიპისა და დონის მიხედვით ქართულსა და ინგლისურ ენებში. ამავე თავში განხილულია მუქარის ვერბალური გაფორმება ორივე საკვლევ ენაში.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, მუქარის სხვადასხვა სახის არსებობაზე არაერთი მეცნიერის მოსაზრება ფიქსირდება სამეცნიერო წყაროებში, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ზუსტი კატეგორიზაცია თ. გელსის კვლევებშია წარმოდგენილი (Gales, 2010), სადაც მუქარის სამი ძირითადი კატეგორიაა გამოყოფილი:

1. Direct - პირდაპირი;

2. Conditional - პირობითი;
3. Veiled - ირიბი/ფარული.

მაგალითების კლასიფიკაციაც ამ კატეგორიების მიხედვით გადავწყვიტეთ, თუმცა დაკვირვებისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა; აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი პირობითი მუქარა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში პირდაპირი მუქარისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს (მოქმედების ზუსტი დრო და/ან ადგილი, მსხვერპლის ფიქსაცია, მოქმედება რის გამოც ისჯება მსხვერპლი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, თ. გეილსის კლასიფიკაციაში მოცემული **პირობითი** მუქარა ჩვენს შემთხვევაში ჩანაცვლებულია **პირდაპირ-პირობითი** მუქარით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა პირდაპირი მუქარა არ არის აუცილებლად პირობითი, მაშინ როცა ყველა პირობითი მუქარა, ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითების მიხედვით, პირდაპირია.

როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს (იხ. სქემა №12), ქართველი პოლიტიკოსების მუქარაში ყველაზე მაღალი დოზით გვხვდება პირდაპირი მუქარა - 71.5%, მას მოსდევს პირდაპირ-პირობითი მუქარა - 15%, რომელსაც მხოლოდ 1.25%-ით ჩამორჩება ირიბი მუქარა და წარმოდგენილია 13.75%-ით. განსხვავებული სურათი გვაქვს ინგლისური ენის შემთხვევაში, სადაც პოლიტიკოსების მუქარის წარმოდგენილი განცხადებების თითქმის ნახევარი (46.25%) მოდის პირდაპირ-პირობით მუქარაზე, მეორე ადგილს იკავებს პირდაპირი მუქარა (32.5%) და მესამე ადგილზე აქაც ირიბი მუქარაა (21.25%).

ინგლისურენოვანი მუქარის შემცველ განცხადებებში პირველი ადგილი პირდაპირ-პირობით მუქარას უჭირავს, ქართულში კი ამ პოზიციაზე საკმაოდ დიდი მაჩვენებლით პირდაპირი მუქარაა წარმოდგენილი, შეიძლება აიხსნას ამ ორი ენაში დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენებისადმი არსებული დამოკიდებულებით.


როგორც ნაშრომის მეორე თავშიც აღვნიშნეთ, ბრაუნისა და ლევინსონის მიხედვით, დასავლეთის ქვეყნების კულტურისათვის და შესაბამისად, ამ კულტურის

წარმომადგენლების დიდი უმეტესობის მიერ გამოყენებული ინგლისური ენისათვის, ძირითადად დამახასიათებელია უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების ხშირი გამოყენება (Brown et al., 1987 :129). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენაში უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციის ფორმალურ სტილს და არა პირდაპირ ურთიერთობას.

ამის საწინააღმდეგოდ, ქართული უშუალო, ფამილიარული ურთიერთობების მოყვარული ხასიათის გათვალისწინებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ენას მიდრეკილება აქვს დადებითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენებისადმი და ურთიერთობაშიც პირდაპირსა და ნაკლებად ფორმალურ სტილს ანიჭებს უპირატესობას.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ამ ორ საკვლევ ენაში პირდაპირი და პირდაპირ-პირობითი მუქარის რაოდენობრივი გადანაწილების მიზეზად შეიძლება სწორედ აღნიშნული სოციოკულტურული ფაქტორი დასახელდეს.

სქემა №12



ნაშრომის მეორე თავში ჩვენ თეორიულად წარმოვადგინეთ მუქარის ენის საერთო გრამატიკული მარკერები ქართულსა და ინგლისურ ენებში; ახლა კი პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით ორივე საკვლევ ენაში მუქარის თითოეული

ტიპისათვის დამახასიათებელ პოზიციის გრამატიკულ მარკერებსა და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე ვისაუბროთ.

3.1 პირდაპირი მუქარა

მუქარის თითოეული ტიპი სხვადასხვა დონის საფრთხის მატარებელია. პირდაპირი მუქარა სერიოზულ ხასიათს ატარებს, რადგან მასში ნათლად და ცალსახად არის დასახელებული სამიზნე, დრო, საფრთხის სახე და/ან მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნება მუქარის განხორციელებისას.

პირდაპირი მუქარა ორივე საკვლევ ენაში ხორციელდება ბრძანებითი წინადადებებით.

პირდაპირი მუქარის გამოხატვის დროს ქართულ ენაში ფიქსირდება მიმართვის განსხვავებული ფორმები. კერძოდ, მუქარის 57 მაგალითიდან 14-ში გამოყენებულია მიმართვის როგორც სახელადი ფორმები, კერძოდ, საკუთარი არსებითი სახელები (მაგ.1), ისე ნაცვალსახელები და წოდებით ბრუნვაში მდგომი საზოგადო არსებითი სახელები (მაგ. 2).

მაგ. 1. ირმა ინაშვილი ირაკლი სესიაშვილს: „ბატონო ირაკლი, არ ჩამომიყვანოთ ეხლა სტუდიაში!“ (ინტერნეტწყარო №16).

მაგ. 2 გია კორკოტაშვილი იაგო ხვიჩიას:“ შენ ეხლა, მომისმინე აქეთ, ... ყური დამიგდე კარგად, ... ზრდილობა იქონიე შენ, ბიჭო! მოგახევ მაგ თავს, შე უზრდელო, შენა რა!“ (ინტერნეტწყარო №22).

როგორც წესი, მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება ბრძანებით წინადადებაში ქართულ ენას არ ახასიათებს. მოცემულ შემთხვევაში ადრესატის ფიქსაცია პირდაპირი მიმართვით მოსაუბრის მხრიდან ემოციური ზეწოლის ერთგვარ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული ქმედებით მუქარის ავტორს მეტი კონკრეტუკა შეაქვს თავის განაცხადში, რათა დაარწმუნოს მეორე მხარე თავისი

სიტყვების სერიოზულობაში და გაზარდოს მასზე ზეგავლენის ხარისხი. ამავე მიზანს ემსახურება პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება პირდაპირ მუქარაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში ზმნაში წარმოდგენილი სუბიექტის ნიშანი ცხადად ასახავს, თუ ვინ გვევლინება განცხდების ავტორად და მისი დაკონკრეტების აუცილებლობა აღარ არსებობს.

მაგ. 3. ირმა ინაშვილი გუგული მადრადეს: „თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ იგნორირების გზით ჩაახშობს ამ პროტესტს, არ გამოვა ეს. **ჩვენ** შიმშილობას არ ვწყვეტთ. გადავდივართ, პერმანენტულ, ჯაჭვურ შიმშილობაზე“ (ინტერნეტწყარო №23).

წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის ასახვა ქართულისათვის აზრის გამოხატვის ალტერნატიული ვარიანტია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ემფატიკური მიზნით გამოიყენება, ინგლისური ენისათვის კი გარდაუვალი რეალობაა. ინგლისურ ენაში ზმნას არ შეუძლია დამოუკიდებლად გამოხატოს სუბიექტი და ობიექტი, რადგან აქ შეზღუდულად გვაქვს წარმოდგენილი პირისა და რიცხვის კატეგორიები. სწორედ ამიტომ უმეტეს შემთხვევაში სუბიექტის პოზიციაში გვევლინება პირველი პირი (მაგ. 4), როგორც მუქარის ავტორი, ხოლო მისი ობიექტი, შეიძლება გამოხატული იყოს მეორე (მაგ. 6) ან მესამე (მაგ. 5) პირის ნაცვალსახელით ან საკუთარი (მაგ. 6) ან საზოგადო (მაგ. 4) არსებითი სახელის ფორმით.

მაგ. 4. Mike Pompeo: "**We** will not let Iran get away with using a proxy force to attack an American interest; **Iran** will be held accountable for those incidents." (ინტერნეტწყარო №74).

მაგ. 5. "We'll fight **him** in the Congress, we'll fight him in the courts and we'll fight **him** in the court of public opinion," Pelosi told reporters in Texas on Monday, [CNN](#) reported. "What he's doing is wrong, and the Republicans know it." (ინტერნეტწყარო №45).

მაგ. 6. "**Governor Wolf**, let me tell you what, between now and Nov. 6, **you**'d better put a catcher's mask on your face because I'm going to stomp all over your face with golf spikes"- Scott Wagner, the Republican (ინტერნეტწყარო №25).


პირდაპირ მუქარაში ორივე ენისათვის დამახასიათებელია პერფორმატიული ზმნების გამოყენება; მაგალითად: „გეუბნებით, გაფრთხილებთ...“; “promise, tell...”. კონსტრუქცია – პირველი პირის ნაცვალსახელი + პერფორმატიული ზმნა ექსპლიციტურ პერფორმატიულ გამონათქვამს გვაძლევს (Austin, 1962:6), სადაც პერფორმატიული ზმნა ხაზს უსვამს მთქმელის განზრახვის სერიოზულობასა და ამავდროულად, არწმუნებს მუქარის ადრესატს გამონათქვამის შესრულების მაღალ ალბათობაში.

*მაგ. 7. Far-right Britain First leader threatens politicians & journalists with ‘day of reckoning’: “**I can promise** you, from the very depths of my being, you will all meet your miserable ends at the hands of the British First movement. Every last one of you.” (ინტერნეტწყარო №26).*

*მაგ. 8. რეზო ამამუკელის მუქარა თენგიზ გოგოტიშვილს: „**მე ვაფრთხილებ** მაგ ნატოს ოფისის „დვარნიაშკას“ ცოტა ჭკვიანად იყოს, თორემ მე ხელს რომ არ გავისვრი ცხადია! მაგას თავის დროზე მოუწევს პასუხისგება“ (ინტერნეტწყარო №27).*

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული ზმნები ინგლისურ ენაში ძირითადად წარმოდგენილია მოდალურ ზმნებთან ერთად, რაც კიდევ უფრო მკაცრ ტონს სძენს მუქარის განაცხადს და თვალსაჩინოს ხდის ფაქტს, რომ აღნიშნული პერფორმატიული ზმნები მუქარის კონოტაციას ატარებს, განურჩევლად მათი ლექსიკური მნიშვნელობებისა (იხ. მაგ. 7).

პერფორმატიული ზმნები მუქარის შემცველ გამონათქვამებში ქართულ ენაში 4-ჯერ უფრო მეტი სიხშირით ფიქსირდება, ვიდრე – ინგლისურში (იხ. სქემა №13).



პირდაპირი მუქარის გადმოსაცემად ინგლისურ ენაში უმეტესწილად გამოიყენება მომავალი დრო (Future Simple) (მაგ. 9) და გრამატიკული კონსტრუქცია “to be going to” (=„ვაპირებ“) (მაგ. 10).

მაგ. 9. *Trump speaks out after bomb threat saying: -“The full weight of our government is being deployed to conduct this investigation and bring those responsible for these despicable acts to justice. We will spare no resources or expense in this effort.” (ინტერნეტწყარო №28).*

მაგ. 10. *President Donald Trump says he expects “to do a very big number” regarding an anticipated executive order on free speech on college campuses potentially next week: “When they don’t allow free speech, we’re going to do a very big number” (=harm / injure / destroy). You know we give billions of dollars to these universities and they won’t allow free speech? That’s not what our country’s all about” (ინტერნეტწყარო №29).*

ქართულ ენაში პირდაპირი მუქარა ძირითადად გამოხატულია პირველი სერიის მყოფადის მწკრივის ზმნებით (მაგ. 11), რაც მნიშვნელობით უტოლდება ინგლისურ მარტივ მომავალ დროს.

მაგ. 11. ნუგზარ წიკლაური ოპოზიციურ ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის“: „ელოდეთ, რომ ოქტომბერში ქართველი ხალხი განაჩენს გამოგიტანთ“ (ინტერნეტწყარო №30).

პირდაპირი მუქარის მაგალითების განხილვამ ცხადყო, რომ პოზიციის დროის, ზმნისა და სინტაქსური წყობის გრამატიკული მარკერები ორივე საკვლევ ენაში სხვადასხვა დოზით, მაგრამ ერთნაირი ფორმებით არის წარმოდგენილი.

3.2 ირიბი მუქარა

ირიბი მუქარის განაცხადი აშკარად შეიცავს მუქარის ელემენტებს, თუმცა ისინი მოკლებულია კონკრეტიკას; კერძოდ, ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს მინიშნება მუქარის ადრესატზე, ზოგჯერ განზრახული ქმედებაც კი შეიძლება დასახელდეს, მაგრამ დროითი ჩარჩო და / ან ამ მოქმედების შესრულების სხვა ტექნიკური დეტალი (სად, რა, როგორ...) სრულად არ იყოს წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ ირიბ მუქარას დანარჩენი ორი ტიპის მუქარისაგან განსხვავებით ახასიათებს განუსაზღვრელი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების გამოყენება, რაც ქმნის საერთო სურათს კონკრეტული დეტალების გამოკვეთის გარეშე.

მაგ. 12. რეზო ამაშუკელი კოტე გაბაშვილს: „ვაფრთხილებ კიდევ მაგის [კოტე გაბაშვილი] გარშემო ზოგ-ზოგიერთებს, რომ მეზობლის კურდღლებივით ფეხებში ნუ გამიწვებიან თორემ...მე არ ვიცი მაგრამ მთელმა საქართველომ იცის ძალიან ბევრი რამე... დაეტიონ თავიანთ ტყავში და შეირგონ ის, რაც თქვლიფეს აქამდე და თუ ლაპარაკია, მერე ვილაპარაკოთ კიდევ!“ (ინტერნეტწყარო №31).

მაგ. 13. Nelson Marwa threatens to arrest politicians: “We have information that some of the drug dealers are attempting to escape but their days are numbered.” he said. (ინტერნეტწყარო №32).

ირიბი მუქარის შემცველ განცხადებებში ინგლისურ ენაში გამოიკვეთა გამოხატვის ორი განსხვავებული ფორმა:

1) პირველ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ე.წ. „განაწყენებული ავტორის პოზიცია“, სადაც მუქარის ავტორი გამოთქვამს უკმაყოფილებას არსებული მდგომარეობის გამო და აკეთებს განაცხადს სამომავლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მაგ. 14. *“I am not afraid of an arrest but **I won't go down alone, it's time some politicians are exposed. Biting the same hands that fed them.**” Nana Appiah Mensah tweeted (ინტერნეტწყარო №33).*

სწორედ ამიტომ აღნიშნული ტიპის განცხადებებისათვის დამახასიათებელია პირველი პირის ნაცვალსახელების გამოყენება, რადგან სიტუაცია წარმოდგენილია სუბიექტის პოზიციიდან.

2) მეორე ფორმის ირიბ მუქარაში ნახსენებია მხოლოდ მუქარის ადრესატი და განაცხადი ფორმულირებულია რჩევის სახით, ან წარმოდგენილია სიტუაცია, რაც იწვევს მოქმედის გაღიზიანებას.

მაგ. 15. *Sarah Palin: **They'd better be on their toes.** Cheaters will not win (ინტერნეტწყარო №34).*

მაგ. 16. *D. Trump “The World Trade Organization finds that the European Union subsidies to Airbus has adversely impacted the United States, which will now put Tariffs on \$11 Billion of EU products! **The EU has taken advantage of the U.S. on trade for many years. It will soon stop!**” (ინტერნეტწყარო №35).*

ქართულ ენაში ირიბ მუქარას ახასიათებს ძახილის წინადადებების გამოყენება მეორე და მესამე პირისადმი მიმართვის ფორმით.

მაგ. 17. ზუკა პაკუაშვილი: **„კულტურის სამინისტროს, თეატრის მმართველებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს, დირექტორებს – ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით! გონს მოეგეთ, სანამ დრო გაქვთ! გამიფრთხილებიხართ!“** (ინტერნეტწყარო №73).

ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული თერთმეტი მწკრივიდან,

რომლებიც სამ სერიად იყოფა, ირიბი მუქარის გამომხატველი ზმნების დიდი უმრავლესობა I სერიისაა. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება III სერიის I თურმეობითის ფორმით გამოხატული მუქარა (იხ. ცხრილი №19).

ცხრილი №19

ირიბი მუქარის გამომხატველი ზმნების ფორმები ქართულ ენაში			
№	მუქარის მაგალითები	სერია	მწკრივი
1	ირმა ინაშვილი გუგული მალრაძეს: „ძალიან <u>ცუდად მთავრდება</u> ხოლმე ასეთი იგნორი.“ (ინტერნეტწყარო №23).	I სერია	აწმყო
2	ირმა ინაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრებს: „მთელი თქვენი სულისკვეთება, თქვენი აზროვნების წესი, თქვენი ქმედებები, თქვენი მცდელობები, რომ პარლამენტის უზურპაცია მოახდინოთ, ეს ძალიან <u>ცუდად დამთავრდება</u> . ასე იღიმებოდა ადვიშვილი, თავის დროზე, ესე იღიმებოდა მიხეილ სააკაშვილი და ამ ღიმილ-ღიმილში ქართველმა ხალხმა ჩამოაგდო მერე ის ხელისუფლება.“ (ინტერნეტწყარო №36).	I სერია	მყოფადი
3	რეზო ამაშუკელი: „ჩემი სამშობლოს გაუბედურებას მე <u>არავის შევარჩენ!</u> “ (ინტერნეტწყარო №14).	I სერია	მყოფადი

4	რეზო ამაშუკელი: „რომ არ მაცლიან მშვიდად ცხოვრებას, <u>მე ჩემს სათქმელს ვიტყვი და სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს</u> “ (ინტერნეტწყარო №31).	I სერია	მყოფადი
5	რეზო ამაშუკელი: „ყველას ვერ მოკლავენ, ერთხელაც <u>იხუვლებს ეს ხალხი.</u> “ (ინტერნეტწყარო №31).	I სერია	მყოფადი
6	ზუკა პაპუაშვილი: „კულტურის სამინისტროს, თეატრის მმართველებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს, დირექტორებს – ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით! გონს მოეგეთ, სანამ დრო გაქვთ! <u>გამიფრთხილებიხართ!</u> “ (ინტერნეტწყარო №38).	III სერია	I თურმეობითი

ირიბი მუქარა წარმოადგენს მუქარის ერთ-ერთ ურთულეს ტიპს შესაფასებლად და საიდენტიფიკაციოდ, რამდენადაც მსგავსი ტიპის მუქარაში გამოყენებული ენა ბუნდოვანია და მუქარის აღსრულება არ არის დამოკიდებული სხვა პირობის შესრულებაზე. ირიბ მუქარას ხშირად გაფრთხილების ან უკმაყოფილების ტონი აქვს, საფრთხის ელემენტი კი ძირითადად მიმღებისთვისაა დატოვებული შესაფასებლად (Napier et al., 2003 :18).

3.3 პირდაპირ-პირობითი მუქარა

პირობითი, ჩვენს შემთხვევაში კი პირდაპირ-პირობითი მუქარა, ისეთ სამეტყველო აქტს მიეკუთვნება, რომელიც სხვა ადამიანების ქცევის განკარგვის საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

როგორც მაგალითების ანალიზმა აჩვენა, ძირითადი განმასხვავებელი

ენობრივი მახასიათებელი პირდაპირ-პირობით მუქარაში ორივე ენისათვის ერთი და იგივე გრამატიკული მარკერია. ეს გახლავთ პირობითი წინადადება (Conditional Sentence), რომლის გამოხატვის ფორმაც ქართულ ენაში არის მომავალი დრო, ხოლო ინგლისურ ენაში პირობა წარმოდგენილია აწმყო დროში და პირობის შედეგი - მომავალ დროში (იხ. მაგ. 18, 19).

მაგ. 18. ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს: „ეს ხელისუფლება თუ არ დაგსჯით, სხვა ხელისუფლება მოვა, ჩვენ მოვალთ და მიგაბრძანებთ ციხეში, როგორც არჩევნების გამყალბებელს, როგორც იარლიყების მიმკერებელს და სხვა უამრავი დანაშაულის ჩამდენს“ (ინტერნეტწყარო №23).

მაგ. 19. Donald Trump: **"If for any reason Mexico stops apprehending and bringing the illegals back to where they came from, the U.S. will be forced to Tariff at 25% all cars made in Mexico and shipped over the Border to us** (ინტერნეტწყარო №52).

პირობა მუქარაში ყოველთვის პირობითი წინადადებით არ გამოიხატება. იშვიათ შემთხვევაში ის შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დროის დამოკიდებული წინადადებით, ან ძახილის წინადადებით, რომელიც ზოგჯერ, თითქოს გაფრთხილების ტონს ატარებს, თუმცა კონტექსტიდან აშკარაა, რომ მუქარასთან გვაქვს საქმე. ასეთ წინადადებებში ინგლისურ ენაში გამოყენებულია კავშირი "or", ხოლო ქართულში კავშირი, – „თორემ“ (იხ. მაგ. 20, 21).

მაგ. 20. ალექო ელისაშვილი: „გააჩერეთ ეს პროცესი! ნუ აჯანჯლარებთ ამ ქვეყანას, თორემ აჯანჯლარს გაჩვენებთ მართლა, არ გამოგვიყვანოთ ასიათასობით ადამიანი!“ (ინტერნეტწყარო №53).

მაგ. 21. Donald Trump: **"Bernie Sanders is lying when he says his disruptors aren't told to go to my events. Be careful Bernie, or my supporters will go to yours!"** (ინტერნეტწყარო №54).

პირდაპირ-პირობით მუქარაში დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას უერთდება შემდეგი კავშირებით:

- ქართული: თუ (მაგ. 18), ან...ან/ან არა და (მაგ. 22), თორემ (მაგ. 20), როგორც კი (მაგ. 23);

მაგ. 22. ალეკო ელისაშვილი „ბებიათქვენისამ, რა! მოეშვით ამ ყველაფერს და საეშე აკეთეთ ან არა და გაგიშვებთ მაგ თანამდებობებიდან! როგორც შემოსკუპდით მაგ ჯიპებზე აი, ისე ჩამოგასკუპებთ მაგ ჯიპებიდან!“ (ინტერნეტწყარო №53).

მაგ. 23. სააკაშვილი: „როგორც კი დავამხოთ ივანიშვილს, დავბრუნდები საქართველოში“ (ინტერნეტწყარო №56).


- ინგლისური: if (მაგ. 19), or (მაგ. 21), unless (მაგ. 24), in case (მაგ. 25);


მაგ. 23. The president [Trump] said: "Tehran can expect further actions unless it fundamentally alters its conduct." (ინტერნეტწყარო №56).

მაგ. 24. "In case there is a threat to the lives of our military, the Russian Armed Force will take retaliatory measures both over the missiles and carriers that will use them," [Russia's general staff, Valery Gerasimov] (ინტერნეტწყარო №57).

აღნიშნული კავშირებიდან ყველაზე დიდი სიხშირით ორივე ენაში გამოიყენება კავშირი „თუ“ – “if”. დანარჩენი კავშირების მუქარაში გამოყენების სიხშირე კი გრაფიკულად წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ სქემებში №14 და №15.

სქემა №14





პირდაპირ პირობითი მუქარა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიში ტიპის მუქარად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ის პირდაპირი მუქარისათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტთან ერთად შეიცავს დამატებით პირობას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც დადგება მუქარის ადრესატისათვის არასასურველი შედეგი და ეს შედეგი კონკრეტულად ფორმირებული და გამოკვეთილია, რაც მუქარის სარწმუნოობას კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის.

3.4 მუქარის დონეები ინგლისურსა და ქართულში

მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ მუქარა ნამდვილად შეიცავს საფრთხეს, საჭიროა იმის განსაზღვრა, თუ როგორ და რა გზით შეიძლება განხორციელდეს ესა თუ ის მუქარა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები შეინიშნება მუქარის შეფასების სფეროში, რის შედეგადაც 1992 წელს ჩამოყალიბდა მუქარის შეფასების პროფესიონალების ასოციაცია Association of Threat Assessment Professionals (ATAP) და მუქარის შეფასების ჟურნალი *Journal of Threat Assessment*,

რომელიც პირველად გამოიცა 2001 წელს. მათი შეფასებით მუქარა მისი განხორციელების შესაძლო ალბათობის ხარისხიდან გამომდინარე სამ კატეგორიად იყოფა: მაღალი, საშუალო და დაბალი დონის მუქარა.

როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან მუქარაში, ფიქსირდება სამივე დონის მუქარის გამოყენება, თუმცა, რაც შეეხება პოლიტიკოსების მეტყველებას, მაგალითების ანალიზის დროს ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკოსები დაბალი დონის მუქარის შემცველი განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებენ და ფაქტობრივად, ასეთი მუქარა მათი მხრიდან არ ფიქსირდება.

პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული მუქარა ზოგადად ყოველთვის მეტი სიმძაფრით აღიქმება საზოგადოების მხრიდან, ვიდრე ეს ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაშია. ვფიქრობ, ამას ცხადად იაზრებენ პოლიტიკოსებიც და სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებენ მუქარის ენას, როდესაც ამის შესრულების ალბათობა საშუალო ან მაღალი დონის არის.

საშუალო და მაღალი დონის მუქარის გამოყენების სიხშირის მაჩვენებლები თითოეულ ენაში რადიკალურად განსხვავებულია.

მაღალი დონის მუქარას უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში საერთო რაოდენობის 65% უჭირავს, მაშინ როცა ქართველ პოლიტიკოსებთან მაღალი დონის მუქარა მხოლოდ, დაახლოებით, 27.5%-ით არის წარმოდგენილი, რაც თითქმის 2.5-ჯერ ნაკლებია ინგლისურენოვან მუქარასთან შედარებით (მაგ. 25, 26).

მაგ. 25. "If a new HealthCare Bill is not approved quickly, BAILOUTS for Insurance Companies and BAILOUTS for Members of Congress will end very soon!" Trump tweeted (ინტერნეტწყარო №58).

მაგ. 26. ნიკა გვარამიას მუქარა წულუკიანს და მოსამართლეებს: „საფლავის კარამდე ვდევ ყველა მათგანს, ისევე როგორც მოსამართლე ურთმელიძეს, ისევე

როგორც, მინისტრ წულუკიანს და ასევე სამივე ამ მოსამართლეს, საფლავის კარამდე ჩავყვები აუცილებლად და მათი პასუხისმგებლობის ზომას აუცილებლად დავაყენებ! თქვენ დაამთავრებთ თქვენს კარიერას ციხეში!“ (ინტერნეტწყარო №59).

ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ქართულ პოლიტიკურ მუქარაში საშუალო დონის მუქარა გამოირჩევა. მისი გამოყენების სიხშირე დაახლოებით 72,5%-ა. რაც შეეხება ინგლისურ ენას, საშუალო დონის მუქარაზე აქ მხოლოდ 35% მოდის (მაგ. 27, 28).


მაგ. 27. Al Gore: “Nice global economy you got there. Be a shame if we had to destroy it.” (ინტერნეტწყარო №60).

მაგ. 28. გრიშა ონიანი გორის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატს რეზო კახნიაშვილს: „შეიძლება მუქარაში ჩამითვალოთ, მაგრამ გეუბნებით, თქვენ კარგი დღე არ დაგადგებათ“ (ინტერნეტწყარო №61).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბალი დონის მუქარა არცერთი საკვლევი ენის პოლიტიკოსების მეტყველებაში არ გვხვდება.

მუქარის დონეების კლასიფიკაცია ქართული და ინგლისური მაგალითების მიხედვით ვიზუალურად წარმოდგენილია სქემაზე №16.

სქემა №16



ის ფაქტი, რომ მაღალი დონის მუქარა ქართველი პოლიტიკოსების მეტყველებაში თითქმის 3-ჯერ ნაკლები სიხშირით ფიქსირდება, ვიდრე უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში, სავარაუდოდ, მიუთითებს ისევ და ისევ დამმუქრებლის პასუხისმგებლობის დონეზე. მუქარის შემცველი განცხადების გაკეთებისას მისი ავტორი უნდა გამოხატავდეს მზაობას, რომ საკუთარი განაცხადი ბოლომდე სისრულეში მოიყვანოს და სიტყვა საქმედ აქციოს. სწორედ მაღალი დონის მუქარისათვის დამახასიათებელი ელემენტების (კონკრეტული დრო, მიზეზი, მუქარის ადრესატი...) შემცველობა ცხადყოფს მუქარის ავტორის საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებლობის მაღალ დონეს.

უდავოა, რომ საშუალო დონის მუქარა ისეთი სიმძაფრით არ აღიქმება, როგორც მაღალი დონის მუქარა და მისი „შეუსრულებლობა“ ავტორს არ აკისრებს ისეთი ხარისხის ვალდებულებას, როგორც მაღალი დონის მუქარის შემთხვევაში იქნებოდა.


აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი პოლიტიკოსები უცხოელ პოლიტიკოსებთან შედარებით ძირითადად თავს იკავებენ რადიკალური მუქარისაგან, რათა თავიდან აიცილონ მისი შეუსრულებლობით გამოწვეული უხერხულობა და უპირატესობას ანიჭებენ შედარებით ზომიერ, საშუალო დონის მუქარას, რომელიც კონკრეტიკას მოკლებულია და ხშირ შემთხვევაში იოლად შეიძლება გაფრთხილებად გადაკვალიფიცირდეს.

პოლიტიკოსების მეტყველებაში გამოყენებული მუქარის ენის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ნაშრომის მიმდინარე ნაწილში წარმოდგენილი გვაქვს ორი მიმართულებით: მუქარის გამოთქმის ფორმისა (პირდაპირი, პირდაპირ-პირობითი და ირიბი) და მუქარის რისკშემცველობის დონის (მაღალი, საშუალო და დაბალი) მიხედვით. აღნიშნული კლასიფიკაციის გაკეთების შემდეგ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი, ჯვარედინი კლასიფიკაციის, წარმოდგენა თითოეული ენისათვის.


ჯვარედინ კლასიფიკაციაში ასახულია, თუ როგორ არის გადანაწილებული სამი სხვადასხვა ტიპის მუქარა მათი შესრულების ალბათობასთან მიმართებით;

კერძოდ, ქვემოთ მოყვანილ ორ სქემაზე (№17 და №18) ასახულია, თუ მუქარის რომელ დონეებს შეესაბამება პირდაპირი, პირდაპირ-პირობითი და ირიბი მუქარა მათი შესაძლო განხორციელების მიხედვით.

სქემა №17 მუქარის ენის ჯვარედინი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ქართულ ენაში



სქემა №18 მუქარის ენის ჯვარედინი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ინგლისურ ენაში



მუქარის ენის ჯვარედინი კლასიფიკაციის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

ა) ქართულ ენაში:

1. პირდაპირი მუქარის დიდი უმრავლესობა, კერძოდ, დაახლოებით 77% საშუალო დონეს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი 23% კი, – მაღალი დონის მუქარა გახლავთ;
2. პირდაპირ-პირობითი მუქარის დაახლოებით 63% მაღალი დონის მუქარაზე მოდის, დარჩენილი 37% კი – საშუალო დონის მუქარაზე;
3. ირიბი მუქარის მხოლოდ 9%-ა მაღალი რისკის შემცველი, ხოლო 91% საშუალო დონის მუქარას მიეკუთვნება.

ბ) ინგლისურ ენაში:

1. პირდაპირ მუქარაში პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: მაღალი დონის მუქარა დაახლოებით 58%, ხოლო საშუალო – 42%;
2. ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ინგლისურენოვან მუქარაში პირდაპირ-პირობითი მუქარა აღმოჩნდა 92%-ანი მაჩვენებლით; პირდაპირ-პირობითი მუქარის დარჩენილი 8% საშუალო დონის მუქარას წარმოადგენს;
3. ირიბი მუქარა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ საშიშ მუქარად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ორივე ენაში მისი შეფასების დონე უმეტესად საშუალოა და მხოლოდ მცირე ნაწილი მიეკუთვნება მაღალი დონის მუქარას. ინგლისურ ენაში აღნიშნული ფარდობითობა ასე გამოიყურება: დაახლოებით 83% –საშუალო და 17% – მაღალი.

3.5 მუქარის ვერბალური გაფორმება ინგლისურსა და ქართულ ენებში

მუქარის ენის განხილვა არ იქნებოდა სრულყოფილი იმ ლექსიკური ერთეულების ანალიზის გარეშე, რაც მას სტილურ ფორმასა და ხასიათს სძენს.

ემოციებს ხშირ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობების გამოხატვად აღიქვამენ და ყურადღებას არ ამახვილებენ მისი ლექსიკური ერთეულების კონცეპტუალურ მნიშვნელობაზე, მაშინ როცა ემოცია საკმაოდ რთული კონცეპტუალური სტრუქტურით ხასიათდება და ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება მხოლოდ ამ ენის მატარებელთა მიერ გამოყენებული ფრაზეოლოგიზმების სისტემატიზაციით არის შესაძლებელი (Lakoff et al., 1987 :195).

მუქარაც ემოციის ერთ-ერთი ფორმაა და როგორც მაგალითებმაც ცხადყო, მის გამოხატვაში ხშირია ხატოვანი და სტილისტიკურად მრავალფეროვნება. ჯ. ლაკოფის აზრით, ის მეტაფორული მოდელები, რომლებიც ემოციის გადმოსაცემად გამოიყენება, დაფუძნებულია გრძნობით და სხეულისმიერ გამოცდილებაზე (Lakoff et al., 1987 :196). ეს თავისთავად იოლი გასაგებიც არის, რადგან არც ერთი ემოცია: შიში, ბრაზი, სიხარული, სირცხვილი და ა.შ. არ გამოიხატება ფიზიოლოგიური ცვლილების გარეშე. მაგალითად, როგორც რუსუდან ამირეჯიბის ნაშრომშია წარმოდგენილი, „ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, შიშს თან ახლავს კუნთების ტონუსის დაცემა, გულისცემის შესუსტება, სისხლის წნევის დაწევა, თვალის გუგის გაფართოება, ოფლიანობა, სისხლის მოზღვავება კუნთებში“ (ამირეჯიბი, 2005:3). სწორედ ამ ფიზიოლოგიური ცვლილებებით არის განპირობებული შიშის გამომხატველი ისეთი ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბება, როგორებიცაა: ცივმა ოფლმა დაასხა (ოფლიანობა); ტანში ცივად გასცრის, მარღვებში სისხლი გაეყინება (სისხლის წნევის დაწევა); გული გაუსკდა/გაუჩერდა (გულისცემის შესუსტება) და სხვა (ამირეჯიბი, 2005 :4).

მუქარის შემცველ გამონათქვამებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად გამოიყენება სხეულის ნაწილების შემცველი, ე.წ. სომატური იდიომები. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ მუქარის ძირითად

მიზანს მეორე მხარის დაშინება და მასზე ძალადობის განხორციელება წარმოადგენს, ძალისმიერი ქმედება კი ძირითადად ფიზიკურ ანგარიშსწორებას გულისხმობს. რაოდენ არასასიამოვნოც უნდა იყოს ამის აღიარება, თუ დავფიქრდებით, პირველი ხატი, რაც გონებაში ჩნდება, როცა ვინმეს ვემუქრებით, სწორედ მასზე ფიზიკური ზემოქმედების სურვილია.

მიუხედავად ქართული და ინგლისური ენების ლინგვოკულტურული და ეთნოსოციოკულტურული თავისებურებებისა, სომატური იდიომების არსებობა მუქარის შემცველ განაცხადებში ორივე ენაში ფიქსირდება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის განაცხადებები უფრო ხშირად გამოიყენება ქართველი პოლიტიკოსების მეტყველებაში, ვიდრე უცხოელი პოლიტიკოსებისაში (იხ. ცხრილი №20).

ცხრილი №20 სომატური იდიომები პოლიტიკოსების მეტყველებაში

ქართული მაგალითები	ინგლისური მაგალითები
✓ ყელიდან ამოგანთხევინებთ	✓ I'm going to stomp all over your face with golf spikes
✓ ეგ ღიმილი შეგეყინებათ სახეზე	
✓ მაგ ღიმილს შეგაყინავ სახეზე	✓ snatch a knot in their a**
✓ მაგ რქებს მოგამტვრევ / ეგ რქები მოგტყდება	
✓ მოგახევ მაგ თავს	
✓ შუბლს გაგიხვრიტავ	
✓ თქვენს სისხლს დავლევ	
✓ დაგიხვრიტავთ ფეხებს	
✓ დაგათლით მაგ გასიებულ თეძოებს	

<ul style="list-style-type: none"> ✓ დაგინგრევთ მაგ თავ-ყბას ✓ უნდა დაგიღეწოთ თავ-ყბა ყველას თქვენ 	
ქართული მაგალითების ინტერნეტწყაროები: № 22, 23, 62, 63, 64, 65, 66	ინგლისური მაგალითების ინტერნეტწყაროები: № 25, 67

ფიზიკური განადგურების გამომხატველ მუქარის შემცველ განცხადებებში სხეულის ნაწილები ერთადერთ კომპონენტს არ წარმოადგენს. მუქარაში ასევე ვხვდებით განზრახულის სისრულეში მოყვანის ხერხის და/ან საშუალების დასახელებას, ციხით დამუქრებას, სიცოცხლის დასრულებით დამუქრებასა და სხვა.

მაგ. 28. გივი ივანიშვილი დავით ნებიერიძეს: „გადაგივლი კატოკვიით, მენ ვინმეში არ შეგეშალო, შე ნ***ო მენა, შენნაირებს ვმარხავდი, დაგჭრი ბიჭო!... გეუბნევი გაგატყავებ, გადი ეხლა აქედან!“ (ინტერნეტწყარო: №19).

მაგ. 29. ირმა ინაშვილი გივი უგულავასა და მის გუნდზე: „ჩემი პოლიტიკური გუნდი, ბ-ნო გიორგი (წამყვანს), სწორედ იმისთვის იზრუნებს და იბრძოლებს, რომ ეს კრიმინალური დაჯგუფება მოხვდეს ციხეში და აგოს პასუხი!“ (ინტერნეტწყარო №68).

მაგ. 30. ვალერი გელბახიანი: „საკამშილი რომ ჩამოვივით საქართველოში, სეირი ნახეთ მერე. დაგითვლით დღეებს რამდენ ხანში წახვალთ ხელისუფლებიდან.“ (ინტერნეტწყარო: №69).

მაგ. 31. Trump threatened Hillary Clinton: “If I win, I am going to instruct my attorney general to get a special prosecutor to look into your situation – there has never been so many lies and so much deception.” (ინტერნეტწყარო №70).

მაგ. 32. Florida congressman Matt Gaetz issued a threat to Cohen: “Hey [@MichaelCohen212](#) - Do your wife & father-in-law know about your girlfriends? Maybe tonight would be a good time for that chat. I wonder if she'll remain faithful when you're in prison. She's about to learn a lot...” (ინტერნეტწყარო №71).

მაგ. 33. D. Trump: "By the way, with Iran, when they circle our beautiful destroyers with their little boats, and they make gestures at our people that they shouldn't be allowed to make, **they will be shot out of the water**. OK? Believe me!" (ინტერნეტწყარო №72).

მაგალითების ანალიზისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუქარის განაცხადის გაკეთების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ადრესატის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება, მისი გამოხატვის ხერხები და საშუალებები, ისევე როგორც ფორმა და სტილი, მრავალფეროვანი და ზოგ შემთხვევაში ბოლომდე ამოუხსნელია. სწორედ ამიტომ მუქარის საკითხის კვლევას ბევრ სამეცნიერო სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე რეალობაშიც და ასევე პერსპექტიული იქნება მომავალშიც.

ზოგადი დასკვნები

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- თანამედროვე რეალობაში, როდესაც აგრესიის გამოვლინების უკიდურესი ფორმის – მუქარის ენის გამოყენება უჩვეულოდ მაღალი სიხშირით ხასიათდება, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მუქარის ფენომენის შესწავლის მზარდი ინტერესი გამოიკვეთა;
- მუქარა ლინგვისტურად წარმოადგენს სოციალურად აგებულ, ლინგვისტური ძალის მქონე აქტს, რომელც გულისხმობს ორ მხარეს: დამმუქრებელსა და დამუქრებულს და ფატალურ შედეგებს მოასწავებს;
- მუქარა წარმოადგენს სოციალურ და არა ინდივიდუალურ ფენომენს, რომელიც რეალიზდება ყოველდღიურ კომუნიკაციაში. მუქარის აქტის განხორციელება შესაძლებელია კომუნიკაციის ყველა ეტაპზე, გარდა ინტრაპერსონალური კომუნიკაციისა, თუმცა ყველაზე აქტიური ეტაპი, რომელზეც მუქარის აქტის განხორციელების ყველაზე დიდი ალბათობა არსებობს, არის ინტერპერსონალური, ანუ პიროვნებათშორისი კომუნიკაცია;
- მუქარის აქტი შესაძლებელია განხორციელდეს ვერბალურად და არავერბალურად, როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობითი ფორმით;
- მუქარა საუბრის ისეთი აქტია, რომელიც რიგ შემთხვევებში ძირითადად დირექტივების გაცემას გულისხმობს;
- სამეტყველო აქტების თეორიის სერლისეული კლასიფიკაციის მიხედვით, მუქარა კლასიფიცირდება, როგორც კომისივების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი; თუმცა როგორც მაგალითების ანალიზმა გვიჩვენა, მუქარა შესაძლოა მიეკუთვნებოდეს სამეტყველო აქტების არა ერთ, არამედ ორ ჯგუფს: დირექტივებსა და კომისივებს. აღნიშნული დასკვნა

გამომდინარეობს იქიდან, რომ მუქარა, ერთი მხრივ როგორც დირექტივების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი, აიძულებს მსმენელს, განახორციელოს რაიმე ქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში მუქარა, როგორც კომისიების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი, გამოხატავს მთქმელის ვალდებულებას, იმოქმედოს საკუთარი გამონათქვამის შესაბამისად;

- მუქარა, როგორც ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი სახე, ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მუქარის, როგორც სოციალური ფენომენის, ახსნა და გაგება შეუძლებელია სოციალური კონტექსტისა და იმ სოციოლინგვისტური ცვლადების (სოციალური კლასი, გენდერი, ასაკი, სქესი, ეთნიკური ჯგუფი) გათვალისწინების გარეშე, რომლებიც უშუალოდ ჩართულია მუქარის პროცესში. აღნიშნული ცვლადები ერთგვარ დამატებით, შემავსებელ ინფორმაციას გვაწვდიან და მათი არსებობა პროცესის სრულყოფილად გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს, ჩვენ მიერ გასაანალიზებლად აღებული მუქარის მაგალითებში ყურადღება გამახვილებულია სტატუსის სოციოლინგვისტურ ცვლადზე და განხილულია ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მუქარის ენის თავისებურებები.
- მუქარის გამოხატვა შესაძლებელია როგორც პირდაპირი სამეტყველო აქტებით, ექსპლიციტურად, ისე ფარული, ირიბი სამეტყველო აქტებით, იმპლიციტურად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ექსპლიციტურობა იმპლიციტურობასთან შედარებით ამცირებს კომუნიკანტთა შორის გაუგებრობას. მიუხედავად გამოხატვის ფორმისა, მუქარა უნდა იყოს იდენტიფიცირებადი მუქარის ობიექტის მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც წარუმატებელი სამეტყველო აქტი.
- განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოლიტიკოსების

მიერ განხორციელებული მუქარის შემცველ განცხადებებში ირიბი სამეტყველო აქტი იშვიათია.

- პოლიტიკოსების მუქარის ენის მაგალითების შესწავლამ ცხადყო, რომ ორივე საკვლევ ენაში მუქარა ხორციელდება პირდაპირი მოთხოვნის სტრატეგიის გამოყენებით და იგი, შესაძლოა, სხვადასხვა დონის საფრთხის შემცველი იყოს მუქარის ადრესატის უარყოფითი სახისათვის, რადგან გულისხმობს მისთვის ე.წ. „ჰარმონიული“ მდგომარეობის ხელყოფას.
- მუქარის ფენომენის განხილვას მჭიდროდ უკავშირდება პოზიციის ცნება, რაც გულისხმობს მოსაუბრის გრძნობების, შეფასებებისა თუ დამოკიდებულებების გამოხატვას ლექსიკურ-გრამატიკული და პარალინგვისტური ხერხების გამოყენებით. ნაშრომში გაანალიზებული მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკოსების მუქარას საკმაოდ ხშირად ახასიათებს პოზიციის ამსახველი ისეთი პარალინგვისტური მახასიათებლები, როგორებიცაა: ხმის ტონი, სიმაღლე და ხანგრძლივობა, სახის მიმიკა, ჟესტიკულაციები და სხეულის ენის სხვა გამოხატულებები. ბეჭდურ წყაროებში ვხვდებით ასევე შრიფტის გამუქებას, კურსივირებას და ინგლისური ენის შემთხვევაში მთავრული ანბანის გამოყენებას.
- მუქარის ენაში პოზიციის გამომხატველი ლექსიკა სამი ძირითადი ჯგუფით არის წარმოდგენილი: ლექსიკა, რომელიც ასახელებს, აღწერს და გამოხატავს. ორივე საანალიზო ენაში მუქარის ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი ლინგვისტური თავისებურებები: შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ენა (რასისტული, სქესობრივი), არანორმატიული ლექსიკა, დაშავების ან დაზიანების სურვილის ამსახველი სიტყვები.

- წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი მუქარა ხასიათდება ფრაზეოლოგიზმების უხვი გამოყენებით. ასეთ გამონათქვამებში ორივე ენაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია სომატური ფრაზეოლოგიზმები. აგრეთვე გვხვდება კოლოკვიალიზმები და იდიომები. ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ კოლოკვიალიზმებს ახასიათებს არანორმატიული ლექსიკის გაცილებით ხშირი გამოყენება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ძირითადად, ფერები, რომლებიც მუქარის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ფიგურირებს, ორივე ენაში ერთი და იგივე: შავი და ლურჯია.
- პოზიციის გრამატიკული მარკერები გარკვეული ენობრივი ფუნქციის მატარებლები არიან და მათი ქართულსა და ინგლისურ ენებში გამოყენების მხრივ შეინიშნება მსგავსება-განსხვავებანი. როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან მუქარაში გამოიკვეთა შემდეგი საერთო გრამატიკული მარკერები: პირობითი წინადადებები, მოდალობა, მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება სასურველი ობიექტის ფიქსაციის მიზნით, ზმნიზედები განზრახვის სერიოზულობის მაჩვენებლად, უარყოფითი კონსტრუქციები, რიტორიკული კითხვები, ბრძანებითი წინადადებები, ზმნის მომავალი დრო. რაც შეეხება განსხვავებას, აქ შეიძლება აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქართულში მუქარის შემცველი ფრაზების უმრავლესობაში ზმნა მოქმედებითი გვარისაა, ხოლო ინგლისური ენა მეტწილად ვნებით გვარს იყენებს.
- მოძიებული მაგალითების ანალიზი ნაშრომში ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა: მუქარის ტიპებისა და მუქარის დონეების მიხედვით.
- ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მუქარის შემცველი განცხადებების მაგალითების ტიპოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართველი პოლიტიკოსები ყველაზე ხშირად მიმართავენ პირდაპირ

მუქარას (71.5%); მეორე ადგილზეა პირდაპირ-პირობითი მუქარა (15%) და ყველაზე ნაკლებად მათ მეტყველებაში ვხვდებით ირიბ მუქარას (1.25%). განსხვავებული სურათი გვაქვს ინგლისური ენის შემთხვევაში, სადაც პოლიტიკოსების მუქარის წარმოდგენილი განცხადებების თითქმის ნახევარი (46,25%) პირდაპირ-პირობითი ხასიათის მატარებელია, მას მოსდევს პირდაპირი მუქარა (32.5%) და მესამე ადგილი აქაც ირიბ მუქარას უჭირავს (21.25%).

- საფრთხის შემცველობის ხარისხის მიხედვით პოლიტიკოსები იყენებენ მაღალი და საშუალო დონის მუქარას. აქედან ქართველი პოლიტიკოსები მაღალი დონის მუქარას გაცილებით ნაკლებად მიმართავენ (27.5%), ვიდრე საშუალო დონისას (72.5%). საპირისპირო სურათი გვაქვს ინგლისურ ენაში: აქ მაღალი დონის მუქარის გამოყენების სიხშირე უფრო მეტია (65%), ვიდრე საშუალო დონის მუქარისა (35%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ქართველი და არც უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში დაბალი დონის მუქარა არ ფიქსირდება.
- როგორც მაგალითების ანალიზმა ცხადყო, მუქარის გამოხატვის ხერხი, სტილი, ფორმა და საშუალება შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ მიზანი – ადრესატის დაშინება და არასახარბიელო მდგობარეობაში ჩაყენება უცვლელია.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. ამირეჯიბი რუსუდან, *კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება*, თსუ მეცნიერთა შრომები, წიგნი მეცხრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005;
2. ბიჭაშვილი მამუკა, „პოლიტიკური თეორია და ანალიზის პრაქტიკა“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გამომცემლობა, თბილისი, 2006;
3. გამყრელიძე თამაზ, კიკნაძე ზაზა, შადური ინგა, შენგელაია ნანა, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი* (მეორე გამოცემა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2008;
4. თევზაძე მაია, „თანამედროვე ლინგვისტური მიმდინარეობები: პრაგმატიკა და სამეტყველო აქტების თეორია“, სალექციო კურსი, 2012;
5. თორაძე თამარ, „ვერელი თორაძეები“, გამომცემლობა „ქართული პროზა“, თბილისი. 2016;
6. ლადარია ნოდარ, „სოციოლინგვისტიკა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 2002;
7. ლებანიძე გურამ, „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი. 1998;
8. ლებანიძე გურამ, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი. 2004;
9. ლევიძე მარინე, „სოციალური სახისთვის საშიში სამეტყველო აქტები და მათზე პასუხები ქართულ ენაში: გენდერთმორისი პერსპექტივა“. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“ №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011;

10. ლიპარიშვილი გიორგი, „ეფექტური კომუნიკაცია, ეფექტური პრეზენტაცია, დისკუსიის ტექნიკები“ სალექციო კურსის დამხმარე საკითხავი მასალა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2009;
11. ლუმანი ნიკლას (მთარგმნელი დ. დუმბაძე), „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, გამომცემლობა „არხე“, თბილისი. 2007;
12. მახარაძე თამარ, სუმბაძე ნანა, „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“, გამომცემლობა: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი. 2010;
13. მახარობლიძე თამარ, „კომუნიკაცია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოძიებულია: 12 აპრილი, 2016 <http://eprints.iliauni.edu.ge/3063/1/Communico.doc>
14. მერაბიშვილი თამარ, „სამეტყველო აქტების თეორია უახლეს ლინგვისტიკაში“ ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“. №15, თბილისი. 2011;
15. მინდაძე ივა, „ფსიქოლინგვისტიკა“, გამომცემლობა „არტე“, თბილისი. 2009;
16. ნეზიერიძე გივი, „ენათმეცნიერების შესავალი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1991;
17. პეტრიაშვილი იზაბელა, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის „ინტერკულტურული განათლება – პედაგოგიური მიდგომები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2015;
18. სოსიური, ფერდინანდ დე, „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი. 2002;
19. სურგულაძე რევაზ, იბერი ელდარ, „მასობრივი კომუნიკაცია“, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი. 2003

20. ჩიქობავა არნოლდ, „ზოგადი ენათმეცნიერება“ ტ. II, ძირითადი პრობლემები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1983;

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

1. Appiah A. R. and Bosiwah L., *Pragmatic Study of Verbal Threats Among the Fantes: A Case of Apewosika*. International Journal of Applied Linguistics and Translation. 2015.
2. Austin J. L., *How to do things with words*. Oxford University Press, Great Britain. 1962;
3. Biber D., *University Language - A corpus-based study of spoken and written registers*. John Benjamins Publishing Company, Amsterdam / Philadelphia. 2006.
4. Biber D., Johansson S., Leech G., Conrad S., Finegan E., *Longman Grammar of Spoken and Written English*. Pearson Education Limited, England. 1999;
5. Bourdieu P., *Language and Symbolic Power*, Polity Press, Cambridge, UK. 1991;
6. Brown P. and Levinson C. S. *Politeness: some universals in language usage. (Studies in interactional sociolinguistics; 4)*. Cambridge University Press, Great Britain. 1987;
7. Conrad S. and Biber D., Adverbial marking of stance in speech and writing. In S. Hunston and G. Thompson (Eds.) *Evaluation in text: Authorial stance and the construction of discourse*. Oxford University Press, Oxford. 2000;
8. Davis D. A., *Threats pending fuses burning: Managing workplace violence*. Palo Alto, CA: Davies-Black Publishing. 1997;
9. Duranti A., *Linguistic Anthropology*, Published in the United States by Cambridge University Press, New York. 1997;
10. Fraser B., *Threatening revisited. Forensic Linguistics*. 5(2), 159-173. University of Birmingham Press, UK. 1998;

11. Gales T. and Chand V., A corpus-based approach to word frequency and syntactic categories: Untangling their relationship within sound change. Paper at 2010 Linguistic Society of America (LSA) Annual Meeting, Baltimore, MD. 2010;
12. Gales T., *Threatening Stances Language and Law / Linguagem e Direito*, Vol. 2(2), p. 1-25. 2015;
13. Geiwitz P. J., *The Effects of Threats on Prisoner's Dilemma. Behavioral Science*, 12. 1967;
14. Glukhov G. V., and Anatolyevna, I. M. (2015) *Efficiency of Threats in Interpersonal Communication*; Published by Canadian Center of Science and Education.
15. Goffman E., *INTERACTION RITUAL: Essays on Face-to-Face Behaviour*. Made and printed Offset Litho in Great Britain by Cox & Wyman Ltd, London, Fakenham and Reading. 1967;
16. Grice H. P., *Studies in the Way of Words*. London, England; Harvard University Press, Cambridge, Massachusetts. 1991;
17. Habermas J., *The Theory of Communicative Action*, vol. 1. – Reason and the rationalization of society (translated by Thomas McCarthy). Beacon Press, Boston. 1984;
18. Jenkins E., Violence in the workplace scope of the problem and risk factors. In C.W. Wilkinson (Ed.), *Violence in the Workplace: Preventing, Assessing, and Managing Threats at Work*. Rockville, MD: Government Institutes. 1998;
19. Kellermann P. F., Interpersonal Conflict Management in Group Psychotherapy: An Integrative Perspective. *Group Analysis* Vol. 29, (pp. 257-275), SAGE Publications, London, Thousand Oaks, CA and New Delhi. 1996;
20. Kent G., *The effects of threats*. Ohio State University Press, The USA. 1967;

21. Lakoff G. and Kovecses Z., *The cognitive model of anger inherent in American English*, Cambridge University Press, Cambridge. 1987;
22. Lyons J., *Semantics* (Vol. 2), Cambridge University Press, Great Britain. 1977;
23. Martin J. R. and White P. R., *The Language of Evaluation: Appraisal in English*. Antony Rowe Ltd Chippenham and Eastbourne, Great Britain. 2005;
24. Meloy J., Reid., Hoffmann J., Guldemann A. and James D., *The Role of Warning Behaviors in Threat Assessment: An Exploration and Suggested Typology*. *Behavioral Sciences and the Law; Behav. Sci. Law* 30. 2012;
25. Milburn T. W. and Watman K. H., *On the nature of threat: A psychological analysis*. NY: Praeger Publishers, New York. 1981;
26. Muschalik J., *Threatening in English: A mixed method approach*. John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia. 2018;
27. Napier M. and Mardigian S., Threatening messages: The essence of analyzing communicated threats. *Public Venue Security*, September/October, 16–19. 2003;
28. Riyadh Tariq Kadhim Al-Ameedi, *Promise and Threat in English and Arabic Religious Texts: A pragmatic Study*. 2012;
29. Salgueiro B. A., *Promises, Threats and Foundations of Speech Act Theory*. International Pragmatics Association. 2010;
30. Scanlon T. M., *Moral Dimensions: PERMISSIBILITY, MEANING, BLAME*. Belknap Press of Harvard University Press Cambridge, Massachusetts, London, England. 2008;
31. Searle J. R., *A Taxonomy of Illocutionary Acts*. University of Minnesota Press, Minneapolis. Retrieved from the University of Minnesota Digital Conservancy, <http://hdl.handle.net/11299/185220>. 1975;

32. Searle J. R., *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. University Printing House, Great Britain, Cambridge. 1969;
33. Sechser T. S., "Goliath's Curse: Coercive Threats and Asymmetric Power." *International Organization*, 2010;
34. Shapiro D. L. and Kulik C. T., *The Handbook of Negotiation and Culture*. Stanford Business Books An imprint of Stanford University Press Stanford, California. 2004;
35. Shuy R., *Language crimes: The use and abuse of language evidence in the courtroom*. (First edition 1993, reprinted 1996) Basil Blackwell. Oxford, UK and Cambridge, USA. 1993;
36. Staton J., (ed.) *Spoken and Written Language: Exploring Orality and Literacy*. Norwood: Ablex. 1982;
37. Storey K., *The language of threats*. *Forensic Linguistics* 2(1). 1995;
38. Tedeschi J. T., and Felson, R. B., *Violence, Aggression and Coercive Actions*. Washington: American Psychological Association. 1994;
39. The School Board of Broward County, Florida: Freedman, A. M., Rubert, N., Bartleman, R., Brinkworth, H. P., Good, P., Korn, D. P., Levinson, L. R., Murray, A., Dr. Osgood, R. *Threat Assessment Procedures Manual*. 2017;
40. Walton D., *Speech Acts and Indirect Threats in Ad Baculum Arguments: A Reply to Budzynska and Witek* *Argumentation*, 28 (3), 2014; <http://scholar.uwindsor.ca/crrarpub/14>
41. Wardhaugh R., *An Introduction to Sociolinguistics* (Fifth Edition); Blackwell Publishing. 2006;
42. Watts R. J., Ide, S., Ehlich, K., *Politeness in language: studies in its history, theory, and practice / with a new introduction by Richard J. Watts; 2nd rev. and expanded ed.*,

Mouton de Gruyter (formerly Mouton, The Hague) is a Division of Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin. 2005;

43. Wittgenstein L., *Philosophical investigations* by Ludwig Wittgenstein (Translated by G. E. M. Anscombe). Basil Blackwell Ltd., Great Britain. 1958;
44. Yeboaba A. A., *Verbal Warnings among the Fantes*: (Unpublished BA Honors graduate's thesis, May, 2012, University of Cape Coast). 2012;
45. Yule G., *Pragmatics*. Oxford University Press, Great Britain. 1996.

გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე

1. Шаховский Виктор Иванович, Категоризация эмоций в лексико-семантической системе языка, Издательство: URSS. Москва. 2009.

გამოყენებული ინტერნეტრესურსები

1. <https://bit.ly/39e668H> (მოძიებულია 15 ნოემბერი, 2016)
2. <https://bit.ly/2ruRYHi> (მოძიებულია 15 ნოემბერი, 2016)
3. <https://bit.ly/2QgLkge> (მოძიებულია: 25 მარტი, 2016)
4. <https://bit.ly/2MrYnKK> (მოძიებულია: 25 მარტი, 2016)
5. <https://bit.ly/2SqCQpA> (მოძიებულია: 12 ოქტომბერი, 2017)
6. <https://bit.ly/35VHCzb> (მოძიებულია: 12 ოქტომბერი, 2017)

7. <https://bit.ly/2MrtwxG> (გამოქვეყნების თარიღი: 07.02.2017; მოძიებულია: 12 ოქტომბერი, 2017)
8. <http://ghn.ge/news/133023> (გამოქვეყნების თარიღი: 21.06.2015; მოძიებულია: 10 ოქტომბერი, 2017)
9. <https://bit.ly/2QlJue5> (მოძიებულია 12 ოქტომბერი, 2017)
10. <https://bit.ly/2Zllqfa> (გამოქვეყნების თარიღი: 18.10.2013; მოძიებულია: 11 ნოემბერი, 2017)
11. <https://bit.ly/34XEtgO> (გამოქვეყნების თარიღი: 9.06.2016; მოძიებულია: 11 ნოემბერი, 2017)
12. <https://bit.ly/35Wg8JM> (გამოქვეყნების თარიღი: 14.09.2017; მოძიებულია: 12 ნოემბერი, 2017)
13. <https://bit.ly/2QlzKQX> (გამოქვეყნების თარიღი: 11.06.2017; მოძიებულია: 12 ნოემბერი, 2017)
14. <https://bit.ly/2Mr9ljy> ინფო 9, გამოქვეყნების თარიღი: 13.02.2015; მოძიებულია: 9 ნოემბერი, 2017
15. <https://bit.ly/35XqLf8> (გამოქვეყნების თარიღი: 19.09.2017; მოძიებულია: 5 თებერვალი, 2019)
16. <https://bit.ly/39dadC8> (გამოქვეყნების თარიღი: 12.04.2014; მოძიებულია: 14 თებერვალი, 2018)
17. <https://bit.ly/2tHXcA3> (მოძიებულია: 10 მარტი, 2017)
18. <https://bit.ly/2rpE49d> (მაესტრო, „ფაქტორი“, გამოქვეყნების თარიღი: 15.10.2016; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)

19. <https://bit.ly/2SpDuDK> (ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად, გამოქვეყნების თარიღი: 17.10.2017; მოძიებულია: 22 ოქტომბერი, 2018)
20. <https://bit.ly/368ktJG> (ნიუპოსტი, გამოქვეყნების თარიღი: 23.11.2015; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
21. <https://bit.ly/39lIak2> (გამოქვეყნების თარიღი: 12.11.2018; მოძიებულია: 1 თებერვალი, 2019)
22. <https://bit.ly/2Qm5x3Y> (გამოქვეყნების თარიღი: 4.07.2017; მოძიებულია: 1 თებერვალი, 2019)
23. <https://bit.ly/3984bTn> (მაესტრო, „ფაქტორი“, გამოქვეყნების თარიღი: 17.11.2015; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
24. <https://bit.ly/34VEnX9> (გამოქვეყნების თარიღი: 1.05.2017; მოძიებულია: 12 დეკემბერი, 2017)
25. <https://aol.it/2Zv7JdW> (გამოქვეყნების თარიღი: 12.10.2018; მოძიებულია: 5 თებერვალი, 2019)
26. <https://bit.ly/2PYRX85> (გამოქვეყნების თარიღი: 18.01.2017; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
27. <https://bit.ly/35YX5i2> (გამოქვეყნების თარიღი: 4.03.2019; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
28. <https://bit.ly/2smbG8p> (გამოქვეყნების თარიღი: 24.10.2018; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
29. <https://bit.ly/2rrg6uh> (გამოქვეყნების თარიღი: 12.03.2019; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
30. <https://bit.ly/2t0b2xy> (FOR.GE გამოქვეყნების თარიღი: 19.06.2012; მოძიებულია: 22 ოქტომბერი, 2018)

31. <https://bit.ly/2PVxwsr> (რუსთავი ორი, „ღია ეთერი“ გამოქვეყნების თარიღი: 29.07.2011; მოძიებულია: 1 თებერვალი, 2019)
32. <https://bit.ly/2QmwNzH> (გამოქვეყნების თარიღი: 14.04.2017; მოძიებულია: 1 თებერვალი, 2019)
33. <https://bit.ly/2tLBPhi> (გამოქვეყნების თარიღი: 14.01.2019; მოძიებულია: 1 თებერვალი, 2019)
34. <https://bit.ly/2MppOEM> (გამოქვეყნების თარიღი: 20.10.2016; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
35. <https://nyti.ms/2FzG0j9> (გამოქვეყნების თარიღი: 9.04.2019; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
36. <https://bit.ly/2MsrkWK> (საპარლამენტო სხდომა, გამოქვეყნების თარიღი: 2.05.2018; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
37. <https://bit.ly/2QgvPVz> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
38. <https://bit.ly/2MqS1em> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
39. <https://bit.ly/2Qw2pTB> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
40. <https://bit.ly/2MrWIEU> (გამოქვეყნების თარიღი: 28.12.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
41. <https://bit.ly/34WSknN> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
42. <https://bit.ly/37cOlon> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
43. <https://bit.ly/2ZmttZi> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
44. <https://bit.ly/34XJu94> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)

45. <https://bit.ly/2PTq1lR> (გამოქვეყნების თარიღი: 5.03.2019; მოძიებულია: 12 აპრილი, 2019)
46. <https://bayareane.ws/2tQHMcY> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
47. <https://bit.ly/3968ZZn> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
48. <https://bit.ly/39c4nAV> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
49. <https://bit.ly/2ZnQ9bt> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
50. <https://bit.ly/2PU5Nbl> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
51. <https://bit.ly/34StS6L> (მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
52. <https://cnn.it/2RnwJzQ> (CNN Politics, გამოქვეყნების თარიღი: 5.04.2019; მოძიებულია: 5 აპრილი, 2019)
53. <https://bit.ly/2ESDROZ> (რუსთავი 2, „არჩევანი“, გამოქვეყნების თარიღი: 6.11.2015; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
54. <https://bit.ly/368nwS8> (გამოქვეყნების თარიღი: 6.11.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
55. <https://bit.ly/34XK2Ma> (გამოქვეყნების თარიღი: 7.02.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
56. <https://bbc.in/2PT11em> (გამოქვეყნების თარიღი: 6.11.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
57. <https://cnb.cx/350UiDL> (გამოქვეყნების თარიღი: 13.03.2018; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
58. <https://bit.ly/2TrPZyR> (გამოქვეყნების თარიღი: 29.07.2017; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)

59. <https://bit.ly/398xBR8> (რუსთავი 2, გამოქვეყნების თარიღი: 31.05.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
60. <https://bit.ly/2QlQ2sP> (გამოქვეყნების თარიღი: 27.09.2013; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
61. <https://bit.ly/2SqkLb9> (გამოქვეყნების თარიღი: 12.10.2017; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
62. <https://bit.ly/2MswwhyF> (გამოქვეყნების თარიღი: 24.05.2017; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
63. <https://bit.ly/2ZmzncZ> (გამოქვეყნების თარიღი: 12.06.2017; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
64. <https://bit.ly/377IVuX> (გამოქვეყნების თარიღი: 12.11.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
65. <https://bit.ly/39bUmUs> (რუსთავი 2, კვირის აქცენტები გამოქვეყნების თარიღი: 2.12.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
66. <https://bit.ly/2PW96Py> (გამოქვეყნების თარიღი: 24.10.2014; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
67. https://twitter.com/kylegriffin1/status/890295376611344385?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E890329703822872576&ref_url=https%3A%2F%2Fwww.bustle.com%2Fp%2F11-times-male-politicians-threatened-female-colleagues-with-violence-2979816 (გამოქვეყნების თარიღი: 26.07.2017; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
68. <https://bit.ly/35YdtiB> (რუსთავი 2, არჩევანი, გამოქვეყნების თარიღი: 18.06.2014; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)

69. <https://bit.ly/2t2L7VI> (მედიაჰოლდინგი „აფხაზეთის ხმა“, გამოქვეყნების თარიღი: 9.09.2017; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
70. <https://bit.ly/2QjZxc7> (გამოქვეყნების თარიღი: 10.10.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
71. <https://nym.ag/35UHBLK> (გამოქვეყნების თარიღი: 27.02.2019; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
72. <https://wapo.st/2ZsezRd> (გამოქვეყნების თარიღი: 10.09.2016; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
73. <https://bit.ly/3795sYA> (გამოქვეყნების თარიღი: 11.04.2017; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
74. <https://bit.ly/2MzqU0N> (გამოქვეყნების თარიღი: 22.09.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
75. <https://www.urbandictionary.com>
76. <https://cnb.cx/2Zl4vcQ> (გამოქვეყნების თარიღი: 26.11.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)
77. <https://bit.ly/2SsB0V0> (გამოქვეყნების თარიღი: 24.03.2017; მოძიებულია: 02 მარტი, 2018)
78. <https://bit.ly/35Sq6M6> (გამოქვეყნების თარიღი: 18.11.2016; მოძიებულია: 17 თებერვალი, 2018)
79. <https://bit.ly/2rqxmzN> (გამოქვეყნების თარიღი: 07.01.2015; მოძიებულია: 02 მარტი, 2018)
80. <https://bit.ly/2Mv2LIJ> (გამოქვეყნების თარიღი: 07.08.2018; მოძიებულია: 17 ოქტომბერი, 2018)

81. <https://bit.ly/2MqvDC4> (მოძიებულია: 21 სექტემბერი, 2019)
82. <https://bit.ly/2EVdGXZ> (გამოქვეყნების თარიღი: 05.01.2017; მოძიებულია: 6 აპრილი, 2018)
83. <https://bit.ly/2snfSVo> (გამოქვეყნების თარიღი: 22.07.2018; მოძიებულია: 13 მაისი, 2019)

კვლევაში გამოყენებული მაგალითების დანართი

დანართი № 1. ქართული მაგალითები:

N	მუქარა	დონე	ტიპი	წყარო
1	ვალერი გელბახიანი: საკაშვილი რომ ჩამოგივით საქართველოში, სერი ნახეთ მერე. დაგივლით დღეებს რამდენ ხანში წახვალთ ხელისუფლებიდან.	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/2R0OuX1
2	სოსო მანჯავიძე ალექო ელისაშვილს: შენი საქველბიჭო დამთავრდება მალე. მაგ სისულელეების ლაპარაკისთვის პასუხს მოგთხოვ.	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/2Tv9zdO
3	ირმა ინაშვილი გია თორთლაძეს: „თქვენ ჯობია ჩუმად იჯდეთ მანდა. აი, ეგ გირჩევნიათ, რომ ჩუმად იჯდეთ და მე არ შემეხოთ რა!“	დაბალი	ირიბი	https://bit.ly/2NyUSm7

4	გრიმა ონიანი კოტე იოსელიანს: დადგება დრო და რაც გაპატის, ყელიდან ამოგანთხევენებთ.	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/38hoegW
5	გეგა ხვედელიძე ნიკა ქავთარაძეს: მალე თქვენი ჭაობი ჩაიტუმბება კანალიზაციაში დაგედებათ ბეტონი და ზედ დაისმება ჯვარი.... მალე დაგესმევით წერტილი.... ეგ ღიმილი შეგაყინებათ სახეზე.	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/30rMvOo
6	გეგა ხვედელიძე ნიკა ქავთარაძეს: „მაგ ღიმილს შეგაყინავ სახეზე, ბიჭო!“	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/30rMvOo
7	დimitრი ლორთქიფანიძე მალხაზ პატარაიას: სამარცხვინო ვინც არის განახებთ არჩევნებზე.	საშუალო	პირდაპირი	https://bit.ly/2Tsq9Lj
